

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

Известия Академии Наук Грузии

Proceedings of the Georgian Academy of Sciences

784-3  
2004

# BIOLOGICAL SERIES

ბიოლოგიური  
ჟურнал

A

БИОЛОГИЧЕСКАЯ СЕРИЯ

2004 № 4 30

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე  
Известия Академии Наук Грузии  
Proceedings of the Georgian Academy of Sciences

ბიოლოგიის სერია  
БИОЛОГИЧЕСКАЯ СЕРИЯ  
BIOLOGICAL SERIES

A

2004 № 4

ტომ  
TOM  
VOL

30

ქურნალი დაარსებულია 1975 წელს  
Журнал основан в 1975 году  
Founded in 1975

თბილისი თბილისი Tbilisi  
2004

## სარედაქციო კოლეგია

ოქუჩავა ვაჟა	(მთავარი რედაქტორი)
ბექაია გურამ	(მთ. რედაქტორის მოადგილე)
ნანეიშვილი თემურ	(მთ. რედაქტორის მოადგილე)
ქორელი ალექსანდრე	(მდივანი)

ბახუტაშვილი ელადიმერ	ნადარეიშვილი ქიაზო
დეკანოსიძე თამარ	ონიანი თენგიზ
იოსელიანი თემურაზ	ტატიშვილი ნუგ ზარ
მითაგვარია ნოდარ	შაქარიშვილი რომან
მიქელაძე დავით	ჯავახიშვილი ნინო

## სარედაქციო საბჭო

ანთელავა ნელი	ნანეიშვილი გიორგი
ასათიანი არჩილ	ოქუჩავა ნათელა
გაგუა რევაზ	სანაძე გივი
გამყრელიძე ამირან	სეანიძე იგორ
ზაალიშვილი მალხაზ	ტატიშვილი გურამ
თოდუა ფრიდონ	ქემერთელიძე ეთერ
იოსელიანი გიორგი	ყიფიანი გახტანგ
კვესიტაძე გიორგი	ყიფ შიძე ნოდარ
კინტრააი პალიქო	წინამძღვრიშვილი ბექან
ლაზრიშვილი ილია	ჭანიშვილი თემურაზ
ლექავა გელა	ხეჩინაშვილი სიმონ
მანაგაძე ლავრენტი	ხეცურიანი რამაზ
მოსიძე ბაადურ	ხომასურიძე არჩილ

კორექტორი: დ. დავითულიანი

კომპიუტერული დიზაინი და დაკამაყნება: ა. სურამა

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

*B. Окуджава* (гл. редактор)  
*Г. Бекая* (зам. гл. редактора)  
*T. Нанетишили* (зам. гл. редактора)  
*A. Корели* (секретарь)

*B. Бахуташвили*  
*T. Деканосидзе*  
*T. Иоселиани*  
*H. Митагвария*  
*D. Микеладзе*  
*K. Надареишвили*  
*T. Ониани*  
*H. Татишвили*  
*P. Шакаришили*  
*H. Джавахишвили*

## РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

*H. Антелава* *G. Нанетишили*  
*A. Асатиани* *H. Окуджава*  
*P. Гагуа* *G. Санадзе*  
*A. Гамкрелидзе* *I. Сванидзе*  
*M. Заалишили* *G. Татишвили*  
*F. Тодуа* *Э. Кемертелидзе*  
*G. Иоселиани* *B. Кипиани*  
*G. Квеситадзе* *H. Кипшидзе*  
*P. Кинтрайя* *B. Цинамдзевришили*  
*I. Лазришили* *T. Чанишили*  
*G. Лежава* *C. Хечинашили*  
*L. Манагадзе* *P. Хенцурини*  
*B. Мосидзе* *A. Хомасуридзе*

Корректор: *Д. Давитулиани*

Компьютерный дизайн и верстка: *A. Сурмава*

Издано неправительственной организацией “Биомед”, 2004  
Тбилиси, 0160, ул. Л. Готуа, 14

## EDITORIAL BOARD

<i>V. Okujava</i>	(Editor-in-Chief)
<i>G. Bekaya</i>	(Vice-Editor)
<i>T. Naneishvili</i>	(Vice-Editor)
<i>A. Koreli</i>	(Executive Secretary)
<i>V. Bakhutashvili</i>	<i>K. Nadareishvili</i>
<i>T. Dekanoidze</i>	<i>T. Oniani</i>
<i>T. Ioseliani</i>	<i>N. Tatishvili</i>
<i>N. Mitagvaria</i>	<i>R. Shakarishvili</i>
<i>D. Mikeladze</i>	<i>N. Javakhishvili</i>

## ADVISORY BOARD

<i>N. Antelava</i>	<i>G. Naneishvili</i>
<i>A. Asatiani</i>	<i>N. Okujava</i>
<i>R. Gagua</i>	<i>G. Sanadze</i>
<i>A. Gamkrelidze</i>	<i>I. Svanidze</i>
<i>M. Zaalishvili</i>	<i>G. Tatishvili</i>
<i>F. Todua</i>	<i>E. Kemertelidze</i>
<i>G. Ioseliani</i>	<i>V. Kipiani</i>
<i>G. Kvesitadze</i>	<i>N. Kipshidze</i>
<i>P. Kintraya</i>	<i>B. Tsinamdzgvirishvili</i>
<i>I. Lazrishvili</i>	<i>T. Chanishvili</i>
<i>G. Lezhava</i>	<i>S. Khechinashvili</i>
<i>L. Managadze</i>	<i>R. Khetsuriani</i>
<i>B. Mosidze</i>	<i>A. Khomassuridze</i>

Proof-reader: *D. Davituliani*

Computer design and make-up: *A. Surmava*

Published by Non-Governmental Organization "Biomed", 2004  
14, L. Gotua Str., Tbilisi, 0160

## შესარჩხი

## СОДЕРЖАНИЕ

## CONTENTS

### ბრონქული ასთმის გაურნალობა ანთროპოსოფიული საუკლებელი

ლ. ანდრიაშვილი, რ. ქარსელაძე, ლ. ჟორჟოლიანი

### ЛЕЧЕНИЕ БРОНХИАЛЬНОЙ АСТМЫ АНТРОПОСОФИЧЕСКИМИ СРЕДСТВАМИ

Л. Андриашвили, Р. Карселадзе, Л. Жоржолiani

### TREATMENT OF BRONCHIAL ASTHMA WITH ANTHROPOSOPHIC REMEDIES

L. Andriashvili, R. Karseladze, L. Zhorzholiani ..... 439

### გვერდული სივრცეთი ვებსიტების გვერდის სივრცეთი

### დაყოვენებული ავოდენებით უდაბლეს გაიხვება (MACACA MULATTA)

ლ. ბაკრაძე, მ. დაშნიანი, ა. ნოსელიძე, ნ. ჩხიკვიშვილი

### ОЦЕНКА ЭГОЦЕНТРИЧЕСКОЙ ПРОСТРАНСТВЕННОЙ ПАМЯТИ НИЗШИХ ОБЕЗЬЯН (MACACA MULATTA) ПУТЕМ ПРОСТРАНСТВЕННЫХ ОТСРОЧЕННЫХ ТЕСТОВ

Л. Бакрадзе, М. Дашиани, А. Носелидзе, Н. Чхиквишвили

### ASSESSMENT OF EGOCENTRIC SPATIAL MEMORY IN THE MONKEYS (MACACA MULATTA) WITH AN AID OF SPATIAL DELAYED RESPONSE TESTS

L. Bakradze, M. Dashniani, A. Noselidze, N. Chkhikvishvili ..... 447

### პორმონდამოკიდებული ვორთაბვების ძნევა


გ. ბერაძე, თ. ბერელაშვილი, ლ. ბეგელაძე, თ. ბექაია, ლ. გომელაური,  
მ. ლომინაძე, ნ. ნიჯარაძე, ლ. მესტვირიშვილი, გ. ბექაია

### ПОВЕДЕНИЕ ГОРМОНОЗАВИСИМЫХ КРЫС

Г. Берадзе, Т. Берелашвили, Л. Бегеладзе, Т. Бекая, Л. Гомелаури, М. Ломинадзе,  
Н. Нижарадзе, Л. Мествиришвили, Г. Бекая

### BEHAVIOR OF THE HORMONE-DEPENDENT RATS

G. Beradze, T. Berelashvili, L. Begeladze, T. Bekaya, L. Gomelauri, M. Lominadze,  
N. Nizharadze, L. Mestvirishvili, G. Bekaya ..... 455



## II

ოპლუზის ანომალიათა  
ძლიერებული გამოვლინება და სტრუქტურა

ო. დარჯანია

**КЛИНИЧЕСКИЕ ПРОЯВЛЕНИЯ И СТРУКТУРА  
АНОМАЛИЙ ОККЛЮЗИИ ЗУБОВ**

О. Дарджания

**CLINICAL MANIFESTATIONS AND STRUCTURE OF  
OCCLUSION ANOMALIES**

O. Darjania.....

461

უდაბლე გაიანებაზი (MACACA MULATTA) 06300-00000-00000

დაყოვნებული რეაციის გესერულებას კანონობრივებას დაყოვნების  
პროცესი სენსორული სისტემის უნდივიური გამოთიხვის პირობებაზი

გ. დაშნიანი, ლ. ბაკრაძე, რ. არაგველი, თ. ნანეიშვილი

**ЗАКОНОМЕРНОСТИ ИСПОЛНЕНИЯ ТЕСТА**

**ИНВЕРТИРОВАННОЙ ОТСРОЧЕННОЙ РЕАКЦИИ**

**НИЗШИМИ ОБЕЗЬЯНАМИ (MACACA MULATTA), В УСЛОВИЯХ**

**ФУНКЦИОНАЛЬНОГО ВЫКЛЮЧЕНИЯ СЕНСОРНЫХ СИСТЕМ В ПЕРИОД ОТСРОЧКИ**

М. Дашиани, Л. Бакрадзе, Р. Арагвели, Т. Нанейшвили

**REGULARITIES OF INVERTED DELAYED RESPONSE PERFORMANCE**

**IN THE MONKEYS (MACACA MULATTA) IN CONDITIONS OF**

**FUNCTIONAL ELIMINATION OF THE SENSORY SYSTEMS**

M. Dashniani, L. Bakradze, R. Aragveli, T. Naneishvili .....

469

ერთობლივების ზოგიერთი სტრუქტურული განვევებების ცვლილების

დინამიკა აროტატის აღენოკარციონოზი დავადებულ

გაგაკაცებაზი პლასტიკური ორქექტომიის შემთხვევაში

6. ვეშაპიძე, ე. ხუციშვილი, მ. ალიბეგაშვილი, ქ. არცივაძე, თ. ჩიგოგიძე,  
ლ. მანაგაძე, ზ. ზურაბაშვილი, ნ. კოტრიკაძე

**ДИНАМИКА ИЗМЕНЕНИЯ**

**НЕКОТОРЫХ СТРУКТУРНЫХ**

**ПОКАЗАТЕЛЕЙ ЭРИТРОЦИТОВ МУЖЧИН,**

**БОЛЬНЫХ АДЕНОКАРЦИНОМОЙ ПРОСТАТЫ,**

**ПОСЛЕ ПЛАСТИЧЕСКОЙ ОРХЭКТОМИИ**

Н. Вешапидзе, Е. Хуцишвили, М. Алибегашвили, К. Арцивадзе, Т. Чигогидзе,  
Л. Манагадзе, З. Зурабашвили, Н. Котрикадзе

**DYNAMICS OF ALTERATIONS**

**OF SOME STRUCTURAL INDICES**

**IN THE ERYTHROCYTES IN THE MEN**

**WITH PROSTATE ADENOCARCINOMA,**

**FOLLOWING PLASTIC ORCHECTOMY**

N. Veshapidze, E. Khutishvili, M. Alibergashvili, K. Artsivadze, T. Chigogidze,  
L. Managadze, Z. Zurabashvili, N. Kotrikadze.....

477

## ХРОМАТОГРАФИЧЕСКИЙ АНАЛИЗ ГАЛОПЕРИДОЛА В СМЫТОМ С ПОВЕРХНОСТИ ЭРИТРОЦИТОВ СУПЕРНАТАНТЕ

Зур. Зурабашвили, И. Ичкитидзе

კალორიმეტრულის ძროგა ტრიტრაზი უდი ანალიზი  
ერთოროვითის ზედაპირიდან ჩამორჩებილ სუპერნატანტი

ზურ. ზურაბაშვილი, ი. იჩქიტიძე

ANALYSIS OF HALOPERIDOL IN THE SUPERNATANT  
WASHED OUT FROM THE RYTHROCYTES

Zur. Zurabashvili, I. Ickitidze ..... 489

## INFLUENCE OF TEMPERATURE ON GROWTH AND DEGRADING ABILITY OF MICROORGANISMS CAPABLE FOR DESTRUCTION OF 2,4,6-TRINITROTOLUENE AND MINERAL OIL

L. Tinikashvili, Kh. Varsimashvili, N. Gagelidze,

L. Amiranashvili, D. Chrikishvili, E. Kirtadze,

G. Khatisashvili, M. Gogoberidze

ტემპერატურის გავლენა

2,4,6-ტრიტროტროლუენულისა და

2060-ტრიტროტროლუენულის ზემოთ და

803-ტრიტრობანისა ზემოთ და დეგრადაციულ უნარი

ლ. თინიკაშვილი, ხ. ვარსიმაშვილი, ნ. გაგელიძე,

ლ. ამირანაშვილი, დ. ჭრიკიძეშვილი, ე. კირთაძე,

გ. ხატისაშვილი, მ. გოგობერიძე

## ВЛИЯНИЕ ТЕМПЕРАТУРЫ НА РОСТ

### И ДЕГРАДИРУЮЩУЮ СПОСОБНОСТЬ

### МИКРООРГАНИЗМОВ, РАЗЛАГАЮЩИХ

### 2,4,6-ТРИНИТРОТОЛУОЛ И МИНЕРАЛЬНОЕ МАСЛО

Л. Тиникашвили, Х. Варсимашвили, Н. Гагелидзе, Л. Амиранияшвили, Д. Чрикишвили,

Э. Киртадзе, Г. Хатисашвили, М. Гогоберидзе ..... 493

## LEFT-HANDERS AT RISK:

### SOCIAL AND HEALTHCARE PROBLEM IN GEORGIA

B. Kotetishvili, Z. Vardiashvili, M. Makashvili, M. Gugushvili, T. Azmaiparashvili,

T. Chikovani, T. Tsereteli

ცავიები საზოგადოების წინაშე –

საზოგადოებისა და ჯანდაცვის პროგლემა საქართველოში

ბ. ქოტეტიშვილი, ზ. ვარდიაშვილი, მ. მაკაშვილი, მ. გუგუშვილი,

თ. აზმაიფარაშვილი, თ. ჩიქოვანი, თ. ჭერეთელი

## ЛЕВОРУКИЕ ДЕТИ В ОПАСНОСТИ –

### ПРОБЛЕМА ОБЩЕСТВА И ЗДРАВООХРАНЕНИЯ В ГРУЗИИ

Б. Котетишвили, З. Вардиашвили, М. Макашвили, М. Гугушвили,

Т. Азмайпарашвили, Т. Чикованы, Т. Церетели ..... 499

## IV

ADAPTOGENIC EFFECTS OF PITUITRIN	505
M. Kunchulia	
<b>ათენისინი ადამიერი გვერდი</b>	
მ. ქუნჭულია	
АДАПТОГЕННЫЕ ЭФФЕКТЫ ПИТУИТРИНА	
М. Кунчулля .....	
EPILEPTIC SEIZURES AND BENZODIAZEPINE BINDING SITE OF $\gamma$ -AMINOBUTYRIC ACID RECEPTOR IN DIFFERENT BRAIN REGIONS OF KROUSHINSKY-MOLODKINA RATS	
N. Kuchiashvili, A. Berulava, I. Mamulaishvili, R. Solomonia	
ეპილეპტიკური ძრუნებები და გამა-ამინობორბოს მშავას რეცეპტორის გენერაციას გვერდი და გამა-ამინობოს განვითარებები საიტი კრუშინსკი-მოლოდკინის ხაზის ვირტუალური ტვინის სევადახვა უავაგო	
ნ. ქუჩაშვილი, ა. ბერულავა, ი. მამულაიშვილი, რ. სოლომონია	
ЭПИЛЕПТИЧЕСКИЕ СУДОРОГИ И БЕНЗОДИАЗЕПИНОВЫЙ САЙТ РЕЦЕПТОРА ГАММА-АМИНОАСЛЯННОЙ КИСЛОТЫ В РАЗНЫХ УЧАСТКАХ ГОЛОВНОГО МОЗГА КРЫС ЛИНИИ КРУШИНСКОГО-МОЛОДКИНОЙ	
Н. Кучиашвили, А. Берулава, И. Мамулаишвили, Р. Соломония.....	511
MODULATION OF POSTSYNAPTIC RESPONSES OF CORTICAL NEURONS BY LARGER BRAIN REGIONS DURING STIMULATION OF BLACK SUBSTANCE	
T.Sh. Labakhua, G.L. Bekaya, S.M. Butkhuzi, T.K. Janashia, R.P. Kashakashvili, G.I. Gedevaniashvili, E.V. Abzianidze, G.P. Gurtskaya, T.P. Lagidze	
დიდი ეფენდის მიზის ხეირით გამოცვლის პირადულებები მარცვის მიმღებადი შავი სანატაციის სტიმულაციისას	
თ. ლაბახუა, გ. ბეკაია, ს. ბუთხუზი, თ. ჯანაშია, რ. ქაშაკაშვილი, გ. გედევანიშვილი, ე. აბზიანიძე, გ. გურცკაია, თ. ლაგიძე	
MODULATION OF POSTSYNAPTIC RESPONSES OF CORTICAL NEURONS DURING STIMULATION OF BLACK SUBSTANCE	
T. Labakhua, G. Bekaya, S. Butkhuzi, T. Janashia, R. Kashakashvili, G. Gedevanishvili, E. Abzianidze, G. Gurtskaya, T. Lagidze .....	517
QUALITATIVE CONTENT OF INDIVIDUAL COMPONENTS OF ACTINOMYCETE CELL WALL IN SOME SPECIES OF <i>STREPTOMYCES</i> DURING VARIOUS CARBON SOURCE IN CULTIVATION MEDIUM	
Z. Lomtadidze, N. Kotia	
<b>სტრეპტომიცეს ბაქტერიების სახეობის აქტინომიცეტების უკრების კერძო ცალკეული კომპონენტების თვისობრივი შედეგები - ლომთადიძის საბულოვანო არქივის ნახილები წყაროს ცვლის პირობები</b>	
ზ. ლომთადიძე, ნ. კოტია	
КАЧЕСТВЕННОЕ СОДЕРЖАНИЕ ОДНОИЧАСТНИЧЕСКИХ КОМПОНЕНТОВ КЛЕТОЧНОЙ СТЕНКИ АКТИНОМИЦЕТОВ РАЗЛИЧНЫХ ВИДОВ <i>STREPTOMYCES</i> , В УСЛОВИЯХ РАЗНЫХ ИСТОЧНИКОВ УГЛЕРОДА В КУЛЬТИВАЦИОННОЙ СРЕДЕ	
З.Ш. Ломтадидзе, Н.Г. Котия .....	

<b>დოქტორის განთხლის</b>	
<b>სტრუქტურული თავისებურებაზე ნორმაზი</b>	
ქ. მარდალეშვილი, ქ. ციხისტავი	
<b>СТРУКТУРНЫЕ ОСОБЕННОСТИ ЭПИТЕЛИЯ ЩЕКИ В НОРМЕ</b>	
К. Мардалейшивили, К. Цихистави	
<b>STRUCTURAL PECULIARITIES OF HEALTHY CHEEK EPITHELIUM</b>	
K. Mardaleishvili, K. Tsikhistavi.....	533
<b>საქართველოს გუბერნიი მიერადური უფლების</b>	
<b>რადიოაქტივობის კლასიფიკაცია</b>	
თ. მუსელიანი, თ. ონიანი, ჯ. ონიანი	
<b>КЛАССИФИКАЦИЯ РАДИАКТИВНОСТИ</b>	
<b>ПРИРОДНО-МИНЕРАЛЬНЫХ ВОД ГРУЗИИ</b>	
T. Museliani, T. Oniani, D. Oniani .....	
<b>CLASSIFICATION OF RADIOACTIVITY</b>	
<b>IN NATURAL MINERAL WATERS OF GEORGIA</b>	
T. Museliani, T. Oniani, J. Oniani .....	537
<b>თოლუენის ინტრაკამბიულ ზეპაზლება</b>	
<b>თერირ ვირტაგვების მამოძრავებელი სისტემის</b>	
<b>სტრუქტურების კონფიგურაციების განვითარება</b>	
დ. მუსერიძე, ე. დიდიმოვა, ი. ბრეგვაძე, ლ. გეგენავა, ნ. ღვიანიძე, ი. სვანიძე	
<b>ВЛИЯНИЕ ТОЛУОЛА</b>	
<b>НА ПОСТНАТАЛЬНОЕ РАЗВИТИЕ СТРУКТУР</b>	
<b>ДВИГАТЕЛЬНОЙ СИСТЕМЫ БЕЛЫХ КРЫС</b>	
Д. Мусеридзе, Е. Дицимова, И. Брегвадзе, Л. Гегенава, Н. Гвинадзе, И. Сванидзе	
<b>INFLUENCE OF TOLUENE INTOXICATION</b>	
<b>ON POSTNATAL DEVELOPMENT OF MOTOR SYSTEM IN THE RATS</b>	
D. Museridze, E. Didimova, I. Bregvadze, L. Gegenava, N. Gvinadze, I. Svanidze .....	541
<b>ИЗУЧЕНИЕ ВЛИЯНИЯ ЭТАНОЛА НА РОСТ АКСОНОВ IN VITRO И КОРРЕКЦИЯ</b>	
<b>ЭТОГО ВЛИЯНИЯ ПЛАФЕРОНОМ-ЛБ</b>	
Д.П. Мусеридзе, И.К. Сванидзе, В.И. Бахуташвили	
<b>ვითანელის ზეპაზლების გესტაცია</b>	
<b>აქსონების ზრდაზე და ამ ზეპაზლების პორეპცია</b>	
<b>კლავირონ-ლბ-ს მემკონით კულტივირების პოროგები</b>	
დ. მუსერიძე, ი. სვანიძე, ვ. ბახუთაშვილი	
<b>INVESTIGATION OF ETHANOL ACTION</b>	
<b>ON THE AXONAL GROWTH <i>IN VITRO</i> AND</b>	
<b>CORRECTION OF THIS ACTION WITH PLAFERON-LB</b>	
D. Museridze, I. Svanidze, V. Bakhutashvili .....	547

ძრობის გარემოთი დაგვიღებულია პრეზარატ “სუპერ ლანგი”-ს  
უფრავობოვობის გაუნაყობის გენენიზის საკითხების მიზანის

6. ნაკაიძე

ОБ ОСНОВНЫХ МЕХАНИЗМАХ ЛЕЧЕНИЯ УЛЬТРАФОНОФОРЭЗОМ  
ПРЕПАРАТА “СУПЕР ЛАНГ” БОЛЬНЫХ ХРОНИЧЕСКИМ БРОНХИТОМ

H.B. Nakaidze

ON THE MECHANISM OF TREATMENT WITH ULTRAPHONOPHORESIS OF  
PREPARATION “SUPER LUNG” IN THE PATIENTS WITH CHRONIC BRONCHITIS

N. Nakaidze ..... 553

INDUCTION OF APOPTOSIS OF PRIMARY NEURONAL/GLIAL CELLS  
BY NOVEL HETEROCYCLIC COMPOUNDS

K. Nachkebia, N. Natvlishvili, D. Mikeladze

ცირობ/გლიური უქოდების ააოფონის გამოვლენა

ახალი პეტერობის გარემონტი

ქ. ნაჭებაძე, ნ. ნაცვლიშვილი, დ. მიქელაძე

АПОПТОЗ НЕЙРОНАЛЬНЫХ И ГЛИАЛЬНЫХ КЛЕТОК,  
ВЫЗВАННЫЙ НОВЫМИ ГЕТЕРОЦИКЛИЧЕСКИМИ СОЕДИНЕНИЯМИ

К. Начкебия, Н. Нацвлишвили, Д. Микеладзе ..... 559

ПРИМЕНЕНИЕ РЕАКЦИИ ПАССИВНОЙ ГЕМАГГЛЮТИНАЦИИ  
ДЛЯ ЭКСПРЕСС-ДИАГНОСТИКИ СИБИРСКОЙ ЯЗВЫ

C. Rigvava, M. Natidze, R. Sharp, M. Bubashvili, D. Gogiashvili, N. Chanishvili,  
M. Tediashvili, L. Kavtaradze, N. Vardzelashvili, M. Karukhnishvili

აასორი კევაბლუთინაციის რეაქციის გამოყენება

ჯილდების მძარხე-დიაგნოსტიკისათვის

ს. რიგვავა, მ. ნატიძე, რ. შარპ, მ. ბუბაშვილი, დ. გოგიაშვილი, ნ. ჭანიშვილი,  
მ. თედიაშვილი, ლ. კავთარაძე, ნ. ვარძელაშვილი, მ. კარუქნიშვილი

IMPLEMENTATION OF PASSIVE AGGLUTINATION REACTION  
IN EXPRESS-DIAGNOSTICS OF ANTHRAX

S. Rigvava, M. Natidze, R. Sharp, M. Bubashvili, D. Gogiashvili, N. Chanishvili,  
M. Tediashvili, L. Kavtaradze, N. Vardzelashvili, M. Karukhnishvili ..... 565

МЕСТНЫЙ МОЗГОВОЙ КРОВОТОК В МИНДАЛЕВИДНОМ КОМПЛЕКСЕ ГОЛОВНОГО  
МОЗГА КРЫС ПРИ НАЧАЛЬНОЙ СТАДИИ ИНФОРМАЦИОННОЙ ПАТОЛОГИИ ПОВЕДЕНИЯ

И.Р. Kvachakidze, Л.М. Gumberidze, M.I. Nebieridze, M.Z. Lominadze,  
I.G. Erkomaishvili, N.G. Pipia

სისხლის აგგლორიზმის აიარდვა მცველი ინფორმაციული პათოლოგიის  
(საყიდის სტადია) მდრევი ვორთაბვების თავის ტვინის ნუკლეარ პრეცენტაციი

ი. ქვაჩაკიძე, ლ. გუმბერიძე, მ. ნებიერიძე, მ. ლომინაძე, ნ. ერკომაიშვილი, ნ. ფიფა

LOCAL CEREBRAL BLOOD FLOW IN AMYGDALOID COMPLEX OF THE RATS  
AT INITIAL STAGE OF INFORMATIONAL PATHOLOGY OF BEHAVIOR

I. Kvachakidze, L. Gumberidze, M. Nebieridze, M. Lominadze, I. Erkomaishvili, N. Pipia ..... 571

სასის ტონზილების აათომორფოლოგიური ცვლილებები  
ძრონიპული ტონზილითის ღრღნს

გ. გორჯომელიძე

**ПАТОМОРФОЛОГИЧЕСКИЕ ИЗМЕНЕНИЯ НЁБНЫХ МИНДАЛИН  
ПРИ ХРОНИЧЕСКОМ ТОНЗИЛЛИТЕ**

М. Горджомелидзе

**PATHOMORPHOLOGICAL ALTERATIONS IN PALATE TONSILS  
DURING CHRONIC TONSILLITIS**

M. Gorjomelidze ..... 577

პროსტატის ადენოკარცინოზი დავალებული გაგამავების სისხლის  
გეტაპლიტური აარამაბიტური ცენტრების შესავალა  
კლასტიკური ორგანიზაციის უზრუნველყოფა

ქ. ხუციშვილი, მ. ჭელიძე, ნ. ვეშაპიძე, თ. სანიკიძე, ლ. მანაგაძე, თ. ჩიგოგიძე,  
ნ. კოტრიკაძე

**ИССЛЕДОВАНИЕ МЕТАБОЛИЧНЫХ ПАРАМАГНИТНЫХ ЦЕНТРОВ  
В КРОВИ МУЖЧИН, БОЛЬНЫХ АДЕНОКАРЦИНОМОЙ ПРОСТАТЫ,  
ПОСЛЕ ПЛАСТИЧЕСКОЙ ОРХЭКТОМИИ**

Е. Хуцишвили, М. Челидзе, Н. Вешапидзе, Т. Санникадзе, Л. Манагадзе, Т. Чигогидзе,  
Н. Котрикадзе

**THE BLOOD METABOLIC PARAMAGNETIC CENTERS IN THE MEN WITH  
PROSTATE ADENOCARCINOMA, FOLLOWING PLASTIC ORCHECTOMY**

E. Khutsishvili, M. Chelidze, N. Veshapidze, T. Sanikidze, L. Managadze, T. Chigogidze,  
N. Kotrikadze ..... 583

გაილეატობენური ზღურალის ცვლილებები ძოლ-ძვიდილის გადაწყი  
და ლურჯი ლაპას ზონას ზონას გააძლიერების ვონები

ლ. ხუჭა, ქ. სარალიძე, თ. იოსელიანი

**ИЗМЕНЕНИЕ ЭПИЛЕПТОГЕННОГО ПОРОГА В ЦИКЛЕ СНА И БОДРСТВОВАНИЯ  
И ПОСЛЕ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ АКТИВАЦИИ СИНЕГО МЕСТА**

ლ. Хучуა, ე. Саралидзе, თ. Иоселиани

**CHANGES IN EPILEPTOGENIC THRESHOLDS OF BRAIN IN SLEEP-WAKING  
CYCLE AND AFTER ACTIVATION OF LOCUS COERULEUS**

L. Khuchua, E. Saralidze, T. Ioseliani ..... 595

**06სტრუქცია ავტორთათვის**

## ბრონეული ასთმის მპურნალობა ანთროპოსოფიული საშუალებებით

ლ. ანდრიაშვილი, რ. ქარსელაძე, ლ. უთიშოვლიანი

შ.ა.ს. “თერაპიის სახლი”, თბილისი; პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი  
ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 15.04.2004

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ანთროპოსოფიული სამეცნიერო საშუალებების გამოყენების კლინიკური ეფექტურობის შეფასება, ბრონქული ასთმის მეურნალობისას ბავშვთა ასაქში.

დასახული მიზნის მისაღწევად შემუშავებული იყო გამოკვლევის სპეციალური ანკეტა-კითხვარი. დაკვირვება მიმდინარეობდა ორი წლის განმავლობაში პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის და შ.ა.ს. “თერაპიის სახლის” ბაზაზე. ძირითად ჯგუფს შეადგენდა 3-დან 16 წლამდე ასაკის ბრონქული ასთმით დაავადებული 72 ბავშვი, რომელთაც აღნიშნებოდათ ინტერმისიული და პერსისტიული (მსუბუქი და საშუალო სიმძიმის) ბრონქული ასთმა. აღნიშნული კონტინგენტი გაყოფილი იყო ორ ჯგუფად. I ჯგუფს შეადგენდა 40 ბავშვი, რომელთა მეურნალობა მიმდინარეობდა ანთროპოსოფიული სამეცნიერო საშუალებებით, ხოლო II ჯგუფს – 32 ბავშვი, რომელთა მეურნალობა ხდებოდა კლასიკური სქემით. ანთროპოსოფიული სამეცნიერო საშუალებები ააქტიურებს ბავშვში არსებულ განმარტნებებს და ებმარება მას დაავადების დაძლევაში.

დინამიკური დაკვირვება გრძელდებოდა 2 წლის განმავლობაში. მეურნალობის ეფექტურობა შეფასდა ფილტვის სასიცოცხლო ტევადობაზე დაკვირვებით, დინამიკაში და სპეციფიკური IgE-ს დონის განსაზღვრით. ბრონქული ასთმის მეურნალობაში ანთროპოსოფიული სამეცნიერო საშუალებების გამოყენებამ დაავადების კლინიკური მახასიათებლების მკვეთრი გაუმჯობესება და ასთმაზე კონტროლის შესაძლებლობა მოგვცა, კლასიკურ სამეცნიერო საშუალებებთან შედარებით.

საქანძო სიტყვები: ბრონქული ასთმა, ანთროპოსოფიული საშუალებები, განმაკურნებელი ძალები, ფილტვის სასიცოცხლო ტევადობა

ბრონქული ასთმა სასუნთქი სისტემის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მძიმე დაავადებაა, რომელიც სერიოზულ სამედიცინო და ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს [1].

სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში 14 წლამდე ასაკის ბავშვთა 10-15%-ს აღნიშნება აღერგიის სხვადასხვა კლინიკური გამოვლინება,

რომელთა 8-10% ბრონქულ ასთმაზე მოდის, რაც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში პროცენტულად პროგრესირებს [15, 16, 17].

საქართველოში ბრონქული ასთმის, ისევე, როგორც სხვადასხვა აღერგიული დაგვადების, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საგრძნობლად დაბალი იყო მსოფლიოს ეპიდემიოლოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, მაგრამ მზარდმა სოციალურ-ეკონომიკურმა და ეკოლოგიურმა ქრიზისმა განაპირობა დაგვადების მკვეთრი პროგრესირება [2, 3, 4, 5, 10].

ეინაიდან ბრონქული ასთმა მულტიფაქტორული დაგვადებაა, აუცილებელია მის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში გამოყენებულ იქნას გამომწვევე მიზეზების დიფერენცირებული, ინდივიდუალური აღმოჩენა და მათთან ბრძოლა; ამავე დროს, აუცილებელია ავადმყოფ ბავშვში განმაკურნებელი ძალების, ასევე ინდივიდუალურად, გააქტიურება და დახმარება [6, 7, 8, 18].

ამ მიმართულებით, კლასიკური მედიცინის შემავსებლად მოქმედებს ანთროპოსოფიულად ორიენტირებული მედიცინა, რომელიც ჟურნობა რა კლასიკურ-საბუნებისმეტყველო მედიცინას, წარმოადგენს მის განვრციობას ადამიანის სულიერ-მშენევირი არსების გათვალისწინებით [4, 11, 18, 19].

ორგანიზმში ფიზიოლოგიურად უწყვეტად მიმდინარეობს აღმშნებლობა – ნიეროერებათა ცვლის ნაკადი და დაშლა – ნერვულ-მგრძნობელობით ნაკადი, რომელთა გამაწონასწორებელია რიტმული სისტემა [8, 9, 12, 13].

ბრონქული ასთმის დროს გამნელებულია ამოსუნთქვა, რაც გლუკი მუსკულატურის სპაზმის, ბრონქიოლების შეშუპების და ლორწოვანი გარსის პიპერსეკრეციის შედეგია. სპაზმის მიზეზია გრძნობადი სხეულის გადაჭარბებული მოქმედება. გრძნობადი სხეული ნერვულ-მგრძნობელობით სფეროში მოქმედებს მაკონცენტრირებლად, მაციორმირებლად, რაც ხელს უწყობს შეგრძნებების და აზრების ჩამოყალიბებას [9, 18, 19]. რიტმულ სისტემაში არ უნდა მოხდეს ჭარბი ფორმირება, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა უნდა იყოს რიტმული და დინამიკური. როდესაც გრძნობადი სხეული ჭარბად მოქმედებს, რიტმულ სისტემაში წარმოიშვება სპაზმი, ხდება პაერის შეკავების ტენდენცია. მას უპირისპირდება სასიცოცხლო სხეული, სეკრეციის გაძლიერებით. თუკი გრძნობადი სხეულის მოქმედება კიდევ უფრო გაძლიერდა, სეკრეტი მკვრივდება შარკო-ლეიიდენის კრისტალებამდე. ეს კრისტალები შედგება ოქტაედრის ფორმის, დაშლილი ერთინოვილური ლეიკოციტზებისაგან. წარმოიქმნება მინერალური სუბსტანცია, რომელიც ნერვულ-მგრძნობელობითი სფეროსთვის არის დამახასიათებელი, რადგან რიტმული სისტემის ფუნქციაა გაწონასწოროს, ერთი მხრივ, ნერვულ-მგრძნობელობითი, ხოლო მეორე მხრივ, ნივთიერებათა ცვლის ნაკადი, ადგილი აქვს სუნთქვის ნორმალური რიტმის დარღვევას. რადგან, ასეთ შემთხვევაში, დაავადება არის არა თავის ადგილზე მყოფი ბუნებრივი პროცესი, შესაბამისად, მკურნალობა შეიძლება ბუნებრიდან აღებული სამკურნალო საშუალებებით, რაც შეესაბამება დაგვადების ინდივიდუალურ კლინიკურ სურათს. ასეთი საშუალებები იწვევენ ორგანიზმში იმუნოსტიმულაციას ან იმუნომოდულაციას. შესაძლებელია როგორც სასიცოცხლო, ასევე გრძნობად დონეზე ზემოქმედება [10, 11, 14, 17].

## მასალა და მთობები

კვლევა ჩაუტარდა ბრონქული ასთმით დაავადებულ 72 ბავშვს, რომელთა ასაკი იყო 3-დან 16 წლამდე. გამოსაკვლევი ჯგუფის რეპრეზენტატულობისა და შემთხვევითობის თავიდან აცილების მიზნით, გამოყენებული იქნა რანდომიზაციის მარტივი მეთოდი.

აღნიშვნული კონტინგენტი გაყოფილი იყო ორ ჯგუფად. I ჯგუფს შეადგენდა 40 ბავშვი, სადაც მეურნალობა მიმდინარეობდა ანთროპოსოფიული სამკურნალო საშუალებებით (ძირითადი ჯგუფი). II ჯგუფს კი – 32 ბავშვი, სადაც მეურნალობა მიმდინარეობდა კლასიკური სქემით (საკონტროლო ჯგუფი).

ორივე ჯგუფი გაყოფილი იყო ორ ასაკობრივ ქვეჯგუფად (A და B). A ქვეჯგუფში (3-7 წელი) ანთროპოსოფიული საშუალებებით მეურნალობა მიმდინარეობდა Gencydo 3% (weleda) – ინჰალაცია 3-ჯერ კვირაში და Cuprum aceticum comp. (wala) glob. per os 5-5 ც. 3-ჯერ დღეში, დაავადების სიმძიმის მიხედვით, 3-6 კვირიანი კურსებით და პაუზებით. B ქვეჯგუფში (7-16 წელი) მეურნალობა მიმდინარეობდა ანთროპოსოფიული სამკურნალო საშუალებებით – Levico 3 (weleda) – ინჰალაცია 3-ჯერ კვირაში, Tabacum cupro culta (weleda) per os – 10 წევთი 3-ჯერ დღეში, დაავადების სიმძიმის მიხედვით, 5-6 კვირიანი კურსებით და პაუზებით.

კლინიკო-ალერგოლოგიური და ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული მახასიათებლების შესწავლა წარმოებდა გაფართოებული საეციფიკური კითხვარის საფუძველზე. კითხვარში გათვალისწინებული იყო ბრონქული ასთმის ეტიოლოგიური სტუქტურა, გარეგანი სუნთქვის ფუნქციური მაჩვენებლები, IgE-ს სპეციფიკური დონე.

ბრონქული გამავლობის მდგომარეობას ვსაზღურავდით გარეგანი სუნთქვის ფუნქციის შეფასების საფუძველზე. ისაზღვრებოდა შემდეგი პარამეტრები: ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა (VC), ფორსირებული ამოსუნთქვის მოცულობა პირველ წამში (FEV<sub>1</sub>), ტიფნოს კოეფიციენტი (FEV<sub>1</sub>/VC), ფორსირებული ამოსუნთქვის მაქსიმალური სიჩქარე (PEF); ამოსუნთქვის მაქსიმალური სიჩქარე 75%, 50%, 25% ამოსუნთქვის დონეზე (FLOW 75%, FLOW 50%, FLOW 25%), ფორსირებული ამოსუნთქვის მაქსიმალური ტევადობა (MTT-C).

სპეციფიკური IgE-ს დონეს ვსაზღვრავდით ერთსაფეხურიანი იმუნოქრო-მატოგრაფიული ტესტის გამოყენებით, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სისხლის შრატში ან პლაზმაში იმუნოგლობულინ E-ს საერთო რაოდენობას გამოხატულს IU/მლ-ში.

გარეგანი სუნთქვის ყველა პარამეტრისათვის დათვლილი იყო საშუალო არითმეტიკული, სტანდარტული გადახრა საშუალოდან, საშუალოს სტანდარტული შეცდომა. არითმეტიკულ მაჩვენებლების შორის განსხვავების სარწმუნობა განისაზღვრა დისპერსიული ანალიზით (One-Way ANOVA-ს საშუალებით). გამოთვლილ იქნა კოეფიციენტი და მისი სტატისტიკური სანდოობა P.

## უეღეგები და გათი გაცემა

ჩვენს მიერ შემუშავებული ინდივიდუალური მკურნალობა გულისხმობდა სამკურნალო სქემის შერჩევას კონკრეტულ ავადმყოფთან, დაავადების ხასიათისა და ფორმის გათვალისწინებით. კვლევის მეთოდები გულისხმობდა დინამიკაში (მკურნალობის დაწყებამდე და მის შემდეგ) პაციენტის კლინიკური მახასიათებლების შეფასებას. დამატებით გაანალიზებდით იმ შეტევების სიხშირეს, რომელიც საჭიროებდა გადაუდებელ დახმარებას და ინტენსიურ თერაპიას, მკურნალობის დაწყებამდე და მკურნალობის დასრულებისას (24 თვის შემდეგ).

აღნიშნული პარამეტრების პარალელურად, მკურნალობის დაწყებამდე და 24 თვის შემდეგ, ისაზღვრებოდა გარეგანი სუნთქვის ფუნქციური მდგრამარების მაჩვენებლები და IgE-ს დონე. მკურნალობის კურსის დაწყებამდე და დასრულებისას (24 თვის შემდეგ).

ძირითად ჯგუფში მკურნალობა მიმდინარეობდა გამწვავების და რემისის პერიოდში – კურსობრივად. პაციენტებს მკურნალობის პერიოდში, მდგომარეობის მიხედვით, შეეძლოთ მიეღოთ პერიორალური ბრონქოდილატატორები, რომელთა გამოყენებაც დასაშვები იყო დასაწყისში, დოზის თანდათანობით შემცირებით სრულ მოხსნამდე. მკურნალობის პროცესში სულ 3 პაციენტს დასჭირდა პერიორალური ბრონქოდილატატორის გამოყენება, ისიც პირველ ერთგვირიანი მკურნალობის კურსის დროს, საშუალო სიმძიმის პერსისტიული ასთმის შემთხვევაში.

გამწვავების დროს გამოყენებული იქნა Gencydo 3%, საინპალაციო ფორმით და Levico D3, ასევე საინპალაციო ფორმით. ასევე, გამწვავების დროს, პაციენტებს შეეძლოთ გამოვყენებინათ ხანმოკლე მოქმედების ჩაგონისტები საინპალაციო ფორმით, თუკი ანთროპოსოფიული საინპალაციო სამკურნალო საშუალებები არ მოხსნიდა შეტევას. მკურნალობის პროცესში ჩაგონისტის გამოყენება დასჭირდა სულ 2 პაციენტს, დღეში ერთხელ ინტენსიური მკურნალობის I და II კურსის განმავლობაში.

ბრონქოობსტრუქციის დღის ეპიზოდების რაოდენობის დინამიკურმა ანალიზმა გამოავლინა ძირითად ჯგუფში, მკურნალობის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ, მათი სარწმუნო კლება ( $F = 0,546$ ;  $p = 0,000$ ) (ცხრილი 1). სასწრავო გადაუდებელი დახმარების საჭიროების მიხედვით, საკვლევი ჯგუფების საწყის მონაცემებს შორის სხვაობა არ იყო კონსტატირებული ( $p = 0,964$ ), ხოლო მკურნალობის კურსის დასრულებისას კი, საკონტროლო ჯგუფში გადაუდებელი დახმარების მიმართვა 78,1%-ს შეადგენდა, ხოლო ძირითად ჯგუფში კი არც ერთი შემთხვევა არ იყო რეგისტრირებული.

მკურნალობის უფეჩტურობის შეფასების მიზნით, შეფასდა, აგრეთვე, გარეგანი სუნთქვის ფუნქცია დინამიკაში, მკურნალობის დაწყებამდე და მკურნალობის დასრულებისას. მონაცემები მოტანილია ცხრილში 2.

გარეგანი სუნთქვის ფუნქციური მდგომარეობის მაჩვენებელთა შეფასებამ გამოავლინა სპიროგრაფიული მაჩვენებლების მატება ძირითად ჯგუფში, რაც მოწმობს ბრონქების გამავლობის გაუმჯობესებას და, შესაბამისად, ზოგადად სუნთქვის ფუნქციის გაუმჯობესებასაც. როგორც ცხრილიდან

ჩანს, დადგენილია გარეგანი სუნთქვის ფუნქციური პარამეტრების სტატისტიკურად სარწმუნო მატება, დინამიკაში, ძირითად ჯგუფში, საკონტროლოსთან შედარებით. მნიშვნელოვანი იყო PEF-ისა და FLOW 75%-25% მაჩვენებელთა ზრდა დინამიკაში. საკონტროლო ჯგუფში გარეგანი სუნთქვის ფუნქციური მაჩვენებლების სარწმუნო ცვლილებები შემჩნეული არ იყო.

### ცხრილი 1

**ბრონქოობსტრუქციის დღის ეპიზოდების სიხშირე, აბს. / %  
(კვლევის საწყისი და დასკვნითი ეტაპები)**

ბრონქოობსტრუქციის დღის ეპიზოდების რაოდენობა	საწყისი მონაცემები			მკურნალობის შემდეგ		
	ძირითადი ჯგუფი	საკონტროლო ჯგუფი	სულ	ძირითადი ჯგუფი	საკონტროლო ჯგუფი	სულ
არც ერთი	—	1 / 3,1	1 / 1,4	28 / 70,0	3 / 9,4	31 / 43,1
ერთი ეპიზოდი	22 / 55,0	15 / 46,9	37 / 51,4	12 / 30,0	20 / 62,5	32 / 44,4
ორი ეპიზოდი	16 / 40,0	9 / 28,1	25 / 34,7	0	6 / 18,8	6 / 8,3
სამი და მეტი ეპიზოდი	2 / 5,0	7 / 21,9	9 / 12,5	0	3 / 9,4	3 / 4,2
F = 0,283; P = 0,100			—	F = 0,546; P = 0,000		—

### ცხრილი 2

**გარეგანი სუნთქვის ფუნქციური მდგომარეობა გამოკვლეულ კონტიგენტში  
(დისპერსიული ანალიზი)**

მაჩვ- ნებელი	ძირითადი ჯგუფი (n=40)			საკონტროლო ჯგუფი (n=32)			F	P
	M	m	SE	M	m	SE		
VC	66,04	9,3	1,47	74,56	15,66	2,76	0,431	0,514
FEV1	64,92	9,94	1,57	73,59	15,14	2,67	0,764	0,385
FEV1/VC	79,07	10,57	1,67	94,15	9,22	1,63	1,403	0,24
PEAK-FLOW	56,77	10,65	1,68	60,53	14,25	2,51	1,084	0,301
FLOW 75%	56,8	8,02	1,26	59,21	13,89	2,47	1,421	0,518
FLOW 50%	56,45	7,67	1,21	58,75	20,27	3,58	0,013	0,911
FLOW 25%	58,82	10,36	1,63	60,00	28,35	5,01	0,024	0,877
WTT	124,04	9,15	1,44	132,9	36,54	6,45	0,224	0,637

M – საშუალო

m – სტანდარტული გადახრა

SE – საშუალოს სტანდარტული შეცდომა

აგრეთვე განისაზღვრა სპეციფიკური IgE-ს დონე, რომელიც მეურნალობის დასრულებისას I ჯგუფში პაციენტების 55%-ში მკვეთრად შემცირდა, ხოლო II ჯგუფში, პაციენტების მხოლოდ 3%-ში შემცირდა.

ამრიგად, ბრონქიული ასთმის მეურნალობაში ანთროპოსოფიული სამკურნალო საშუალებების გამოყენებამ, კლასიკურ სამკურნალო საშუალებებთან შედარებით, მოგვცა დაავადების კლინიკური მახასიათებლებისა და ფუნქციური მაჩვენებლების სარწმუნო გაუმჯობესება და ალერგიული ფონის შემცირება.

ანთროპოსოფიულ სამკურნალო საშუალებებს არ გააჩნიათ გვერდითი მოვლენები, ეკოლოგიურად სუფთა ნივთიერებებით და იწვევენ ბავშვები არსებული განმაპეურნებელი ძალების გააქტიურებას, რაც ეხმარება ბავშვის ორგანიზმს დაავადების დაძლევაში.

## ლიტერატურა

1. გამყრელიძე ა., ხეცურიანი ნ., გოთუა მ., გურია ნ. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, ეპიდემოლოგიური ბიულეტენი, 1996, 5, 113-117.
2. გიგაური თ., ჭურაძე თ., ქარსელაძე რ., ლექაგა დ. ბავშვთა ალერგოლოგიის აქტუალური საკითხები, თბილისი, 1996, 31-33.
3. ჭურაძე თ.ა. საქართველოს ბავშვთა ალერგოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია., თბილისი, 1996, 3-8.
4. ტრაიხლერი მ. ანთროპოსოფიული მედიცინის თერაპიული შესაძლებლობები. თბილისი 2000, 10-100 გვ.
5. Брегадзе Л.А., Херхеулидзе Н.Г., Херхеулидзе П.Н. Всесоюзный съезд детских врачей, Тез. докл., Москва, 1982, 279-280.
6. Antonovsky A. Salutogenese. Zur Entmystifizierung der Gesundheit. dgvt, Tübingen 1997, 3-7.
7. Antonovsky A. Modell der Salutogenese, Dissusionsstand und Stellenwert. Köln, 1998, 1-9.
8. Basold A. et al. Heilmittel für typische Krankheiten nach Angaben R. Steiners. Verlag am Goetheanum, Dornach, 1996, 24-36.
9. Börner E.M. Der Merkurstab., 1989, 3, 156-161.
10. Girke M. Der Merkurstab., 1997, 5, 285.
11. Goebel W., Glöckler M. Kindersprechstunde, 14. Aufl. Urachhaus, Stuttgart 2001, 130-135.
12. Hahnemann S. Organon der Heilkunst.Organon Verlag, Stranberg 1985; Aufl. Hippokrates, Stuttgart, 1999, 110-112.
13. Husemann G. Sinnesleben, Seelenwesen und Krankheitsbild. Stuttgart, 1998, 84-88.
14. Lemanske R. Jr. Pediatr. Allergy Immunol., 2002, 13 (Suppl. 15), 38-43.
15. Mutius E. In: Pädiatrische Allergologie und Immunologie. München, 1999, 36-38.
16. Mutius E. Epidemiologie atopischer Erkrankungen, Vortragsabstract. 1999, Suppl. 2, 55, 60-68.
17. Reinhardt D. Asthma bronchiale im Kindesalter. 2. Aufl. Springer Verlag, Berlin – New York, 1996, 12-18.
18. Steiner R. Geisteswissenschaftliche Gesichtspunkte zur Therapie. Rudolf Steiner Verlag, Dornach 4. Aufl. 1984, 44-64.
19. Steiner R. Geisteswissenschaft und Medizin. Rudolf Steiner Verlag, Dornach 7. Aufl. 1999, 130-138.

## ЛЕЧЕНИЕ БРОНХИАЛЬНОЙ АСТМЫ АНТРОПОСОФИЧЕСКИМИ СРЕДСТВАМИ

*Л. Андриашвили, Р. Карселадзе, Л. Жоржолiani*

О.О. “Дом терапии”, Тбилиси; Научно-исследовательский институт педиатрии, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Целью исследования являлось клиническое наблюдение эффективности использования антропософических средств в лечении бронхиальной астмы у детей.

Для решения поставленной задачи, разработали специальную тест-анкету. Наблюдение проводились в течении двух лет на базе О.О.О. “Дом терапии” и Тбилисского научно-исследовательского института педиатрии. Основную группу составляли больные дети 3-16 лет, у которых отмечалась интермисивная и персистивная (лёгкой и средней тяжести) бронхиальная астма. Данный контингент был разделён на две группы: I группа – 40 детей, лечение которых проводилось антропософическими лечебными средствами, II группа – 32 детей, лечение которых проводилось по классической схеме. Антропософические лечебные средства активизируют выздоровительные силы организма и способствуют преодолению болезни.

Динамическое наблюдение продолжалось в течение двух лет. Установлено, что использование в лечении бронхиальной астмы антропософических лечебных средств улучшает клинические показатели болезни и даёт возможность контроля над астмой.

## TREATMENT OF BRONCHIAL ASTHMA WITH ANTHROPOSOPHIC REMEDIES

*L. Andriashvili, R. Karseladze, L. Zhorzhiani*

House of Therapy Ltd., Tbilisi; Institute of Pediatrics, Tbilisi

### SUMMARY

The aim of our study was to evaluate clinical efficiency of the anthroposophic drugs in treatment of bronchial asthma in children.

Special questionnaire has been elaborated. The observation was carried out during two years in Institute of Pediatrics and in House of Therapy. Total of 72 children aged 3-16, with bronchial asthma of intermissional and persistive forms (light and middle gravity) were investigated. The patients were divided into two groups: Group I – 40 children, treated with anthroposophic remedies and Group II – 32 children, treated according to conventional scheme for bronchial asthma treatment. Anthroposophic remedies activate the healing forces in child and help him (her) to overcome the disease.

Dynamic investigation lasted two years. The efficiency was evaluated by means of dynamic observation of lungs' VC and of specific IgE-value measures. The use of anthroposophic remedies in bronchial asthma showed better changes of clinical characteristics and possibilities of disease control, as compared to the classical drugs.

## ეგოცენტრული სიზრდითი მეხსიერების უფასება სიზრდითი დაყოვნებული ამოცანებით უდაბლეს მაიმუნებში (MACACA MULATTA)

ლ. ბაქრაძე, მ. დაშვილი, ა. ნოსელიძე, ნ. ჩხიგვიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 15.06.2004

უდაბლეს მაიმუნებში ( $n = 4$ ) სივრცითი მეხსიერების ეგოცენტრული – “ნავიგაციური ათველების” (dead reckoning) – სისტემის შეფასების მიზნით, ინვერტირებული დაყოვნებული რეაქციის (0დრ) შესრულების კანონზომიერება შეისწავლებოდა კლასიკური (სივრცითი) დაყოვნებული რეაქციის (ძრ) სინჯებთან თანადროული ტესტირების და დაყოვნების პერიოდში სენსორული (მხედველობით და ვესტიბულური) სისტემების ფუნქციური გამოთიშვის პირობებში. გამოვლინდა, რომ 0დრ-ისა და ძრ-ის სინჯებით შერეული ტესტირების პირობებში სწორი პასუხების რაოდენობა 0დრ-ის ამოცანაში – 65%-ს, ხოლო ძრ-ის ამოცანაში – 94%-ს შეადგენს. დაყოვნების პერიოდში სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის პირობებში, სწორი პასუხების რაოდენობა 0დრ-ის ამოცანაში 17%-ს, ხოლო ძრ-ის ამოცანაში – 91%-ს შეადგენს. მიღებული შედეგების თანახმად, 0დრ-ისა და ძრ-ის სინჯებით თანადროული ტესტირების, ანუ პირობითრეულებური პოზიციორების სტრატეგიის გამოყენების შეზღუდვის პირობებში, 0დრ-ის ამოცანაში სწორი პასუხის განხორციელების უნარი “ნავიგაციური ათველების” მექანიზმების მოქმედებას უკავშირდება. შესაბამისად, სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის პირობებში, 0დრ-ის ამოცანაში სწორი პასუხების მნიშვნელოვანი შემცირება “ნავიგაციური ათველების” სისტემაში სენსორული უპარავშირის არარსებობით აიხსნება.

**საკანონო სიტყვები:** სივრცითი მეხსიერება, უდაბლესი მაიმუნები, სივრცითი დაყოვნებული ამოცანა

ექსპერიმენტული მონაცემების თანახმად, ცხოველთა სამყაროს სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელს (მათ შორის ადამიანს), სივრცეში გადაადგილების შემდეგ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების ადგილმდებარეობის განსაზღვრის უნარი გარემოში ორიენტირების შეზღუდვის ან არარსებობის პირობებშიც კი აქვთ [8, 9, 10, 11]. მითნავენ, რომ აღ-

ნიშნული ფუნქცია სივრცითი მეხსიერების ეგოცენტრული სისტემის – “ნავიგაციური ათვლების” (“dead reckoning”) მექანიზმების მოქმედების საფუძველზე ხორციელდება [8, 9, 10]. დამკვირვებლის სივრცეში გადაადგილების შემდეგ, “ნავიგაციური ათვლების” სისტემა დამკვირვებლის მიმართ ობიექტის ადგილმდებარეობის კორექტირებას გადაადგილების თანმდევი სენსორული (მხედველობითი, ვესტიბულური და კინესოთერიკური) ინფორმაციის საფუძველზე ახორციელდებს. ექსპერიმენტულ ნეიროფინქტოლოგიაში, აღნიშნული სისტემის მოქმედების შეფასების მიზნით, ეფექტურად გამოიყენება ინვერტირებული დაყოვნებული რეაქციის (0დრ) ამოცაა, რომელიც კლასიკური (სივრცითი) დაყოვნებული რეაქციის (პდრ) მოდიფიცირებული ვარიანტია [2, 4, 6]. 0დრ-ის ამოცანაში ორიდან ერთ-ერთ კონტეინერში დამალული ობიექტის მოძიების უფლება ცხოველს, 180°-ით როტაციის შემდეგ, სარტულად სიმეტრიული ადგილიდან ეძლევა. შესაბამისად, კონტეინერი, რომელიც აღქმის პერიოდში ცხოველისგან მარჯვნივ მდებარეობდა, საპასუხო რეაქციის განხორციელებისას, მისგან მარცხნივ აღმოჩნდება. მიიჩნევენ, რომ ორიენტირებით დარიბ გარემოში 0დრ-ის ამოცანაში სწორი პასუხების განხორციელება “ნავიგაციური ათვლების” მექანიზმების მოქმედებას უკავშირდება [5, 7], თუმცა, 0დრ-ის ამოცანაში სწორი პასუხების განხორციელება, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს პირობითრეფლექსური პოზიციონების სტრატეგიის საფუძველზეც. ამ შემთხვევაში, საპასუხო რეაქციის განხორციელება იმ მოტორული პროგრამის საფუძველზე ხორციელდება, რომელიც აღქმის მომენტში აირჩევა, მოტორული პროგრამის არჩევას კი, ამოცანის წესის დასწავლა, ანუ პირობითრეფლექსური პროცესები განსაზღვრავს. იგულისხმება, რომ 0დრ-ის ამოცანაში ცხოველს შეუძლია დაისწავლოს საკვების მიღება არა იმ საკვებურიდან, სადაც მას იგი აღქმის პერიოდში აჩვენეს, არამედ მეორე, საწინაბაღდდებულ მხარის საკვებურიდან, რამდენადაც 180°-ით როტაციის შემდეგ საკვებით სწორედ ამ მოტორული პასუხის განმტკიცება ხდება. აღნიშნული ფუნქციური სისტემა, ისევე როგორც “ნავიგაციური ათვლების” სისტემა, სივრცითი მეხსიერების ეგოცენტრული სისტემის ფარგლებში განიხილება. 0დრ-ის ამოცანაში პირობითრეფლექსური პოზიციონების სტრატეგიის გამოყენების შეზღუდვა პდრ-ისა და 0დრ-ის სინჯების თანადროული ტესტირებით არის შესაძლებელი.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა უდაბლეს მაიმუნებში სივრცითი მეხსიერების ეგოცენტრული სისტემის – “ნავიგაციური ათვლების” მექანიზმების მოქმედების ეფექტურობის შეფასება. ამ მიზნით, უდაბლეს მაიმუნებში 0დრ-ის შესრულების კანონზომიერება პდრ-ის ამოცანის სინჯებთან შერეული ტესტირებისა და დაყოვნების პერიოდში მხედველობითი და ვესტიბულური სისტემების ფუნქციური გამოთიშვის პირობებში შეისწავლებოდა.

## გასაღა და გათოვება

ექსპერიმენტები ჩატარებულია მამრობითი სქესის 4 ზრდასრულ უდაბლეს მაიმუნზე (Macaca mulatta). მაიმუნები, ექსპერიმენტის დაწყებამდე 2

წლის განმავლობაში, იმყოფებოდნენ ინსტიტუტის ვიგარიუმის ვოლიერებში და ნაწილობრივ მიჩვეული იყვნენ ექსპერიმენტატორთან კონტაქტს. სივრცითი დაყოვნებული ამოცანები (პდრ და იღრ) დაფუძნებული იყო კვებით მოტივაციაზე და მათი შესრულების ქანონზომიერება ვისკონსინ ტესტ-აპარატის საშუალებით შეისწავლებოდა. ცხოველები, ექსპერიმენტების მთელ პერიოდს, პრიმატოლოგიურ სავარძელებში ატარებდნენ. გამოყენებული ვისკონსინ ტესტ-აპარატი წარმოადგენდა მაგიდას ( $80 \times 30$  სმ), რომელზეც ერთმანეთისგან 50 სმ-ის დაშორებით მოთავსებული იყო ორი იდენტური საკეცებური. მაგიდის გვერდით, კედლებზე სიმეტრიულად მიმაგრებული ორი თანაბარი ზომის მოძრავი ფრთა, საჭიროების შემთხვევაში, მაგიდის სამუშაო ზედაპირის დაფარვის საშუალებას იძლეოდა.

პდრ-ის ამოცანით ტესტირების დროს, ექსპერიმენტატორი საკვებს მაიმუნის თვალწინ ერთ-ერთ საკეცებურში ათავსებდა (აღქმის პერიოდი) და სამუშაო პულტის ზედაპირს, საკეცებურებთან ერთად, სახურავით ფარავდა. წინასწარ განსაზღვრული დროს (დაყოვნების პერიოდი – 30 ს) გასვლის და სახურავის გახსნის შემდეგ, ცხოველს საკეცებმოპოვებითი ინსტრუმენტული აქტის განხორციელების საშუალება ეძლეოდა (შესრულების პერიოდი). პდრ-საგან განსხვავებით, იღრ-ის ამოცანაში საპასუხო რეაქციის განხორციელების საშუალება ცხოველს მაგიდის ირგვლივ  $180^{\circ}$ -ით როტაციისა (ინვერტირების) და დაყოვნების პერიოდის გასვლის შემდეგ ეძლეოდა. ორივე ამოცანაში პასუხი სწორად ითვლებოდა, თუ მაიმუნი პირველივე მცდელობისას გახსნიდა იმ კონტეინერს, რომელშიც აღქმის პერიოდში ათავსებდნენ საკეცებს. არასწორი პასუხის შემთხვევაში, პასუხის კორექციის საშუალება ცხოველს არ ეძლეოდა. სინჯთაშორისი ინტერვალი ვარირებდა  $45\text{--}60$  ს-ს ფარგლებში. ყოველდღიურ სესიაში (32 სინჯი) ცხოველს საკეცები მარჯვენა და მარცხენა საკეცებურში შემთხვევითი თანმიმდევრობით წარედგინებოდა.

ექსპერიმენტები ტარდებოდა ორიენტირებით დარიბ გარემოში. ამ მიზნით გამოიყენებოდა მართულთხა ( $3 \times 4$  მ), ბერებაგაუმტარი მასალით მოპირეობული, უფანჯრო ოთახი. ოთახის კარი და, აგრეთვე, მოპირდაპირე კედლის სიმეტრიული ფართი, იფარებოდა ფარდით. მაგიდის ირგვლივ  $180^{\circ}$ -ით როტაციის შემდეგ, ცხოველი სარკულად სიმეტრიულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა. ამრიგად, იღრ-ის ამოცანაში საკეცების აღგილდებარეობის განსაზღვრისათვის ორიენტირების გამოყენების საშუალება მაქსიმალურად შეზღუდული იყო.

იღრ-ის ამოცანის განხორციელებისას, პირობითორეფლექსური პოზიციების სტრატეგიის გამოყენების შესღებულების მიზნით, ცხოველს დღიურ სესიაში, შემთხვევითი თანმიმდევრობით, წარედგინებოდა 16 პდრ-ის და 16 იღრ-ის სინჯი. აღნიშნული სქემით ცხოველების ტესტირებას ვიწყებდით პდრ-ის ამოცანის წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმის (არაუმტეს 3 შეცდომისა 32 სინჯიდან) დონეზე, ზედიზედ სამი დღის განმავლობაში, შესრულების შემდეგ. იღრ-ის ამოცანის განხორციელებაში “ნავიგაციური ათვლების” მექანიზმების მონაწილეობა ფასდებოდა სატესტო სინჯების შესრულების შედეგების საფუძველზე. სატესტო სინჯები ტარდებოდა


დაყოვნების პერიოდში მხედველობითი და ვესტიბულური სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის პირობებში, რომლებიც ცხოველს (4 დღე, დღიურ სესიაში 8 პლატის და 8 0დრ-ის სატესტო სინჯი), წვეულებრივ სინჯებთან ერთად, შემთხვევითი თანმიმდევრობით წარედგინებოდა. სატესტო სინჯებში მხედველობითი სენსორული სისტემის ფუნქციური გამოთიშვის მიზნით, დაყოვნების პერიოდში ოთახში ვაკერობდით სინათლეს, ხოლო ვესტიბულური სისტემის ფუნქციური გამოთიშვა, დაყოვნების პერიოდში, ცხოველის ვერტიკალური დერძის ორგვლივ მრავალჯერადი ბრუნვით ხორციელდებოდა.

ძირითად და სატესტო სინჯებში მიღებულ შედეგებს შორის განსხვავების სარწმუნობა ვიღკოქსონ-მან-უიტნის U-კრიტერიუმით ფასდებოდა.

## შედეგები და მათი განხილვა

პლატის ამოცანაში სწორი პასუხების რაოდენობა კრიტერიუმის დროებს, ცალკეულ ინდიკიდებში, მე-3, მე-5 დღეს აღწევდა. შესაბამისად, პლატისა და 0დრ-ის ამოცანებით შერეულ ტესტირებას მე-6, მე-8 დღეს ვიწყებდით. შერეული ტესტირების პირველ დღებში აღინიშნებოდა პლატის შესრულების მკეთრი გაუარესება (სურ. 1), ხოლო, 0დრ-ის ამოცანაში, ტესტირების პირველ დღეს, სწორი პასუხების რაოდენობა საშუალოდ 35%-ს შეადგენდა. მომდგვნო 8-10 დღის განმავლობაში დღიურ სესიაში სწორი პასუხების რაოდენობა როგორც 0დრ-ის, ისე პლატის ამოცანაში, მნიშვნელოვნად მერყეობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ოთხივე ცხოველში, ტესტირების ამ პერიოდში, 0დრ-ის სინჯებში სწორი პასუხების რაოდენობის მატების პარალელურად, პლატის შესრულების გაუარესება აღინიშნებოდა, ხოლო პლატის ამოცანაში სწორი პასუხების მატების პარალელურად, 0დრ-ის ამოცანაში სწორი პასუხების რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდებოდა. პლატისა და 0დრ-ის სინჯებით შერეული ტესტირების შედეგები, ერთი ცხოველის მაგალითზე, მოცემულია სურ. 1-ზე. როგორც ჩანს, ტესტირების მოცემულ პერიოდში, ცხოველის მიერ არჩეული სტრატეგია (შესაძლოა, პირობითორეულექსური პოზიცირების სტრატეგია) არ შეიძლება წარმატებული ყოფილიყოფ ერთდროულად პლატის და 0დრ-ის შესრულებისათვის. ლიტერატურის მონაცემებისა [1, 3] და წვენს ექსპერიმენტებში მიღებული შედეგების საფუძველზე, შეიძლება ვიკარაულოთ, რომ პლატის ამოცანაში სწორი პასუხების განსხვრიცელება იმ მოტორული პროგრამის საფუძველზე ხორციელდება, რომელიც ამოცანის აღქმის პერიოდში აირჩევა და ინახება დაყოვნების პერიოდის განმავლობაში. როგორც ჩანს, იგივე სტრატეგია შეიძლება წარმატებული იყოს 0დრ-ის ამოცანაშიც, თუმცა ამოცანის წესი, რომელიც აღქმის მომენტში მოტორული პროგრამის არჩევას განსაზღვრავს, 0დრ-ისა და პლატის ამოცანებში განსხვავდება. საკვების მარჯვენა საკვებურში წარდგენის შემთხვევაში, პლატის ამოცანაში მარჯვენა საკვებურისაკენ, ხოლო 0დრ-ის ამოცანაში – მარცხენა საკვებურისაკნ მიმართული მოტორული პასუხის განმტკიცება ხდება. ამიტომ, 0დრ-ის და პლატის სინჯებით შე-

რეული ტესტირების პირობებში, ამოცანის წესის დასწავლა, რომელიც წარმატებულია პდრ-ის ამოცანაში, წარუმატებული აღმოჩნდება 0ლრ-ის ამოცანისათვის. ანუ პირობითრეფლექსური პოზიცირების სტრატეგიის გამოყენება მხოლოდ ერთი რომელიმე ამოცანით ტესტირების პირობებში შეიძლება იყოს წარმატებული. როგორც ჩანს, ჩვენი ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე, პდრ-ის ამოცანაში სწორი პასუხების მაღალი მაჩვენებლები და 0ლრ-ისა და პდრ-ის ამოცანებით შერეული ტესტირების პირობებში, სწორი პასუხების დაბალი მაჩვენებლები აღნიშნული სტრატეგიის გამოყენებას უკავშირდება.




სურ. 1. სივრცითი დაყოვნებული ამოცანების შესრულების დინამიკა უდაბლეს მაიმუნებში.

0ლრ-ისა და პდრ-ის თანადროული ტესტირების 10-12 დღის შემდეგ, პდრ-ის სინჯებში სწორი პასუხების რაოდენობა თანდათან იმატებდა და მე-15 დღიდან ოთხივე ცხოველისათვის საშუალოდ 90-94%-ის, ხოლო 0ლრ-ის სინჯებში – 65-70%-ის ფარგლებში ვარირებდა. მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ტესტირების მოცემულ ეტაპზე ცხოველი აღარ იყენებს პირობითრეფლექსური პოზიცირების სტრატეგიას, რომლის გამომუშავების ტენდენცია, ტესტირების საწყის ეტაპზე, მისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, პდრ-ისაგან განსხვავებით, 0ლრ-ის ამოცანის განხორციელება (ვისეონსინ ტესტ-აპარატის პირობებში ტესტირებისას) გაცილებით რთულ მოთხოვნებს უყენებს ცხოველს. 0ლრ-ის სინჯებში სწორი პასუხების დაბალი მაჩვენებელი არ უნდა იყოს განპირობებული ინვერტირებასთან დაკავშირებული პროცედურების (ექსპერიმენტატორის გადაადგილება, პრიმატოლოგიური საეარძლის ადგილიდან დაცვა და სხვ.) მეხსიერების კვალზე მაინტერვერირებელი მოქმედებით, რადგან პდრ-ის სინჯებში იგივე პროცედურები (ცხადია, ინვერტირების

გარეშე) პდრ-ის შესრულების გაუარესებას არ იწვევდა. მიუხედვეად დაბალი მაჩვენებლისა, 012-ის ამოცანაში სწორი პასუხების რაოდენობა სარწმუნოდ აღმატება საკვებურის შემთხვევითი არჩევის პირობებში მოსალოდნელ შედეგს. შესაბამისად, ტესტირების ამ ეტაპზე, 012-ის სინჯებში სწორი პასუხების ფორმირება დაკავშირებული უნდა იყოს “ნავიგაციური ათველების” მექანიზმების მოქმედებასთან, ხოლო ინვერტირების შემდეგ, ცხოველის მიმართ საკვებურის ადგილმდებარების კორექცია გადაადგილების თანმდევი სენსორული ინფორმაციის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. ცხადია, ჩვენს ექსპერიმენტებში აფერენტული უკუკავშირის ფუნქციას კინესთეტიკური ანალიზატორი უერ შეასრულებდა, რადგან მაიმუნები ექსპერიმენტის მთელი დროის განმავლობაში მოთავსებული იუვნენ პრიმატოლოგიურ სავარძელში და, დაყოვნების პერიოდში, მოპირდაპირე სიმეტრიულ სიტუაციაში სავარძლით გადაგვეავდა. აღნიშნულ პირობებში ტესტირებისას, მექანიზმების კვალის კორექციაში უპირატესი მნიშვნელობა მხედველობით და ვესტიბულურ ინფორმაციას უნდა პქონდეს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ 012-ის ამოცანის დაყოვნების პერიოდში (ცხოველის ბრუნვის დროს), აღნიშნული სისტემების ფუნქციური გამოთიშვა სწორი პასუხების რაოდენობის მნიშნელოვან შემცირებას უნდა იწვევდეს.

მიღებული შედეგების თანახმად, ინვერტირების პროცესში მხედველობით და ვესტიბულური სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვა 012-ის შესრულების მნიშვნელოვან გაუარესებას იწვევს და სწორი პასუხები 012-ის დღიურ სესიაში მხოლოდ 17%-ს შეადგენს (სურ. 2). 012-ის იმ სინჯებში, რომელებშიც ინვერტირების პროცედურას აღნიშნული აფერენტული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის გარეშე გატარებდით, სწორი პასუხების რაოდენობამ 65% შეადგინა (სურ. 2). უნდა ვივარაუდოთ, რომ 012-ის შესრულების გაუარესება არ არის სენსორული სისტემების ფუნქციურ გამოთიშვასთან დაკავშირებული მანიპულაციების მექანიზმების კვალზე მაიმუნერფერირებელი მოქმედების შედეგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნებოდა 012-ის სინჯებში საკვებურის შემთხვევით არჩევას, რაც ორი საკვებურის პირობებში 50%-ს უნდა შეადგენდეს. იგივეს ადასტურებს პდრ-ის სატესტო სინჯებით ტესტირების შედეგები, რომელთა თანახმად, აღნიშნული პროცედურები მნიშვნელოვან ცვლილებებს დარიდრებული ინფორმაცია არ იწვევდა (სურ. 2). ამრიგად, მიღებული მონაცემების საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტესტირების მოცემულ ეტაპზე, ცხოველის გადაადგილების დროს სენსორულ სისტემებში გენერირებული ინფორმაცია აუცილებელ პირობას წარმოადგენს 012-ის ამოცანაში სწორი პასუხების ფორმირებისათვის, ხოლო სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის პირობებში, 012-ის ამოცანაში სწორი პასუხების რაოდენობის შემცირება ამ ინფორმაციის არასებობით აისხება. აქედან გამომდინარე, ტესტირების მოცემულ ეტაპზე, 012-ის ამოცანაში სწორი პასუხების ფორმირება დაკავშირებულია სივრცითი მეხსიერების ეგოცენტრული სისტემის – “ნავიგაციური ათველების” მექანიზმების მოქმედებასთან. ჩვენს ექსპერიმენტებში ნანახი აღნიშნული სტრა-

ტეგიის გამოყენების დაბალი ეფექტურობა განპირობებული უნდა იყოს ტესტირების პირობებით (მაიმუნების ხანგრძლივი ყოფნა პრიმატოლოგიურ საკარძელში).



სურ. 2. სწორი პასუხების რაოდენობა სიერცით დაყონებულ ამოცანებში მხედველობითი და ვესტიბულური სენსორული სისტემების ფუნქციური გამორთვის გარეშე (1) და გამორთვის ფონზე (2). თითოეულ სვეტში მოცემულია სწორი პასუხების რაოდენობა პროცენტებში, 64 სინჯიდან.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 0ლ-ის და პლ-ის ამოცანებით შერეული ტესტირებისას, როდესაც პოზიციორების სტრატეგიის გამოყენება შეზღუდულია, უდაბლეს მაიმუნებს შეუძლიათ განახორციელონ 0ლ-ის ამოცანაში სწორი პასუხები “ნავიგაციური ათვლების” მექანიზმების მოქმედების საფუძველზე.

## ლიტერატურა

1. ბაქრაძე ლ., დაშვიანი გ., ნანგიშვილი თ., ბურჯანაძე გ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიოლ. სერია – А, 2004, 30, 295-301.
2. დაშვიანი მ., ჭიქვიშვილი ნ., არაველი რ., ნისელიძე ა., ნანეშვილი თ. Журн. ВНД, 2001, 51, 315-319.
3. Нанеишвили Т.Л. Нейрофизиологические основы пространственной краткосрочной памяти. Мецниереба, Тбилиси, 1985.
4. Натиашвили Т.А. Сообщ. АН ГССР, 1972, 93, 161-164.
5. Натиашвили Т.А., Сихарулидзе Н.И., Кадагишвили А.И. Сообщ. АН ГССР, 1980, 99, 457-460.
6. Bremner, J.G. Dev. Psychol., 1978, 14, 346-355.
7. Dashniani M., Chkhikvishvili N., Bakradze L., Aragveli R., Naneishvili T. Bull. Georgian Acad. Sci., 2003, 168, 93-96.
8. Etienne A.S. Navigation of a small mammal by dead reckoning and local cue. Current Direction in Psychological Science. 1992, 1, 48-52.
9. Gallistel C.R. The organization of learning. MIT Press. Cambridge. 1990.
10. Loomis J.M., Klatzky P.L. et all. In: Navigation and Environmental Cognition: Ecological Considerations. Symposium conducted at the 7-th Int. Conf. on Perception and Action, Vancouver, H. Heft. 1993.
11. Roberts R.J.Jr., Aman C.J. Child Development, 1993, 64, 1258-1270.

## ОЦЕНКА ЭГОЦЕНТРИЧЕСКОЙ ПРОСТРАНСТВЕННОЙ ПАМЯТИ НИЗШИХ ОБЕЗЬЯН (MACACA MULATTA) ПУТЕМ ПРОСТРАНСТВЕННЫХ ОТСРОЧЕННЫХ ТЕСТОВ

*Л. Бакрадзе, М. Дашиани, А. Носелидзе, Н. Чхиквишвили*

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

С целью оценки деятельности механизмов "навигационного исчисления" (dead reckoning) эгоцентрической системы пространственной краткосрочной памяти (ПКП) низших обезьян, закономерности исполнения теста инвертированной отсроченной реакции (ИОР) исследовались наряду с исполнением теста пространственной отсроченной реакции (ПОР), а также в условиях функционального выключения сенсорных (зрительной и вестибулярной) систем в период отсрочки.

Выявлено, что в условиях совместного тестирования, количество правильных ответов в teste ИОР составляет 65%, а в teste ПОР – 94%. В условиях выключения (в период отсрочки) сенсорных систем, количество правильных ответов в teste ИОР составляет 17%, а в teste ПОР – 91%. На основе полученных результатов предполагается, что в условиях ограничения возможности применения условнорефлекторного позиционного ответа (достигается путем совместного предъявления в дневной сессии проб ИОР и ПОР), осуществление правильных ответов в teste ИОР определяется деятельностью механизмов "навигационного исчисления" эгоцентрической системы ПКП. Следовательно, в условиях функционального выключения сенсорных систем, уменьшение количества правильных ответов в teste ИОР определяется отсутствием сенсорной обратной связи в системе "навигационного исчисления".

## ASSESSMENT OF EGOCENTRIC SPATIAL MEMORY IN THE MONKEYS (*MACACA MULATTA*) WITH AN AID OF SPATIAL DELAYED RESPONSE TESTS

*L. Bakradze, M. Dashniani, A. Noselidze, N. Chkhikvishvili*

Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

### SUMMARY

With an aim to assess activity of the Dead Reckoning mechanisms of the egocentric system of spatial short-term memory (SSM) in the *Macaca mulatta* monkeys, the regularities of inverted delayed response (IDR) performance were investigated along with performance of classical spatial delayed response (SDR); in addition, these tests were applied in conditions of functional obstruction of the sensory systems (visual and vestibular) during delay period.

It was found that during concomitant testing, the number of correct responses in IDR amounted 65%, while those in SDR – 94%. In conditions of obstructed sensory systems, the number of correct responses in IDR made 17%, while in SDR – 91%. On the basis of the results obtained it was suggested that in case of restricted ability to use the conditional reflectory positioning response (achieved by concomitant application of IDR and SDR within one daily session), manifestation of correct responses in IDR is determined by the activity of the Dead Reckoning mechanisms of the egocentric system of SSM. Therefore, in conditions of obstructed sensory systems, decreased number of correct responses in IDR must be due to absence of the sensory feedback in the Dead Reckoning system.

## პორმოდეამოკიდებული ზორთაგვების ქცევა

გ. ბერაძე, თ. ბერელაშვილი, ლ. ბერელაძე, თ. ბერაძე,  
 ლ. გომელაური, მ. ლომიანაძე, ნ. ნიურაძე,  
 ლ. მესტვირიშვილი, გ. ბერაძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი; საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 15.06.2004

პასიური განრიდების პირობითი რეაქციების ტესტით ნაჩვენებია, რომ ბუნებით აგრესიულ და პორმონდამოკიდებულ გააგრესიულებულ ვირთაგვებს შეიძლის ემოციური რეაქცია (გრძელვადიანი მესსიერება) შემონახული ჰქონდათ სარწმუნოდ უფრო დიდხანს, ვიდრე არააგრესიულ და კასტრირებით აგრესიადაკარგულ ცხოველებს. ბუნებით და პორმონდამოკიდებულ აგრესიულ ცხოველებს, არააგრესიულებისაგან განსხვავდით, აქტიური განრიდების პირობითი რეფლექსი ვერ გამოუმუშავდათ. როგორც ჩანს, ტესტოსტერონი გამააგვილებლად მოქმედებს ცნე-ის იმ სტრუქტურებზე, რომლებიც ემოციით მიმღინარე რეაქციებს განახორციელებენ, ხოლო დამთრუნებულად — იმ წარმონაქმნებზე, რომლებიც აასუსს უემოციოდ მიმღინარე გააგტომატებულ რეაქციებზე აგებენ.

ხანმოქლე მესსიერების დაყოვნებული რეაქციების მეთოდით შესწავლისას გამოირკა, რომ ტესტოსტერონით „გააგრესიულებულ“ ვირთაგვებს დაყოვნების ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაზიარდათ და მიუახლოვდა ბუნებით აგრესიულ ცხოველთა დაყოვნების ხანგრძლივობას, ხოლო აგრესიულ ვირთაგვებს, კასტრირების შემდეგ, აგრესიულობის შემცირებასთან ერთად, სარწმუნოდ შეუმცირდათ დაყოვნების დროც. ხანმოქლე მესსიერების უეკო გამოვლენა, ბუნებით აგრესიულ და პორმონდამოკიდებულ ცხოველებში, არააგრესიულებთან შედარებით, შესაძლოა, სხვა მექანიზმებთან ერთად, განპირობებული იყოს ენდოკრინული მედიატორული, კერძოდ, ანდროგენული, მექანიზმებითაც.

საკვანძო სიტყვები: ბუნებით და პორმონდამოკიდებული აგრესიული ვირთაგვები, მოქლუ და გრძელვადიანი მესსიერება, ტესტოსტერონი

ცნე-ის სტრუქტურები, რომლებიც აგრესიული ქცევის განხორციელებასა და მართვაში მონაწილეობენ, შედარებით კარგადაა შესწავლილი, რასაც ვერ ვიტყვით ენდოკრინულ სისტემაზე, რომელსაც არანაკლები

როდი ენიჭება ამ სახის ქცევის განხორციელებაში. არის მონაცემები სხვადასხვა, განსაკუთრებით კი, სასქესო პორმონების, მონაწილეობაზე აგრესიული ქცევის გამოწვევასა და დათრგუნვაში [1, 6, 9, 13, 14]. ნაკლებადაა შესწავლილი სასქესო პორმონების გავლენა აგრესიული და არა-აგრესიული ვირთაგვების სხვადასხვა სახის ქცევაზე [3, 10].

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მონაცემები ვირთაგვების მოკლუვადიან და გრძელვადიან მეხსიერებაზე ტესტოსტერონის გავლენის შესახებ.

## მასალა და მათოდება

ცდები ჩატარებულია ჯუგუფებად დაყოფილ, 80 უხასო, ზრდასრულ (200-250 გ), მამრ თეთრ ვირთაგვაზე. ცხოველების აგრესიულობა და არა-აგრესიულობა განისაზღვრებოდა კარლის [8] მეთოდით: ვირთაგვას გალიაში უსუსამდით თეთრ თაგეს, თუ ვირთაგვა, 10 წუთის განმავლობაში, კისრის მიდამოში ხერხემლის გადაკვეთით კლავდა თაგეს, იგი აგრესიულად (მევლელად) ითვლებოდა.

ქარხნულად დამზადებული, 1%-იანი ტესტოსტერონის 0,1 მლ (0,2 მგ) შეგვავდა პერიონეუმში, 12 საათის ინტერვალით.

ემოციური ქცევა შეისწავლებოდა პასიური განრიდების მეთოდით [5]. საექსპერიმენტო კამერა ორი განყოფილებისაგან შედგებოდა: ნათელი (დიდი) და ბნელი (პატარა), რომლებიც ერთმანეთთან  $5 \times 6$  სმ ხვრელით იყო დაკავშირებული. ნათელ განყოფილებაში მოთავსებული ვირთაგვა სწრაფად, 3-8 ს-ში, გადადიოდა ბნელ საკანში, სადაც 5 ს განმავლობაში, მეტალის იარაყიდან, დებულობდა ელექტროგადიზინანებას (60 ვოლტი). ამ გზით ფორმირდებოდა შიშის რეაქცია – ვირთაგვა სწრაფად გამორბოდა ნათელ განყოფილებაში და ადარ ბრუნდებოდა ბნელში. შიშის რეაქციის შემონახვა, ანუ პასიური განრიდების პირობითი რეაქციის გამომუშავება, მოწმდებოდა 20 წუთის, 2 საათის შემდეგ, მე-2, მე-4 და შემდგომ დღეებში. თუ ნათელ განყოფილებაში მოთავსებული ვირთაგვა არ გადარბოდა ბნელ განყოფილებაში, შიშის ემოციური რეაქცია (გრეძელვადიანი მეხსიერება) შემონახულად ითვლებოდა. ჩვენი ადრეული გამოკვლევით [3] ნაჩვენები იყო, რომ მიუხედავად მრავალრიცხოვანი მცდელობისა, მოკლევადიანი მეხსიერების შესწავლა აგრესიულ ვირთაგვებში, დაყოვნებული რეაქციების არაპირდაპირი მეთოდით ვერ მოხერხდა. ამიტომ, ვირთაგვების მოკლევადიანი მეხსიერება შევისწავლეთ დაყოვნებული რეაქციების პირდაპირი მეთოდით.

ცხოველი მოთავსებული იყო ორგანული მინისაგან დამზადებულ სასტარტო გალიაში; მშეირ ცხოველს უზრუნველით საკვებს მისგან 80 სმ-ით დაშორებულ რკალურად განლაგებული ოთხი საკვებურიდან ერთ-ერთში. დროის მზარდი ინტერვალების შემდეგ, გალიის კარს ვაღებდით და ცხოველს თავისუფლად შეეძლო გადაადგილება დიდ საექსპერიმენტო კამერაში. თუ ცხოველი დაუყოვნებლივ მიდიოდა იმ საკვებურთან, სადაც მოთავსებული იყო საკვები, რეაქცია დადგებითად ითვლებოდა. კრიტურიუმის მიღწევის შემდეგ, თითოეული ცხოველისათვის ისაზღვრებოდა დაყოვნების რეაქციის სიდიდე, ზუსტდებოდა დაყოვნების მაქსიმუმი და

ხდებოდა ამ მონაცემების შედარება სხვა ჯგუფის ცხოველებში მიღებულ მონაცემებთან. თითოეული ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემი შეშავდებოდა სტატისტიკურად.

## შედეგები და მათი განხილვა

აგრესიული და არააგრესიული ვირთაგვების ქცევის შესწავლით და ველის ტესტით დადგენილ იქნა, რომ აგრესიული ცხოველები ნაკლებად მოძრავი და ემოციური არიან. დადგინდა, აგრეთვე, რომ აგრესიულ ცხოველებს [3] შიშის ემოციური რეაქცია (ჰასიური განრიდების ტესტით) შემონახული აქვთ  $45 \pm 5,5$  დღე. ამასთან, აგზებულობასთან ერთად აღნიშნებათ ბაქიბორე, დეფეკცია და ურინაცია, იმ დროს, როდესაც არააგრესიულ ცხოველებს შიშის ემოციური რეაქცია 30 დღეზე ნაკლებად აქვთ შემონახული.

დაყოვნებული რეაქციების მეთოდით შესწავლილი, აგრესიული ვირთაგვების დაყოვნების ხანგრძლივობა  $93 \pm 1,61$  ს იყო, ხოლო არააგრესიულების –  $58,8 \pm 1,49$  ს. ეს მონაცემები მიანიშნებს, რომ აგრესიული და არააგრესიული ვირთაგვების გამიჯვნა შესაძლებელია ჰუმანური, კარგად აპრობირებული ფიზიოლოგიური მეთოდებით.

ბუნებით აგრესიული ცხოველები (I ჯგუფი) ტესტოსტერონის პირველი შევანიდან უკვე 6 საათის შემდეგ ზედმეტად აგრესიულები ხდებოდნენ: დრღინიდნენ გალიის მეტალის ბალეს, აქტიურად ებრძოდნენ წარმოსახვით მტერს, გალიაში ჩასმულ თაგვს უმაღლ კლავდინენ ხერხემლის გადაღრღნით და შემდგომ მსხვერპლს ექცედნენ. მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ (96 სთ), ისინი შედარებით წყნარდებოდნენ. მე-6 – მე-8 დღისათვის მათი ქცევა ემსგასებოდა ინექციამდე აღრიცხულ მოქმედებას.

ბუნებით არააგრესიული ვირთაგვები (II ჯგუფი) პირველი ინექციიდან 12 სთ-ის შემდეგ ამჟღავნებდნენ აგრესიულობის ნიშნებს: მათი გალიიდან გამოყვანა გამნელებული იყო, ისინი იყინებოდნენ და თავს ესხმოდნენ ექსპერიმენტატორს, დგებოდნენ უკანა ფეხებზე “მოკრივის” პოზაში, სუნთქვა ქოშინის ტიპის პერნდათ, დეფეკცია და ურინაცია – შეზღუდული. გალიაში ჩასმულ თაგვს უნოსავდნენ, დასდევდნენ დასაჭრად, სწრაფი ნახტომით თავს ესხმოდნენ, ურტყამდნენ თათს, კბენდნენ. პორმონდა-მოკიდებული გააგრესიულებული 14 ცხოველიდან მხოლოდ ერთმა მოკლა თაგვი და შემდეგ მოსცილდა მსხვერპლს. ტესტოსტერონის შევანის შეწყვეტიდან, 72-96 საათის შემდეგ აგრესიულობა მნიშვნელოვნად სუსტებოდა, ხოლო მე-6 – მე-8 დღეს, ცხოველების ქცევა ნორმას უბრუნდებოდა.

აგრესიული ვირთაგვები (III ჯგუფი) სტერილურ პირობებში ჩატარებული კასტრირების შემდეგ, უკვე მეორე დღეს კარგავდნენ ადრე გამოვლენილი მეტელების ფუნქციას, თუმცა აგრესიულობის ელემენტები შენარჩუნებული პერნდათ: თავს ესხმოდნენ გალიაში ჩასმულ თაგვს, თათს ურტყამდნენ, მაგრამ არ კბენდნენ.

II ჯგუფის ცხოველებს (პორმონდა-მოკიდებული გააგრესიულებლები), რომელთაც ჰასიური განრიდების რეაქციის ტესტით, შიშის ემოციური რეაქცია შემონახული პერნდათ 30-ზე ნაკლებ დღეს ( $24 \pm 5,2$ ), ტესტოსტე-

რონის შეფვანის შემდეგ ამ რეაქციის შემონახვის ვადა 18-დან 4 ცხოველს გაეწარდა, საშუალოდ,  $36 \pm 3,3$  დღემდე, ხოლო 14-ს – რეაქცია, საშუალოდ, 45 დღის განმავლობაში ჰქონდათ შემონახული. ამ ტესტით, არააგრძელებული, ტესტოსტერონით დატვირთული, ცხოველები აგრესიული ცხოველებისათვის დამახასიათებელი ქცევის ნიშნებს ამზღავნებდნენ.

პასიური განრიდების რეაქციის გამომუშავებისას ადვრიცხავდით დაფუძნდიასა და ურინაციას, გრუმინგებსა და ვერტიკალურ დგომას. ამით განრიდების რეაქციის მეთოდიკაში შეგვერთნდა დია ველის ტესტირების ელემენტები, რაც ექსპერიმენტს უფრო ინფორმაციულს ხდიდა და ცხოველთა ემოციური მდგომარეობის შეფასების უკეთეს საშუალებას გვაძლევდა.

ადსანიშნავია, რომ ბუნებით და პორმონდამოკიდებულ აგრესიულ ცხოველებში, არააგრძესიულებისაგან განსხვავებით, ერ მოხერხდა აქტიური განრიდების პირობითი რეაქციის გამომუშავება.

ამ სერიის ცდებიდან გამომდინარე ნათელია, რომ შიშის ემოციური რეაქციის შემონახვასა და ფორმირებას აადგილებს ტესტოსტერონის შეფვანა, როთაც გამოიწვევა არააგრძესიული ცხოველის აგრესიულობა და, პირიქით, აძნელებს გააგტომატებული დაცვითი პირობითი რეფლექსების გამომუშავებას, რაც, ფაქტობრივად, ცხოველებში ემოციური ფონის გარეშე მიმდინარეობს. შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ ტესტოსტერონის შეფვანით გამოწვეული აგრესია მოქმედებს ისეთ ინდივიდუალურ ქცევით აქტებზე რომელთა ფორმირებასა და განსხვრციელებაში ემოციურ მდგომარეობას აქვს მნიშვნელობა და ტესტოსტერონით გამოწვეული ნეირონდოკრინული ძერტი, რომლებიც საფუძლად დაედო „ნერმალური“ ვირთაგვების აგრესიულად გარდაქმნას, იწვევს ცნე-ის იმ სტრუქტურების მოქმედების გააქტიურებას, რომლებიც პასუხისმგებელია მებარეებასა და მის ფორმირებაზე, რაც გამოიხატა, ერთი მხრივ, შიშის ემოციური რეაქციის ფორმირებისა და შემონახვის გაადგილებაში და, მეორე მხრივ, პირობითრეფლექსური დაცვითი ქცევის, ორმხრივი განრიდების რეაქციის ფორმირების განხელებაში.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აგრესიული ვირთაგვების დაყოვნების ხანგრძლივობა ( $93 \pm 1,61$ ), არააგრძესიულებოთან შედარებით ( $58,8 \pm 1,49$ ), საშუალოდ 34,2 სეკუნდით მეტი აღმოჩნდა. კასტრირებულ ცხოველებზე (III ჯგუფი, კასტრაციიდან 6 დღის შემდეგ) ჩატარებული ცდებით გამოირკვა, რომ კასტრირებული (ყოფილი აგრესიულები) ვირთაგვების დაყოვნების რეაქციის ხანგრძლივობა, საშუალოდ,  $60 \pm 1,54$  სეკუნდს უდრიდა. კასტრაციის გავლენა დაყოვნებული რეაქციის ხანგრძლივობაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა I ჯგუფს (აგრესიულ) 6 ვირთაგვაზე (რომელთაც გამოკვლეული ჰქონდათ დაყოვნების ხანგრძლივობა) ჩატარებული ცდებით. სათესლეების ამოკეეთისა და ოპერაციის შემდგომი პერიოდის შემდეგ, გამოირკვა, რომ აგრესიულობის “დაქარგვის” პარალელურად მნიშვნელოვნად,  $\approx 32$  სეკუნდით, დაკვეითდა დაყოვნებული რეაქციის ხანგრძლივობა ( $93 \pm 1,61$ -დან  $61 \pm 2,86$  სეკუნდამდე).

II ჯგუფის (არააგრძესიული) 6 ცხოველის დაყოვნების რეაქციის ხანგრძლივობა ტესტოსტერონის გავლენით, გააგრძესიულებასთან ერთად, გაიზარდა  $58,8 \pm 1,49$ -დან  $86 \pm 2,0$  ს-მდე, ე.ი. საშუალოდ 27,2 ს-ით.

ამრიგად, დადგინდა, რომ სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით (კატა, ძაღლი), ვირთავებში ხანმოკლე მექანიზმების შესწავლა დაყოვნების რეაქციის არაპირდაპირი მეთოდით გაძნელებულია, ან საერთოდ არ ხერხდება. რაც შეეხება ხანმოკლე მექანიზმების შესწავლას, დაყოვნებული რეაქციების არაპირდაპირი ტესტით, აღმოჩნდა, რომ ბუნებით აგრესიული და ბუნებით არააგრესიული, მაგრამ ტესტოსტერონით დატვირთული ცხოველების დაყოვნების ხანგრძლივობა სარწმუნოდ მეტია, ვიდრე არააგრესიული და კასტრაციის შემდეგ აგრესიულობადაკარგული ცხოველებისა.

რიგი მევლევარების გამოკვლევებით [9, 15] ნაჩვენებია, ერთი მხრივ, კასტრაციის შემდგომი აგრესიული ცხოველების “ნორმალიზაცია”, ხოლო ტესტოსტერონის შეყვანით ნორმალურ ცხოველებში აგრესიულობის ნიშნების გამოჩენა, მეორე მხრივ, აგრესიული ქცევის ფორმირებაში სეროტონინის განსაკუთრებული როლი. კერძოდ, აგრესიულობის ზრდას უკავშირებნ თავის ტვინში სეროტონინის რაოდენობის შემცირებას [7, 12, 13]. სხვა გამოკვლევებით ნანახია მექანიზმების გაუმჯობესება (დასწავლის უნარის გაუმჯობესება) სეროტონინის რაოდენობის შემცირებისას [2].

სემოთქმულიდან გამოდინარე, შეიძლება ვივარაულოთ, რომ მამრობითი სასქესო ჰორმონი უნდა მონაწილეობდეს ცხოველთა აგრესიული ქცევის წარმართვაში, შესაძლოა, თავის ტვინის მონოამინერგული სისტემების მედიატორული ამინმეავებისა და სხვა ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე სემოქმედებით, მათ შორის, სეროტონინერგული სისტემის შეტანილი მის დათრგუნვით [4, 11, 13, 15]. თუ ეს ასეა, მაშინ გასაგებია აგრესიულ და ტესტოსტერონდამოკიდებულ ვირთაგვებში, არააგრესიულ და კასტრირებულ ცხოველებთან შედარებით, მოკლევადიანი მექანიზმების მაჩვენებლის – დაყოვნებული რეაქციის დროის მეტი ხანგრძლივობა.

## ლიტერატურა

- Albert D.J., Jonik R.H., Walsh M.L. Neurosci. Rev., 1992, 16, 177-192.
- ალექსეი ბ. ნეიროქიმიის საფუძვლები. თსუ-ს გამომცემლობა, 1993, 2, 390-404.
- Barkaia Le., Barkaia La., Terashvili M., Beradze G., Bekiaia T., Iordanishvili G., Nikolaisvili M., Bekiaia G. Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser., 1998, 24, 35-39.
- Battoglia G., Cabrera T., Van Doka L.D. NIDA Research Monograph, 1995, 158, 15-48.
- Essman W.B., Alpen H.P. Psychol. Rept., 1964, 14, 731-740.
- Everts M.G., De Ruiter A.J., Koolhaas J.M. Horm. Behav., 1997, 31, 2, 136-144.
- Grimes J.M., Melloni R.H.Jr. Pharmacol. Biochem. Behav., 2002, 73, 3, 713-725.
- Karli P. Behavior, 1956, 10, 81.
- Lucion A.B., De Almeida R.M., Da Silva R.S. Braz. J. Med. Biol. Res., 1996, 29, 12, 1657-1662.
- Mc Ginnis M.Y., Lumia A.R., Breuer M.E., Possidente B. Horm. Behav., 2002, 41, 1, 101-110.
- Михаилови Н., Гогуадзе Р., Чипашвили М., Алексидзе Н. Сообщ. АН Грузии, 1995, 2, 387-391.
- Miczek K.A., Debold J.F., Van Erp A.M. Behav. Pharmacol., 1994, 5, 407-421.
- Nikolaishvili M., Iordanishvili G., Nadareishvili K. Radiation Studies, 1998, 8, 32-40.
- Putnam S.K., Du I., Sato S., Hull F.M. Horm. Behav., 2001, 39, 216-224.
- Tamaki T., Shiraiishi T., Matsumiya T., Roy R.R., Edgerton V.R. Med. Sci. Sports Exerc., 2003, 35, 32-38.

## ПОВЕДЕНИЕ ГОРМОНОЗАВИСИМЫХ КРЫС

*G. Beradze, T. Berelashvili, L. Begeladze, T. Bekaya, L. Gomelauri,  
M. Lominadze, N. Nizharadze, L. Mestvirishvili, G. Bekaya*

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси; Государственная медицинская Академия Грузии, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Тестом условных реакций пассивного избегания показано, что у агрессивных по природе и гормонозависимых агрессивных крыс эмоциональная реакция страха (долгосрочная память) сохранялась достоверно дольше, чем у неагgressивных и кастрированных – лишенных агрессивности, животных. У природно агрессивных и гормонозависимых животных, в отличие от неагgressивных, условный рефлекс активного избегания выработать не удалось. Видимо, тестостерон имеет “положительное” влияние на структуры ЦНС, осуществляющие эмоционально протекающие реакции и тормозящее – на структуры, ответственные за автоматизированные реакции, протекающие без эмоции.

При изучении краткосрочной памяти методом отсроченных реакций выяснилось, что у “агрессированных” тестостероном крыс длительность отсрочки значительно возросла и приблизилась к таковой у агрессивных животных, тогда как после кастрации агрессивных крыс, параллельно с подавлением признаков агрессивности, длительность отсрочки достоверно сократилась. Лучшее проявление краткосрочной памяти у агрессивных по природе и гормонозависимых животных, по сравнению с неагgressивными, возможно, наряду с другими механизмами, обусловлено и эндокринными медиаторными (в частности, андрогенными) механизмами.

## BEHAVIOR OF THE HORMONE-DEPENDENT RATS

*G. Beradze, T. Berelashvili, L. Begeladze, T. Bekaya, L. Gomelauri,  
M. Lominadze, N. Nizharadze, L. Mestvirishvili, G. Bekaya*

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi; Georgian State Medical Academy, Tbilisi

### SUMMARY

With an aid of passive avoidance response test it was shown that naturally aggressive and hormone-induced aggressive rats retained emotional reaction of fear (long-term memory) significantly longer than the non-aggressive ones and the aggressive rats, which were pacified by castration. Unlike the non-aggressive rats, the naturally aggressive and hormonally-prompted aggressive ones did not acquire active avoidance conditional reflex. Presumably, testosterone ‘positively’ affects those structures of the CNS, which subserve the responses carried out with participation of emotions; this hormone, on the other hand, suppresses the structures controlling the non-emotional, automated responses.

In the studies of short-term memory, by means of the method of delayed responses, it was shown that the testosterone-prompted aggressive rats had significantly longer delays that closely approached those, which were recorded in the naturally aggressive rats. Meanwhile, in the naturally aggressive rats, following castration, along with decreased aggressiveness, delay periods did decrease significantly. The better manifestation of short-term memory in the naturally aggressive and hormone-dependent rats, as compared to the non-aggressive rats, along with other mechanisms, may be determined by the mediator endocrine (specifically, androgenic) mechanisms.

## ოკლუზის აცომალიათა პლიტერი გამოვლინება და სტრექტურა

თ. დარჯახიძე

შ.პ.ს. “ორთოდონტიული ცენტრი”, თბილისი

მიღებულია 03.06.2004

მომართვიანობის საფუძველზე შესწავლიდ 6-დან 16 წლამდე 2054 პაციენტის კლუვის ანალიზმა ცხადყო, რომ ყბა-ებილთა სისტემის ანომალიებს შორის დომინირებს ოკლუზიური ანომალიები – 65,2%. სტრექტურულად, მაღალი ხევდროით წილით, დისტალური ოკლუზია გამოვლინდა 24,4%-ში, ღრმა დიზოკლუზია – 11%-ში, და შეზიალური ოკლუზია 7,8%-ში. ლია დიზოკლუზის და ირიბი ოკლუზის სიხშირე სარწმუნოდ დაბალია აღმოჩნდა ( $P < 0,05$ ).

ყბა-ებილთა ანომალიების რეტროსექტიულმა ანალიზმა გამოავლინა, აგრეთვე, სხვადასხვა ნოზოლოგიის თანაარსებობის მაღალი წილი. გამოკვლეულ პრეულაციაში, ერთ ინდივიდზე, საშუალოდ 6,34 ნოზოლოგიის არსებობა იყო კონსტატირებული.

კბილთა ანომალიებიდან, ოკლუზის ანომალიებთან შერწყმის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კონსტატირებულია დგომის ანომალიების შემთხვევებში – 95,3%; რაც შეეხება კბილთა რკალის ანომალიებს, დადგინდა, რომ ზედა ყბის კბილთა რკალის შევიწროვება მაღალი და თითქმის თანაბარი სიხშირით იყო წარმოდგენილი და – (36,7%), ღრმა დიზოკლუზის (34,5%) და დისტალური ოკლუზის (31,1%) შემთხვევაში; თანაბილების ნოზოლოგიური სტრექტურის მოხედვით, ყბების დეფორმაციათა სიხშირის შეფასებაში გამოავლინა, რომ ზედა ყბის V-მაგვარი დეფორმაცია შედარებით მაღალი იყო დისტალური ოკლუზის (11,6%) და ღრმა დიზოკლუზის (12,2%) შემთხვევებში.

ოკლუზის ანომალიების დადგენილი სიხშირე მოითხოვს არსებული პრობლემის გადაწყვეტას კომპლექსური, პროფილაქტიკური პროგრამების, თანამედროვე დიაგნოსტიკური მეთოდების, მკურნალობის და პაციენტების შემდგომი რეაბილიტაციის საშუალებით, პოპულაციური და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ოკლუზია, კბილთა ანომალიები, კბილთა რკალის ანომალიები, ყბების დეფორმაციები

ყბა-ებილთა სისტემის ანომალიების მქონე პაციენტთა წარმატებული ორთოდონტიული მკურნალობა და შემდგომში მათი კომპლექსური რეა-

ბილიტაცია, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ანომალიების სისტემის მკვეთრ ზრდასთან ერთად [3].

ლიტერატურის მონაცემებით, ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების სისტემი არაერთგვაროვანია და მერყეობს 11,09-დან 70,71%-მდე [2].

შერადლებას იპყრობს ოკლუზიის ანომალიათა სისტემის მკვეთრი ზრდა, რომელიც ასევე არაერთგვაროვანია, მერყეობს 30%-50% ფარგლებში და წარმოადგენს ერთ-ერთ ურთულეს ანომალიას, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ მას თან ერთვის კბილების, კბილთა რკალების, ყბების დეფორმაციები და ასევე, ოკლუზიის სხვა ანომალიები.

ლიტერატურის მონაცემებით ოკლუზიის ანომალიათა სისტემი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა. ასე მაგალითად, რუსეთში 35% [1], პოლანდიაში 45% [4], შვეციაში 30,3% [5], ფინეთში 45%, ნორვეგიაში 37% [6], ქოლუმბიაში 88% [6]. ამგვარად, ოკლუზიის ანომალიათა მაღალი გავრცელება, მათი არაერთგვაროვნება, ამავე დროს კბილთა, კბილთა რკალის და ყბების ანომალიების შერწყმა განაპირობებს სამუშაოს აქტუალობას და გვაძლევს საშუალებას მომავალში გამოვიმუშავოთ კომპლექსური, პროფილაქტიკური პროგრამები, დავგეგმოთ ორთოდონტიული მეურნალობა და პაციენტის შემდგომი კომპლექსური რეაბილიტაცია, პოპულაციური და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით.

## მასალა და მეთოდები

ჩენ შევისწავლეთ ყბა-კბილთა ანომალიების სისტემი მომართვიანობის მიხედვით. შესწავლით იქნა 6-დან 16-წლამდე ასაკის 2054 ბავშვი, რომელთა შორის 1321 (64,3%) გოგონა და 733 (35,7%) ვაჟი იყო. ამ პაციენტებს ჩაუტარდათ კლინიკური, ფუნქციური, რენტგენოლოგიური გამოკვლევები, კერძოდ, ორთოპანთომოგრამა, 800 შემთხვევაში, და კონსულტაციები სხვადასხვა პროფილის პედიატრების მიერ. მიღებული მასალა დამუშავებულია სტატისტიკურად, კომპიუტერული პროგრამა SPSS-ს საშუალებით.


## უკანასი და მათი განხილვა

ჩატარებული კვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მომართვიანობის სტრუქტურაში პრევალირებდა ოკლუზიის ანომალიები, რაც შეადგენდა 65,2%-ს. შემდებული შედეგები მოცემულია სურ. 1-ზე.


აქედან ნათელია, რომ თანაბრილვის ანომალიების სტრუქტურაში მაღალი ხევდრითი წილი დისტალური ოკლუზიის (22,4%) შემთხვევებზე მოდის. ამ ანომალიის სტრუქტურაში შემდგავი ადგილი, სისტემით, ეკუთვნის ღრმა დისტალურისა (11%) და მეზიალური ოკლუზიის (7,8%) შემთხვევებს, ხოლო ღია დისტალურის და ირიბი ოკლუზიის სისტემი სარწყუნოდ ( $P < 0,05$ ) დაბალი აღმოჩნდა.

შეფასებულ იქნა ყბა-კბილთა სხავდასხვა ანომალიის თანაარსებობის სისტემი თანკბილვის ანომალიების სხვადასხვა ნოზოლოგიურ გამოვლი-

ნებასთან. მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზით კბილთა ფორმის ანო-  
 მალიები შედარებით მაღალი სიხშირითაა წარმოდგენილი, ირიბი ოკლუ-  
 ზის, და დიზოკლუზის, მეზიალური ოკლუზის და დისტალური ოკლუ-  
 ზის შემთხვევებში. მიღებული შედეგები მოტანილია სურ. 2-ზე.



სურ. 1. ოკლუზის ანომალიათა ნოზოლოგიური სტრუქტურა გამოკვლეულ პო-  
 ჭყლაციაში.



სურ. 2. კბილთა ფორმის ანომალიების თანაარსებობის სიხშირე ოკლუზის ანო-  
 მალიების დროს.

კბილთა ზომის ანომალიების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ყველაზე  
 ხშირად გვხვდება მაკროდენტის შემთხვევები, განსაკუთრებით დისტა-

ლური ოკლუზის (27,8%) და ღრმა დიზოკლუზის (24,5%) დროს. შედარებით დაბალი ხედრითი წილითაბ წარმოდგენილი ღრმა დიზოკლუზისა (17,3%) და მეზიალური ოკლუზის (6,8%) შემთხვევები. მიკროდენტის სიხშირე შედარებით მაღალია მეზიალური (5,1%) და დისტალური (2,8%) ოკლუზის შემთხვევებში. თანებილვის სხვადასხვა ნოზოლოგიური გამოვლინების დროს, მთლიანობაში მიკროდენტის სიხშირე 14,5%-ს შეადგენს.

ქბილთა რიცხვის ანომალიების ოკლუზის ანომალიებთან თანაარსებობა შედარებით დაბალი ხედრითი წილით იქნა წარმოდგენილი. ადენტისა და ზეკომპლექსური ქბილების სიხშირემ 5,1% შეადგინა, რომელთაგან ადენტის 3,9% შემთხვევა იყო გამოვლენილი, უპირატესად მუზიალური ოკლუზის (6,3%) და ღრმა დიზოკლუზის (3,6%) დროს.

ქბილთა ანომალიებიდან, ოკლუზის ანომალიებთან შერწყმის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კონსტატირებული იქნა დგომის ანომალიების შემთხვევათა გაანალიზებით. ქბილთა ნორმალური დგომა აღნიშნებოდა გამოკვლეულთა მხოლოდ 4,7%-ს.

ქბილთა დგომის ანომალიები – ორალური, ვესტიბულური, მეზიალური და დისტალური – დიაგნოსტირებული იქნა მაღალი სიხშირით და განსაკუთრებით დისტალური ოკლუზის, ღრმა დიზოკლუზისა და მეზიალური ოკლუზის შემთხვევებში. რაც შეეხება ქბილთა დგომის სხვა ანომალიებს – სუკრა-, ინფრა-, ტორტო- და ტრანსპოზიციოს – დიაგნოსტირებული იყო შედარებით იშვიათად.

მონაცემები მოგრანილია ცხრილში 1.

ქბილთა ამოჭრის ვადების დარღვევა – ნაადრევი ამოჭრა აღნიშნა გამოკვლეულთა 24%-ს. ამოჭრის ვადების დაგვიანება განსაკუთრებით ხშირი იყო დისტალური ოკლუზის (27,2%), ღრმა დიზოკლუზისა (23,3%) და ირიბი ოკლუზის (17,4%) დროს. ქბილთა დაგვიანებული ამოჭრის შემთხვევები შედარებით დაბალი სიხშირით იქნა ნანახი მეზიალური ოკლუზის (9,7%), ღრმა დიზოკლუზის (8,2%) და ირიბი ოკლუზის (6,5%) დროს.

გამოკვლეულ კლინიკურ პოპულაციაში შეფასებულ იქნა, აგრეთვე ქბილთა რკალის დეფორმაციების ოკლუზის ანომალიების თანაარსებობის სიხშირე. მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 2.

ცხრილში მოტანილი შედეგები მეტყველებს, რომ ზედა ყბის ქბილთა რკალის ანომალიები მაღალი სიხშირით იქნა გამოვლენილი: შევიწროვება ნანახი იყო 36%-ში, რომელიც მაღალი და თითქმის თანაბარი წილით იყო წარმოდგენილი ღრმა (36,7%), ღრმა დიზოკლუზისა (34,5%) და დისტალური ოკლუზის (31,1%) შემთხვევებში. ქბილთა რკალის დაგრძელება ზედა ყბაზე დიაგნოსტირებულ იქნა შემთხვევათა 19,8%-ში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კონსტატირებულ იქნა დისტალური ოკლუზის (53,3%) დროს. ზედა ყბის ქბილთა რკალის დაგრძელება შედარებით დაბალი და თანაბარი სიხშირით გამოვლინდა ღრმა (31,3%) და ღრმა დიზოკლუზის (22,6%) დროს. ზედა ყბის ქბილთა რკალის დამოკლებას ადგილი პქონდა 16,6%-ში და ყველაზე მაღალი სიხშირით ერწყმოდა მეზიალური ოკლუზის (35,2%) ანომალიას. ცხრილის მონაცემები, ასევე ცხადყოფს, რომ ქვედა ყბის ქბილთა რკალის ანომალიები შედარებით იშვიათი იყო.

ქვედა ყბის კბილთა რეალის შევიწროვება აღინიშნა 24,3%-ში, თოთქმის თანაბარი განაწილებით – ლრმა დიზოკლუზის (19,3%), დისტალური ოკლუზის (17,3%) და დია დიზოკლუზის (16,3%) შემთხვევებში. ქვედა ყბის კბილთა რეალის დაგრძელება და დამოკლება უმნიშვნელოდ იყო წარმოდგენილი (4,7 და 5,1%, შესაბამისად). ამასთანავე, ნოზოლოგიათა შიხედვით გაკეთებულმა ანალიზმა გამოავლინა მეზიალური ოკლუზის დროს ქვედა ყბის კბილთა რეალის დაგრძელების შედარებით მაღალი სისტორე (31,8%).

3b60000-1

ქბილთა დღომის ანომალიათა თანაარსებობის სიხშირე  
ოკლუზის ანომალიების დროს

Georgo 2

ზედა და ქვედა ყბის კბილთა რქალის დეფორმაციების სიხშირე  
ოკლუზის ანომალიების დროს

ყბების დეფორმაციების ოკლუზების ანომალიებთან შერწყმის გაანალიზებამ გამოავლინა, რომ ფორმის ანომალიათაგან, შედარებით მაღალი იყო V-მაგვარი (7,9% ზედა ყბაზე, 2,4% ქვედა ყბაზე) და U-მაგვარი (3,7% ზედა ყბაზე და 2,9% ქვედა ყბაზე) დეფორმაციები. თანკბილვის ნოზოლოგიური სტრუქტურის მიხედვთ ყბების დეფორმაციათა სიხშირის შეფასებამ გამოავლინა, რომ ზედა ყბის V-მაგვარი დეფორმაცია შედარებით მაღალი იყო დისტალური ოკლუზის (11,6%) და ღრმა დიზონელუზის (12,2%) შემთხვევებში.

ამგვარად, მომართვიანობის საფუძველზე შესწავლიდ 6-დან 16 წლამდე 2054 პაციენტის კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ ყბა-კბილთა სისტემის ანომალიებს შორის დომინირებს ოკლუზის ანომალიები – 65,2%, ხოლო სტრუქტურულად, მაღალი ხევდრითი წილით გამოვლინდა დისტალური ოკლუზია – 24,4%, ღრმა დიზონელუზია – 11,0% და მეზიალური ოკლუზია – 7,8%, ხოლო ღია დიზონელუზის და ირიბი ოკლუზის სიხშირე სარწმუნოდ დაბალი აღმოჩნდა ( $P < 0,05$ ).

ყბა-კბილთა ანომალიების რეტროსპექტიულმა ანალიზმა გამოავლინა, აგრეთვე სხვადასხვა ნოზოლოგის თანაარსებობის მაღალი წილი. გამოკლულ პოპულაციაში ერთ ინდივიდზე საშუალოდ 6,34 ნოზოლოგის თანაარსებობა იყო დაგდენილი.

ქბილთა ანომალიებიდან, ოკლუზის ანომალიებთან შერწყმის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ნანახი იყო დეომის ანომალიების შემთხვევებში – 95,3%, რაც შეეხება ქბილთა რკალის ანომალიებს, დადგინდა, რომ ზედა ყბის ქბილთა რკალის შევიწროვება მაღალი და თთქმის თანაბარი სიხშირით იყო წარმოდგენილი ღია (36,7%), ღრმა დიზონელუზის (34,5%) და დისტალური ოკლუზის (31,1%) შემთხვევაში; თანკბილვის ნოზოლოგიური სტრუქტურის მიხედვით, ყბების დეფორმაციათა სიხშირის შეფასებამ გამოავლინა, რომ ზედა ყბის V-მაგვარი დეფორმაცია შედარებით მაღალი იყო დისტალური ოკლუზის (11,6%) და ღრმა დიზონელუზის (12,2%) შემთხვევებში.

ოკლუზის ანომალიების დადგენილი მაღალი სიხშირე მოითხოვს არსებული პრობლემის გადაწყვეტას კომპლექსური, პროფილაქტიკური პროგრამების, თანამედროვე დიაგნოსტიკური მეთოდების, მქურნალობის და პაციენტების შემდგომი რებილიტაციას საშუალებით, პოპულაციური და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია კომპლექსური პროფილაქტიკური პროგრამის შედგენა, თანამედროვე დიაგნოსტიკური და სამკურნალო მეთოდების შემუშავება, პაციენტთათვის სარეაბილიტაციო დონისძიებების ჩატარება და სხვა.

## ЛІТЕРАТУРА

1. Вакушина Е.А., Брагин Е.А. Ортодонтия, 2003, 2, 29-33.
2. Гунев В.В., Аюпова Ф.С., Золотарева Л.А. Информационное письмо для субординаторов, интернов и врачей-ортодонтов. Ижевский гос. мед. инст., 1992, 6 с.
3. Справочник по ортодонтии. Под. ред. Г.Бушана. Кишинев, 1990, с. 488.
4. Хорошилкина Ф.Я., Персин Л.С. Москва, ООО "Ортодент-Инфо", 1999, 211 с.
5. Linder-Aronson S.A. Swedish Dental Journal, 2002, 26, 31-40.
6. Tuominen M.L., Tuominen R.J. Acta-Odontol-Scand., 1994, 52, 106-110.

## КЛИНИЧЕСКИЕ ПРОЯВЛЕНИЯ И СТРУКТУРА АНОМАЛИЙ ОККЛЮЗИИ ЗУБОВ

*O. Дарджания*

О.О.О. "Ортодонтический центр", Тбилиси

### РЕЗЮМЕ

По мере обращений исследовано 2054 пациента, в возрасте от 6 до 16 лет. Анализ данных показал, что среди аномалий челюстно-зубной системы доминируют аномальные окклюзии – 62,2%. Структурно выявлены удельные веса аномалий – дистальная окклюзия выявлена в 24,4% случаев, глубокая дизокклюзия – в 11%, а мезиальная окклюзия в 7,8% случаев. Частота открытой дизокклюзии и косой окклюзии оказалась достоверно низкой ( $P < 0,05$ ).

Ретроспективным анализом челюстно-зубных аномалий выявлена высокая частота их сосуществования с различными нозологиями. В обследованной популяции, на одного индивида приходилось, в среднем, 6,34 нозологии.

Установленная нами высокая частота аномалий окклюзии, требует комплексный подход к решению данной проблемы, что может быть достигнуто путем профилактических программ, современных методов диагностики и лечения, с последующей реабилитацией пациентов, с учетом популяционных и региональных особенностей.

## CLINICAL MANIFESTATIONS AND STRUCTURE OF OCCLUSION ANOMALIES

*O. Darjania*

Orthodontic Center, Ltd., Tbilisi

### SUMMARY

Analysis of examination data, obtained in 2054 patients aged 6-16, has shown that among the anomalies of the maxillodental system, occlusion anomalies are prevailing and make 65.2% of the cases. Structurally, these anomalies are distributed as follows: distal occlusion – 24.4%, deep disocclusion – 11.0%, and mesial occlusion – 7.8%. Meanwhile, open disocclusion and torsive occlusion were significantly rare ( $P < 0.05$ ).

The retrospective analysis of the maxillomandibular anomalies has shown that these anomalies often coexist with the other nosologies. In the population investigated, each single individual showed, at an average, 6.34 nosologies.

High incidence of the occlusion anomalies determined in our study, point at urgency of complex approach to this problem. The prophylactic programs and modern methods of diagnostics and treatment are essential; besides, the patients must undergo further rehabilitation, with consideration of population and regional peculiarities.

## უდაბლეს მაიმუნებში (MACACA MULATTA)

### 0539-0510 გაყოვნებული რეაქციის შესრულების პარონომიანებასთა დაყოვნების პერიოდზე სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის პირობებში დასწავლის პირობებში

**ქ. დაშვიანი, ლ. ბაქრაძე, რ. არაგველია, თ. ნანეაშვილი**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის  
 ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 15.06.2004

უდაბლეს მაიმუნებში (*Macaca mulatta*) სივრცითი მეხსიერების გაოცენტრული სისტემის “ნავიგაციური ათელების” მექანიზმების მოქმედების ეფექტურობის შეფასების მიზნით, ცხოველების ორ ჯგუფში შეისწავლებოდა ინვერტირებული დაყოვნებული რეაქციის (0-დრ) შესრულების კანონობრივებანი სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის პირობებში დასწავლის სხვადასხვა (საწყის და მოგვიანო) ეტაპზე. პირველი ჯგუფის ცხოველებში, რომელთა ტესტირება მხოლოდ 0-დრ-ის ამოცანით ტარდებოდა, ძირითად სინჯებსა (სენსორული სისტემების ფუნქციური გამორთვის გარეშე) და სატესტო სინჯებში (დაყოვნების პერიოდში სენსორული სისტემების ფუნქციური გამორთვით), სწორი პასუხების რაოდენობა როგორც დასწავლის საწყის ეტაპზე ისე ხანგრძლივი გარჯიშის შემდეგ, არ განსხვავდებოდა. მეორე ჯგუფის ცხოველებში, რომელთაც დღიურ სესიაში წარდგინებოდა როგორც 0-დრ-ის, ისე კლასიკური (სივრცითი) დაყოვნებული რეაქციის (დრ) სინჯები, დასწავლის საწყის ეტაპზე 0-დრ-ის ძირითად სინჯებში სწორი პასუხების რაოდენობა 66%-ს, ხოლო სატესტო სინჯებში – 17%-ს შეადგენდა. ამავე დროს, ძრ-ის ამოცანის ძირითად და სატესტო სინჯებში სწორი პასუხების რაოდენობა არ განსხვავდებოდა და, შესაბამისად, 94%-ს და 91%-ს შეადგენდა. ხანგრძლივი გარჯიშის შემდეგ, სწორი პასუხების რაოდენობა 0-დრ-ის სატესტო სინჯებში 47%-ს, ხოლო ძრ-ის სატესტო სინჯებში – 54%-ს შეადგენდა, რაც სარწმუნოდ დაბალია ( $p = 0,01$ ). ძირითად სინჯებში მიღებულ მაჩვენებლებთან შედარებით.

0-დრ-ის ამოცანის განხორციელებაზე სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის განსხვავებული ეფექტები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უდაბლესი მაიმუნები, ტესტირების სხვადასხვა პირობებსა და დასწავლის სხვადასხვა ეტაპზე, 0-დრ-ის ამოცანას განსხვავებული სტრატეგიით ასრულებენ.

საქანძო სიტყვები: სივრცითი მეხსიერება, უდაბლესი მაიმუნები, სივრცითი დაყოვნებული ამოცანა

ექსპერიმენტულ ნეიროფსიქოლოგიაში სივრცითი მეხსიერების სხვა-დასხვა ფორმის შეფასება, სპეციალურად კონსტრუირებული ქცევითი ამო-ცანებით ტესტირების საფუძველზე ხორციელდება. ამ ექსპერიმენტებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მეხსიერების ფორმის ზუსტ კვალიფი-კაციასა და ტესტი მისი შესაძლო სუბსტრატის განსაზღვრას ენიჭება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი და იგივე ქცევითი ამოცანის განხორ-ციელება სხვადასხვა სტრატეგით არის შესაძლებელი, ყოველ კონ-კრეტულ შემთხვევაში იმ ფაქტორთა განსაზღვრა, რომლებიც ამოცანის განხორციელებისათვის სტრატეგიის არჩევას განაპირობებს, განსაკუთ-რებულ მნიშვნელობას იძენს.

წარმოდგენილ ნაშრომში, უდაბლეს მაიმუნებში სივრცითი მეხსიერების შეფასების მიზნით, გამოყენებულია ინგერტირებული დაყოვნებული რეაქ-ციის (0დრ) ამოცანა, რომელიც კლასიფირი (სივრცითი) დაყოვნებული რეაქციის (პდრ) მოღილიცირებული ვარიანტია [1, 3]. 0დრ-ის ამოცანაში ორიდან ერთ-ერთ კონტენირებში დამაღლული ობიექტის მოძიების უფლება ცხოველს 180°-ით როტაციის შემდეგ ეძლევა. მიიჩნევენ, რომ ორიენ-ტირებით დარიბ გარემოში, 0დრ-ის ამოცანაში სწორი პასუხების ფორ-მირება სივრცითი მეხსიერების უგოცენტრული სისტემის – “ნავიგაციური ათვლების” მექანიზმების მოქმედებას უკავშირდება [2, 4, 5, 6, 7]. “ნავიგაციური ათვლების” სისტემა, სუბიექტის სივრცეში გადაადგილე-ბისას, მეხსიერების კვალის კორექციას გადაადგილების თანმდევი სენ-სორული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელდება. 0დრ-ის ამოცანაში სწორი პასუხების განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს, ასევე, პი-რობითრეფლექსური პოზიციონების სტრატეგიის საფუძველზე. ამ შემ-თხვევაში, 0დრ-ის ამოცანაში პასუხი იმ მოტორული პროგრამის საფუძ-ველზე ხორციელდება, რომელიც აღქმის მომენტში აირჩევა, ხოლო მოტო-რული პროგრამის არჩევას ამოცანის წესის დასწავლა (პირობითრეფლექ-სური პროცესები) განსაზღვრავს. აღნიშნული სტრატეგიის შეზღუდვა, 0დრ-ისა და პდრ-ის სინჯებით შერეული ტესტირებით არის შესაძლებელი.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა უდაბლესი მაიმუნების (Macaca mulatta) 0დრ-ის ამოცანით სხვადასხვა პირობებში ტესტირებისას, “ნავი-გაციური ათვლების” მექანიზმების მოქმედების ეფექტურობის შეფასება. ამ მიზნით შეისწავლებოდა დაყოვნების პერიოდში სენსორული (მხედველო-ბითი და ვესტიბულური) სისტემების ცუნქციური გამოთიშვის ეფექტები 0დრ-ის ამოცანის განხორციელებაზე, ტესტირების სხვადასხვა პირობებსა და დასწავლის სხვადასხვა ეტაპზე.

## გასაღა და გეორგები

ექსპერიმენტები ჩატარებულია მამრობითი სქესის 8 ზრდასრულ უდაბ-ლეს მაიმუნზე (Macaca mulatta). მაიმუნები ექსპერიმენტის დაწყებამდე 2 წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ ინსტიტუტის ვივარიუმის ვოლიერებში და ნაწილობრივ მიწვევული იყვნენ ექსპერიმენტატორთან კონტაქტს. სივრცითი დაყოვნებული ამოცანები (პდრ და 0დრ) დაფუძნებული იყო

კედით მოტივაციაზე და მათი შესრულების კანონზომიერება ვისკონსინ ტეხნიკური აკადემიუმის პირობებში შეისწავლებოდა. ექსპერიმენტების მთელ პერიოდს ცხოველები პრიმატოლოგიურ სავარძელებელში ატარებდნენ. გამოყენებული ვისკონსინ ტეხნიკური აკადემიუმი წარმოადგენდა მაგიდას ( $80 \times 30$  სმ), რომელზეც, ერთმანეთისგან 50 სმ-ის დაშორებით, მოთავსებული იყო ორი იდენტური საკვებული. მაგიდის გვერდით კედლებზე, სიმეტრიულად მიმაგრებული ორი თანაბარი ზომის მოძრავი ფრთა, საჭიროების შემთხვევაში, მაგიდის სამუშაო ზედაპირის დაფარვის საშუალებას იძლეოდა.

პლ-ის ამოცანით ტეხნიკურების დროს, ექსპერიმენტატორი საკვებს მაიმუნის თვალწინ ერთ-ერთ საკვებულები ათავსებდა (აღმის პერიოდი) და სამუშაო პულტის ზედაპირს, საკვებულებთან ერთად, სახურავით ფარავდა. წინასწარ განსაზღვრული დროს (დაყოვნების პერიოდი – 30 ს) გასვლის და სახურავის გახსნის შემდეგ, ცხოველს საკვებმოპოვებითი ინსტრუმენტული აქტის განხორციელების საშუალება ეძლეოდა (შესრულების პერიოდი). პლ-საგან განსხვავებით, 0ლ-ის ამოცანაში საპასუხო რეაქციის განხორციელების საშუალება ცხოველს მაგიდის ირგვლივ  $180^{\circ}$ -ით გადაადგილების (ინვერტირების) შემდეგ ეძლეოდა. ორივე ამოცანაში პასუხი სწორად ითვლებოდა, თუ მაიმუნი პირველივე მცდელობისას გახსნიდა იმ კონტენიერს, რომელშიც აღმის პერიოდში ათავსებდნენ საკვებს. არასწორი პასუხის შემთხვევაში, პასუხის კორექციის საშუალება ცხოველს არ ეძლეოდა. სინჯთაშორისი ინტერვალი ვარირებდა  $45\text{--}60$  ს-ის ფარგლებში. ყოველდღიურ სესიაში (32 სინჯი) ცხოველს საკვები მარჯვენა და მარცხენა საკვებულები შემთხვევითი თანმიმდევრობით წარედგინებოდა.

ექსპერიმენტები ტარდებოდა ორიენტირებით დარიბ გარემოში. გამოყენებული იყო მართეულთა (3 × 4 მ), ბეკრაგაუმტარი მასალით მოპირკეთებული, უფანჯრო თახანი. თახანის კარი და, აგრეთვე, მოპირდაპირი კედლის სიმეტრიული ფართი, ფარდით იფარებოდა. შესაბამისად, მაგიდის ირგვლივ  $180^{\circ}$ -ით როტაციის შემდეგ, ცხოველი სარკულად სიმეტრიულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა, ხოლო 0ლ-ის ამოცანაში საკვების ადგილმდებარების განსაზღვრისათვის, ორიენტირების გამოყენების საშუალება მაქსიმალურად შეზღუდული იყო.

ექსპერიმენტები ტარდებოდა ცხოველების ორ ჯგუფზე. ცხოველების ერთ ჯგუფს ( $n = 4$ ) დღიურ სესიაში წარედგინებოდა მხოლოდ 0ლ-ის სინჯები, ხოლო მეორე ჯგუფს ( $n = 4$ ), 0ლ-ის ამოცანის შესრულებისას პირობითრეფლექსური პოზიცირების სტრატეგიის გამოყენების შეზღუდვის მიზნით, დღიურ სესიაში, 0ლ-ის 16 სინჯთან ერთად, შემთხვევითი თანმიმდევრობით, პლ-ის 16 სინჯი წარედგინებოდა.


ცხოველების ორივე ჯგუფში “ნავიგაციური ათვლების” მექანიზმების მონაწილეობა 0ლ-ის ამოცანის განხორციელებაში სატესტო სინჯებისა (დაყოვნების პერიოდში სენსორული სისტემების ფუნქციური გამორთვით) და ძირითადი სინჯების (სენსორული სისტემების ფუნქციური გამორთვის გარეშე) შედეგების შედარების საფუძველზე ფასდებოდა. სივრცითი ამოცანების (პლ და 0ლ) დაყოვნების პერიოდში სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის უფასებელი დასტავლის საწყის ეტაპზე დასტავლის საწყის ეტაპზე და

ხანგძლივი ვარჯიშის (45 დღიური სესია) შემდეგ შეისწავლებოდა. დასწავლის საწყის ეტაპზე სატესტო სინჯები ცხოველებს წარედგინებოდათ, თუ 0დრ-ის ამოცანაში სწორი პასუხების რაოდგნობა 5 მომდევნო დღის განმავლობაში აღემატებოდა 65%-ს. ცხოველების პირველ ჯგუფს ორ დღიურ სესიაში რანდომიზებული თანმიმდევრობით 0დრ-ის ძირითადი 16 და სატესტო 16 სინჯე, ხოლო მეორე ჯგუფს – ოთხ დღიურ სესიაში, პდრ-ის 8 და 0დრ-ის 8 სატესტო სინჯე წარედგინებოდა. მხედველობითი სენსორული სისტემის უუნქციური გამოთიშვის მიზნით, დაყოვნების პერიოდში ოთახში სინათლეს ვაქრობდით, ხოლო ვესტიბულური სენსორული სისტემის უუნქციური გამოთიშვა დაყოვნების პერიოდში ცხოველის ვერტიკალური დერძის ირგვლივ მრავალჯერადი ბრუნვით ხორციელდებოდა.

ძირითად და სატესტო სინჯებში მიღებულ შედეგებს შორის განსხვავების სარწმუნობა ვილკოქსონ-მან-უიტნის U-ერიტერიუმით ფასდებოდა.


## შედეგები და გათი გაცემა

უდაბლესი მაიმუნების 0დრ-ის ამოცანით სხვადასხვა პირობებში ტესტირებამ გამოავლინა, რომ ცხოველების ორივე ჯგუფში სწორი პასუხების რაოდენობა, მიუხედავად ხანგრძლივი ვარჯიშისა, არ აღემატება 70-75%-ს. აღნიშნულ მაჩვენებელს, პირველი ჯგუფის ცხოველები, ვარჯიშის მე7 – მე8 დღეს, ხოლო მეორე ჯგუფის ცხოველები, გაცილებით გვიან, საშუალოდ – მე15 დღეს, აღწევენ. შესაბამისად, სატესტო სინჯები, რომლებიც დაყოვნების პერიოდში სენსორული სისტემების უუნქციური გამოთიშვის პირობებში ტარდებოდა, პირველი ჯგუფის ცხოველებს მე12 დღეს, ხოლო მეორე ჯგუფის ცხოველებს მე19 დღეს, წარედგინებოდა. გამოვლინდა, რომ პირველი ჯგუფის ცხოველებში, როგორც დასწავლის საწყის ეტაპზე, ისე ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ, სწორი პასუხების რაოდენობა 0დრ-ის ამოცანის ძირითად და სატესტო სინჯებში არ განსხვავდება და 70-75%-ის ფარგლებში მერყეობს (სურ. I). ის, რომ უდაბლეს მაიმუნებს, სენსორული სისტემების უუნქციური გამოთიშვის პირობებში, 0დრ-ის ამოცანაში სწორი პასუხების უნარი აქვთ, გვაჟიქრებინებს, რომ ამ ამოცანაში სწორი პასუხების ფორმირება “ნავიგაციური ათვლების” მქანიზმების მოქმედებას არ უკავშირდება. შეიძლება ვიკარაულოთ, რომ ცხოველების ამ ჯგუფში 0დრ-ის ამოცანის განხორციელება პირობითრეფლექსური პოზიცირების სტრატეგიის გამოყენებასთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, საბასუხო რეაქცია, აღქმის მომენტში არჩეული მოტორული პროგრამის საფუძველზე ხორციელდება, ხოლო მოტორული პროგრამის არჩევას კი, პირობითრეფლექსური პროცესები – ამოცანის წესის დასწავლა – განსაზღვრავს. იგულისხმება, რომ 0დრ-ის ამოცანაში ცხოველს შეუძლია დაისწავლოს საკების მიღება არა იმ საკებურიდან, სადაც ის აღქმის პერიოდში აჩვენეს, არამედ მეორე, საწინააღმდეგო მხრის საკებებურიდან, რამდენადაც, 180<sup>0</sup>-ით როტაციის შემდეგ, საკებით სწორედ ამ მოტორული პასუხის განმტკიცება ხდება.



სურ. 1. ცხოველების პირველ ჯგუფში 0დღ-ის ამოცანაში სწორი პასუხების რაოდენობა და სწავლის საწყის ეტაპზე (1) და ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ (2): ♂ - სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის გარეშე; ♀ - სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის პირობებში. თითოეულ სეეტში მოცემულია სწორი პასუხების რაოდენობა %-ში, 128 სინჯიდან.

მეორე ჯგუფის ცხოველებში, დასწავლის საწყის ეტაპზე, სწორი პასუხების რაოდენობა 0დღ-ის სატესტო სინჯებში 17%-ს, ხოლო ძირითად სინჯებში – 66%-ს შეადგენდა. დასწავლის მოცემულ ეტაპზე, პდრ-ის ამოცანის ძირითად და სატესტო სინჯებში სწორი პასუხების რაოდენობა არ განსხვავდებოდა, და შესაბამისად, 94%-ს და 91%-ს შეადგენდა (სურ. 2).



სურ. 2. ცხოველების მეორე ჯგუფში პდრ-ისა და 0დღ-ის ამოცანებში სწორი პასუხების რაოდენობა დასწავლის საწყის ეტაპზე (♂) და ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ (♀): 1 და 3 – სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის გარეშე; 2 და 4 – სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის პირობებში. თითოეულ სეეტში მოცემულია სწორი პასუხების რაოდენობა %-ში, 128 სინჯიდან.

ამ მონაცემების საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ 0დრ-ისა და პდრ-ის ამოცანებით შერეული ტესტირების პირობებში, როდესაც პირობითრეფლექსური პოზიცირების სტრატეგიის გამოყენება შეზღუდულია, უდაბლესი მაიმუნები 0დრ-ის ამოცანას სივრცით მეხსიერების ეგოცენტრული სისტემის, “ნავიგაციური ათვლების”, მექანიზმების საფუძველზე ახორციელებენ. როგორც ჩანს, სენსორული ინფორმაციის დეფიციტის პირობებში, “ნავიგაციური ათვლების” სისტემა 0დრ-ის სატესტო სინჯებში მეხსიერების კვალის კორექციის ვერ უზრუნველყოფს, და შესაბამისად, არასწორი პასუხების რაოდენობა 80-90%-ს შეადგენს. ის ფაქტი, რომ სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვა არ იწვევს ცვლილებებს პდრ-ის ამოცანის განხორციელებაში, გვაფიქრებინებს, რომ 0დრ-ის სატესტო სინჯებში მიღებული შედეგები არ უნდა იყოს განაირობებული სენსორული სისტემების გამოთიშვასთან დაკავშირებული მანიპულაციების მაინტერფერირებელი მოქმედებით მეხსიერებაზე. იგივეს ადასტურებს 0დრ-ის სატესტო სინჯებში სწორი პასუხების რაოდენობა (17%), რომელიც სარწმუნოდ დაბალია ( $p = 0,01$ ), ვიდრე მოსალოდნელია საკვებურის შემთხვევითი არჩევის პირობებში.

ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ, მეორე ჯგუფის ცხოველებში სწორი პასუხების რაოდენობა 0დრ-ის სატესტო სინჯებში 47%-ს, ხოლო პდრ-ის სატესტო სინჯებში – 54%-ს, შეადგენდა, რაც სარწმუნოდ დაბალია ( $p = 0,01$ ) ძირითად სინჯებში მიღებულ მჩქენებლებთან შედარებით (სურ. 2). უნდა ვივარაუდოთ, რომ ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ, პდრ-ის სატესტო სინჯების შესრულების დეფიციტი არ უნდა იყოს სენსორული სისტემების ფუნქციურ გამოთიშვასთან დაკავშირებული მანიპულაციების მეხსიერებაზე მაინტერფერირებელი მოქმედების შედეგი, რამდენადაც იგივე მანიპულაციები, დასწავლის საწყის ეტაპზე, პდრ-ის შესრულების გაუარესებას არ იწვევდა. როგორც ჩანს, პდრ-ისა და 0დრ-ის ამოცანებით ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ, სივრცითი ამოცანების დაყოვნების პერიოდში გენერირებული სენსორული ინფორმაცია მნიშვნელოვანია არა მარტო 0დრ-ის, არამედ პდრ-ის ამოცანის რეალიზაციისათვის. თუ ტესტირების საწყის ეტაპზე, 0დრ-ის სინჯებში, ადგილი აქვს სივრცითი მეხსიერების კვალის კორექციას გადაადგილების თანმდევი სენსორული ინფორმაციის ბაზაზე, მას შემდეგ, რაც ტესტირების პროცედურა მრავალჯერ მოორდება, ეს სენსორული ინფორმაცია იძებს პირობითი სიგნალის მნიშვნელობას 0დრ-ისა და პდრ-ის სინჯების დიფერენცირებისათვის და განსაზღვრავს მოტორული პასუხის მიმართულებას. შესაბამისად, სენსორული ინფორმაციის დანაკლისი აისახება როგორც 0დრ-ის, ისე პდრ-ის სატესტო სინჯებში მიღებულ შედეგებში. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ცხოველების მეორე ჯგუფში, 0დრ-ის დასწავლის საწყის და მოგვიანო ეტაპზე განსხვავებული ფუნქციური სისტემები მონაწილეობს. როგორც ჩანს, დასწავლის საწყის ეტაპზე, 0დრ-ისა და პდრ-ის სინჯებით შერეული ტესტირებისას, 0დრ-ის ამოცანის რეალიზაცია “ნავიგაციური ათვლების” სისტემის საფუძველზე ხორციელდება, ხოლო ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ, აღნიშნული ტესტის რეალიზაციაში პირობითრეფლექსური პროცესები ერთვება.

ამრიგად, 0დღ-ის ამოცანის განხორციელებაზე სენსორული სისტემების ფუნქციური გამოთიშვის განსხვავებული ეფექტები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უდაბლესი მაიმუნები 0დღ-ის ამოცანას ტესტირების სხვადასხვა პირობებში (მხოლოდ 0დღ-ის ამოცანით, და 0დღ-ისა და პდრ-ის ამოცანებით შერეული ტესტირება) და ვარჯიშის სხვადასხვა, საწყის და მოგვიანო, ეტაპზე, განსხვავებული სტრატეგიით ასრულებენ.

## ლიტერატურა

1. Нанишвили Т.А. Сообщ. АН ГССР, 1972, 93, 161-164.
2. Нанишвили Т.А., Сихарулиძе Н.И., Кацагишили А.И. Сообщ. АН ГССР, 1980, 99, 457-460.
3. Bremner, J.G. Dev. Psychol., 1978, 14, 346-355.
4. Dashnani M., Chkhikvishvili N., Bakradze L., Aragveli R., Naneishvili T. Bull. Georgian Acad. Sci., 2003, 168, 93-96.
5. Etienne A.S. Current Direction in Psychological Science, 1992, 1, 48-52.
6. Gallistel C.R. The organization of learning. MIT Press, Cambridge, 1990.
7. Loomis J.M., Klatzky P.L., et all. In: Navigation and Environmental Cognition: Ecological considerations. Symposium conducted at the 7-th International conference on perception and action, Vancouver, H. Heft. 1993.

## ЗАКОНОМЕРНОСТИ ИСПОЛНЕНИЯ ТЕСТА ИНВЕРТИРОВАННОЙ ОТСРОЧЕННОЙ РЕАКЦИИ НИЗШИМИ ОБЕЗЬЯНАМИ (MACACA MULATTA), В УСЛОВИЯХ ФУНКЦИОНАЛЬНОГО ВЫКЛЮЧЕНИЯ СЕНСОРНЫХ СИСТЕМ В ПЕРИОД ОТСРОЧКИ

*М. Дашиани, Л. Бакрадзе, Р. Арагвели, Т. Нанейшвили*

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

## РЕЗЮМЕ

$\text{Mo}^{5+}$ -ჟომბლექს. ( $g = 1,97$ )	—	$7,9 \pm 0,4$	$12,0 \pm 1,4$	—

## ცხრილი 2

ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის ინტენსივობისა  
და  $\text{SOD}$ -ის აქტივობის ცვლილება

ობიექტი	დონორი	პროსტ. ქეთ. ჰიპერპლ. [3]	ორქექტომიამდე [3]	ორქექტომიის შემდეგ
ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვა, $\times 10^{-5}$	$0,043 \pm 0,020$	$0,077 \pm 0,020$	$0,210 \pm 0,020$	$0,147 \pm 0,020$
$\text{SOD}$ , $\times 10^{-14}$	$0,360 \pm 0,010$	$0,374 \pm 0,020$	$0,170 \pm 0,060$	$0,235 \pm 0,020$

უოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესო იყო პროსტატის ადენორეცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში რკინის ნიტროზილური კომპლექსის მპრ-სიგნალის ( $\text{FeS-NO}$ ;  $g = 2,03$ ) ინტენსივობის შესწავლა პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ (სურ. 1, ცხრილი 1). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რკინაგოგირდოვანი ცენტრების ნიტროზილური კომპლექსები დამახასიათებელია სხვადასხვა პათოლოგიისთვისაც [2, 3].

როგორც გამოკვლეულმა უწვენა, პროსტატის ადენორეცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლის მპრ-სკექტრში, ორქექტომიის შემდეგ, აღ-

ნიშნული კომპლექსისათვის დამახასიათებელი მპრ-სიგნალი არ აღირიცხა, მაშინ, როცა იგივე მპრ-სიგნალი არსებობს როგორც საკონტროლო ჯგუფის მამაკაცების (მცირე ინტენსივობით), ასევე პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლის მპრ-სპექტრში, ორქექტომიამდე (სურ. 1, ცხრილი 1).

საკონტროლო ჯგუფის მამაკაცების სისხლში რკინის ნიტროზილური კომპლექსის სიგნალის მცირე ინტენსივობით განხინა განპირობებულ უნდა იყოს სისხლში განვითარებული სუსტი ჰიპოქსიური პირობებით [3], ხოლო პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში ორქექტომიამდე, აღნიშნული მპრ-სიგნალის მატებას უნდა განაპირობებდეს პიოვქისის გაძლიერება და სისხლში დიდი რაოდენობით დაგროვილი NO-ს (ნიტრიტონდუქტებზული აქტივობის გაზრდით) ურთიერთქმედება რკინაგოგირდოვან ცენტრებთან.

როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, რკინის ნიტროზილური კომპლექსები სისხლში მონომერული და დიმერული სახით იმყოფება [4]. ამასთან, უკანასკნელი წარმოიქმნება გარემოში თითლჯგუფების სიმცირის პირობებში და, რკინის მონონიტროზილური კომპლექსისაგან ( $g = 2,03$ ) განსხვავებით, მაღალი მდგრადობით ხასიათდება. უნდა აღინიშნოს, რომ დიმერიზაციის შედეგად ნიტროზილური კომპლექსი კარგავს პარამაგნიტურ თვისებებს [28]. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში, პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ, რკინის ნიტროზილური კომპლექსისათვის დამახასიათებელი მპრ-სიგნალის არარსებობა შესაძლოა განპირობებულ იყოს აღნიშნული პარამაგნიტური კომპლექსის დიმერიზაციით, რომელიც პარამაგნიტურ თვისებებს არ ამჟღავნებს. შესაბამისად, სისხლში უნდა მცირდებოდეს NO-ს თავისუფალი ფორმის რაოდენობა ( $O_2$ -ის აქტივური ფორმისათვის ადვილად მისაწვდომი) და NO-ს უნდა პროდუქტების შემცველობაც. თავის მხრივ, მცირე რაოდენობით წარმოქმნილი NO, SOD-ის აქტივაციის პირობებში, ვედარ ურთიერთქმედებს პიდროქსილის რადიკალთან, რაც, ჩვენი აზრით, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგების დათვენების ერთ-ერთი მიზეზი უნდა გახდეს (ცხრილი 2).

კვლევის შემდგომ ეტაპზე შესწავლით იქნა დაჟანგული ცერულოპლაზმინის მპრ-სიგნალის ( $g = 2,056$ ) ინტენსივობა როგორც საკონტროლო ჯგუფის მამაკაცების სისხლში, ასევე პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში, პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ (სურ. 1, ცხრილი 1).

ცნობილია, რომ ცერულოპლაზმინი სისხლის შრატის პოლიფუნქციური ცილადა და ფეროვანი სიდაზური, სუპეროქსიდისმუტაზური და ამინოქსიდაზური აქტივობით ხასიათდება [3]. ცერულოპლაზმინი, ჟანგების რარკინას  $Fe^{2+} \rightarrow Fe^{3+}$ -მდე, ხელს უწყობს მის ჩართვას აპოტრანსფერინში და ამით ამჟღავნებს ფეროვანი აქტივობას [19]. აღსანიშნავია ისიც, რომ ცერულოპლაზმინის ფეროვანი აქტივობა ბევრად აღემატება მის სუპეროქსიდისმუტაზურ აქტივობას [13].


პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში

ორქექტომიის შემდეგ აღინიშნა დაუანგული ცერულოპლაზმინის ჰპრ-სიგნალის ( $g = 2,056$ ) ინტენსივობის ზრდა ორგორც საკონტროლო ჯგუფის, ასევე პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლის ოპერაციამდელი მაჩვენებელთან შედარებით (სურ. 1, ცხრილი 1).

ვვარაუდობთ, რომ პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში დაუანგული ცერულოპლაზმინის ( $g = 2,056$ ) ჰპრ-სიგნალის ინტენსივობის ზრდა უნდა მიუთითებდეს ზეუანგური პროცესების გაძლიერებაზე [3]. რასაც ჩვენს შემთხვევაში ადგილი არ პქონია. ორქექტომიის შემდეგ აღინიშნება ლიპიდების ზეუანგური ფანგვის ინტენსივობის შემცირება, ოპერაციამდელ მონაცემებთან შედარებით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის მონაცემებით, ცერულოპლაზმინის გენის ტრანსკრიფციის სიჩქარე გაცილებით აღემატება აღნიშნული გენის ექსპრესიის სიჩქარეს [18], რაც იმას ნიშნავს, რომ ცერულოპლაზმინი შეიძლება იმაზე დიდ ხასს და იმაზე მეტი რაოდენობით არსებობდეს სისხლის პლაზმაში, ვიდრე საჭიროა.

შესწავლილი იქნა  $\text{Fe}^{3+}$ -ტრანსფერინის კომპლექსის ჰპრ-სიგნალის ( $g = 4,3$ ) ინტენსივობა პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში, პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ. ტრანსფერინი ორგანიზმის ანტიოქსიდანტური სისტემის ერთ-ერთი რგოლია. ის  $\text{Fe}^{3+}$ -ის გადამტანი ცილად და პეროპორეზის აქტივური თანამონაზილეა [3]. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სისხლის პლაზმაში დაუანგული ცერულოპლაზმინის დონის მატება  $\text{Fe}^{3+}$ -ისა და შესაბამისად  $\text{Fe}^{3+}$ -ტრანსფერინის კომპლექსის რაოდენობის ზრდას უნდა განაპირობებდეს [16]. აღნიშნული კორელაცია ჩვენს შემთხვევაშიც გამოვლინდა, კერძოდ, გამოკელევებმა უწვენა, დაუანგული ცერულოპლაზმინის რაოდენობის ზრდის პარალელურად,  $\text{Fe}^{3+}$ -ტრანსფერინის კომპლექსის ინტენსივობის ზრდაც, რაც საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებელს გაუტოლდა.

ლიტერატურაში არსებობს მონაცემები სიმსივნურ უჯრედებში ტრანსფერინის რეცეპტორების დიდი რაოდენობის შესახებ. აღნიშნული შრომის ავტორები ასევე განიხილავენ სიმსივნური უჯრედების მიერ შრატისეული რეანის დაკავშირების უნარის გაზრდას, რაც თავის მხრივ, განიხილება ორგორც სიმსივნური ანემიის განვითარების ერთ-ერთი მიზეზი [7]. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში ორქექტომიის შემდეგ  $\text{Fe}^{3+}$ -ტრანსფერინის კომპლექსის რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას და ნორმასთან გათანაბრებას, შესაძლოა, განაპირობებდეს ის, რომ პროსტატის სიმსივნური ქსოვილის ამოკევთის შემდეგ აღარ ხდება შრატისეული რეანის დაკავშირება, რაც, სავარაუდოდ, გამოიწვევდა სისხლში  $\text{Fe}^{3+}$ -ის დაგროვებას და  $\text{Fe}^{3+}$ -ტრანსფერინის კომპლექსის წარმოქმნის გაძლიერებას. ეს უკანასკნელი კი პაციენტთა სისხლში უნდა იწვევდეს თავისეუფალი რეანის იონების შემცირებას და სისხლის ანტიოქსიდანტური თვისებების გაძლიერებას (SOD-ის გააქტივება და ლიპიდების ზეჟანგური ფანგვის ინტენსივობის შემცირება).



სურ. 2. ადამიანის სისხლის პპრ-სექტრი. a - კონტროლი, b - ადგნოკარცინომა (ოკერაცია-მდე), c - ადგნოკარცინომა (ოკერაციის შემდეგ).

ნების უტილიზაციის მიზნით აღარ ხდება და აღილი აქვს ამ გზით გამოუყენებელი  $\text{Fe}^{3+}$ -ის ჩართვას  $\text{Fe}^{3+}$ -ტრანსფერინის კომპლექსში, ამ უკანასკნელის რაოდენობის მატებით, რაც ჩვენს შემთხვევაშიც იყო ნაჩვენები (სურ. 2, ცხრილი 1).

კალევის შემდეგ ერტაზე შესწავლილი იქნა  $Mo^{5+}$ -შემცველი კომპლექსისათვის დამახასიათებელი მპრ-სიგნალი ( $g = 1,97$ ). ჩვენმა გამოკვლეულებმა უჩვენა, რომ პროსტატის ადენოკრაციონმით დაავადებული მამაკაცების სისხლის მპრ-სპექტრში, პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ,  $Mo^{5+}$ -შემცველი კომპლექსისათვის დამახასიათებელი მპრ-სიგნალი არ აღირიცხება (სურ. 1, ცხრილი 1). აღნიშნული სიგნალი ასევე არ გვხვდება საკონტროლო ჯგუფის მამაკაცების სისხლში. ის ჩნდება პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიასა და ადენოკარციომის (ორქექტომაბდე) შემთხვევაში [3], რაც  $Mo^{5+}$ -შემცველი ქსანტინოქსიდაზას წარმოქმნაზე და თავისუფალრადიკალური რეაქციების გაძლიერებაზე უნდა მიუთითებდეს [2]. რაც შეეხება ორქექტომიის შემდეგ მამაკაცების სისხლში  $Mo^{5+}$ -შემცველი კომპლექსისათვის დამახასიათებელი მპრ-სიგნალის ( $g = 1,97$ ) არარსებობას,

ეს შეიძლება განპირობებული იყოს ქსანტინოქსიდაზას ფერმენტული აქტივობის დაქვეითებით [2].

კელევის შემდგომ ეტაპზე შესწავლილი იქნა მეტამოგლობინისათვის (MetHb) დამახასიათებელი მპრ-სიგნალი ( $g = 6,0$ ), როგორც საკონტროლო ჯგუფის, ასევე პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ (სურ. 2, ცხრილი 1).

სისხლში MetHb შეიძლება სხვადასხვა მექანიზმით წარმოქმნას. ერთ-ერთი სავარაუდო მექანიზმის მიხედვით, სისხლში MetHb-ის წარმოქმნის ტენდენცია შეიძლება განპირობებული იყოს  $\text{Fe}^{3+}$ -ტრანსფერინის კომპლექსის შემცირებით [2], აგრეთვე  $\text{Fe}^{3+}$ -ის რაოდენობის მატებით სისხლში [3]. აღნიშნული მექანიზმები სავარაუდო მუშაობს პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში, პლასტიკურ ორქექტომიამდე (MetHb სისხლში დაახლოებით 3-ჯერ იზრდება).

გარდა ამისა, MetHb-ის წარმოქმნა შეიძლება მოხდეს სისხლში ფუნქციონირებადი ნიტრიტრედუქტაზური სისტემის ხარჯზეც [10].

როგორც უკვე აღინიშნა, NO წარმოადგენს უჯრედული მეტაბოლიზმის უნიკარსალურ რეგულატორს [4]. ცნობილია, რომ NO-დან არაფერმენტული და ფერმენტული დაენაგვით მიიღება ნიტრიტ ( $\text{NO}_2^-$ ) და ნიტრატ ( $\text{NO}_3^-$ ) იონები [10]. ეს იონები ორგანიზმში ეგზოგენური გზითაც ხვდება (საკვებთან ერთად). ცნობილია აგრეთვე, რომ ორგანიზმში და განსაკუთრებით სისხლში ფუნქციობს  $\text{NO}_2^-$ -ის NO-მდე ადდგენისთვის პასუხისმგებელი ნიტრიტრედუქტაზული სისტემა [10]. აღსანიშნავია, რომ მთელი ორგანიზმის ნიტრიტრედუქტაზულ აქტივობაში ძირითადი წვლილი სისხლის ნიტრიტრედუქტაზულ სისტემას შეაქვს, რომლის მოქმედებითაც  $\text{NO}_2^-$  ადგება NO-მდე. არსებობს, ასევე, NO-ს წარმოქმნის NO-სინთეტაზური გზაც, რომელიც ორგანიზმში პიპოქსიის არარსებობის დროს ფუნქციობს და აღადგენს NO-ს L-არგინინიდან [26]. რაც შეეხება ნიტრიტრედუქტაზურ სისტემას, ის ორგანიზმში ფუნქციობს, ძირითადად, იშემიურ-პიპოქსიური პირობების დროს [9]. ამასთან, NO-ს წარმოქმნის ნიტრიტრედუქტაზური გზის ეფექტურობა გაცილებით აღემატება NO-სინთეტაზური გზის ეფექტურობას [10]. პიპოქსიის პირობებში შეიძლება მოხდეს NO-სინთეტაზური მექანიზმის ინიცირება. NO-ს სინთეტაზური სისტემა, გარდა იმისა, რომ წარმოქმნის NO-ს, ასევე ახდენს  $\text{NO}_2^-$  და  $\text{NO}_3^-$ -ის ფარდობის მაჩვენებლის შეზღუდვას ორგანიზმში და ამით ჰემოგლობინს (Hb) იცავს  $\text{NO}_2^-$ -ის მიერ ინტენსიური ჟანგებისაგან, ორგანიზმს კი – ნიტროშენაერთების ტოქსიკური ზემოქმედებისაგან.

პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ ადგილი აქვს MetHb-ის მპრ-სიგნალის ( $g = 6,0$ ) ინტენსივობის შემცირებას, პაციენტთა ოპერაციამდელ მაჩვენებელთან შედარებით (სურ. 2, ცხრილი 1). თუმცა,  $\text{Fe}^{3+}$ -ტრანსფერინისაგან განსხვავდებოთ, ის საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებელს არ შეესაბამება და უახლოვდება კეთილთვისებიანი სიმსივნის მაჩვენებელს. ვვარაუდობთ, რომ MetHb-ის მპრ-სიგნალის ინტენსივობის შემცირება აღნიშნულ პაციენტთა

სისხლში, პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ, განპირობებული უნდა იყოს სისხლში  $\text{Fe}^{3+}$ -ტრანსფერინის კომპლექსის მატებით, რაც უნდა იწვევდეს სისხლში  $\text{Fe}^{3+}$ -ის შემცირებას. თუმცა ნიტრიტრედუქტაზური სისტემის გარემოებით შემცირებაც უნდა განაპირობებდეს სისხლში  $\text{MetHb}$ -ის გარემოებით დონით შენარჩუნებას [9, 11]. მეორე მხრივ, თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნულ პაციენტთა სისხლში  $\text{Fe}^{3+}$ -ტრანსფერინის მატების ფონზე ადგილი აქვს ჰემოპოეზის აქტივაციას და ჰიპოექსიის შემცირებას, შესაბამისად, უნდა ხდებოდეს ნიტრიტრედუქტაზური აქტივობის დაქვეითება და  $\text{NO}_2^-$ -ის შეზღუდვის გზით, უნდა ახდენდეს  $\text{Hb}$ -ის  $\text{MetHb}$ -ად განვითარება, შეზღუდვას და, შესაბამისად,  $\text{MetHb}$ -ის კომპლექსის წარმოქმნის შემცირებას, რასაც ჩევნენ შემთხვევაში აქვს ადგილი (სურ. 2, ცხრილი 1).


როგორც ცნობილია, ადრენოდოქსინი სტეროიდული პორმონების პიღ-როქსილიირების პროცესებში აქტიურად მონაწილე რეინაგოგირდოვანი ცილაა და პასუხისმგებელია  $\text{FeS}$ -ცენტრების ( $g = 1,94$ ) მპრ-სიგნალზე [2]. აღნიშნული მპრ-სიგნალი საკონტროლო ჯგუფის პაციენტთა სისხლში არ ვლინდება; იგი წნდება ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში, პლასტიკურ ორქექტომიამდე, ხოლო ორქექტომის შემდეგ ადარჩანს (სურ. 1).

პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში, ორქექტომიის შემდეგ, FeS-ცენტრების მპრ-სიგნალის არარესებობა, ალბათ, დაკავშირებული უნდა იყოს სტეროიდოგენეზის დაქვეითებასთან, რასაც თვით პლასტიკური ორქექტომია ითვალისწინებს. ორგანიზმში სასქესო ჰორმონების ღრინის შემცირებისა [6] და, შესაბამისად, ჰიდროქსილირების პროცესების დაქვეითების შედეგად არ უნდა ხდებოდეს FeS-ადრენოდოქ-სინის ალდეგნილი ( $\text{Fe}^{2+}$ ) ფორმის დაგროვება და სისხლის მპრ-საცეკციულში შესაბამისი სიგნალის აღმოცენება, რაც ჩვენმა გამოკვლევებმაც უჩვენა (სურ. 1).

დიტერატურაში არსებობს მონაცემები თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის მიტოქონდრიების ელექტროსატრანსპორტო ჯაჭვის რეინაგოგირდოვანი ცილის – ადრენოდოქსინის ( $g = 1,94$ ) შემცველობის ცვლილების შესახებ, მათთვის უკავშიროების ფართზე. ავტორების აზრით, აღნიშნული ფაქტი პორმონული დისხალანსითა და სტეროიდული პორმონების ჰიდროქსილირების რეაციებში ადრენოდოქსინის წყლილის შემცირებით ისნება [14]. მსგავსი მონაცემები მიღებულ იქნა სხვა ავტორების მიერაც საკვერცხის სიმსივნის შემთხვევაში, რომლის დროსაც აღინიშნა კორელაცია სიმსივნის სტადიებსა და თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის მაპიდროქსილირებელი სისტემის ძირითადი კომპონენტის – ადრენოდოქსინის შემცველობას შორის. ავტორების აზრით, აღნიშნული ფაქტი ასევე პორმონული დისხალანსითა და სტეროიდული პორმონების ჰიდროქსილირების რეაციებში ადრენოდოქსინის წყლილის შემცირებით ისნება [15].

როგორც ზემოთ ვიკარულდეთ, პროსტატის აღნიკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლში, პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ აღიალი უნდა ჰქონდეს NO-ს თავისუფალი ფორმის შემცირებას (ნიტრიტრენდუქტ

ტაზური აქტივობის შემცირებისა და რეინის მონონიტრონილური კომპლექსების დამტკიცების გზით) და, შესაბამისად, მისი ჟანგვის პროდუქტების წარმოქმნის შეფერხებას; აღნიშნული მოვლენა, შესაბამისად, უნდა იწვევდეს ლნმ-ს დაზიანებათა შემცირებას [21], მემბრანული ლიპიდების ჟანგვის შეფერხებას. ეს მო-



სურ. 2. ადამიანის სისხლის პარ-ჰექტრი. a - კონტროლი, b - ადენოკარცინომა (ოპერაცია-მდე), c - ადენოკარცინომა (ოპერაციის შემდეგ).

ავადებული მამაკაცების სისხლში ორქექტომიის შემდეგ, პაციენტთა ოპერაციამდელ მაჩვენებელთან შედარებით (სურ. 3, ცხრილი 1).

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ადრენორეცეპტორების ინაქტივირებული მდგომარეობის არსებობა, გარკვეულწილად, დაკავშირებულია  $Mn^{2+}$ -ის კონცენტრაციასთან; კერძოდ,  $Mn^{2+}$ -ის კონცენტრაციის მატება იწვევს გარკვეული რეცეპტორების ინაქტივაციას ადენილატციკლაზური სისტემის მომართ [5]. თავის მხრივ, ადენილატციკლაზური სისტემას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადრენორეცეპტორების აქტივაციის პროცესში. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ჩვენს შემთხვევაში პაციენტთა სისხლში ორქექტომიის შემდეგ დადგინდა  $Mn^{2+}$ -შემცველი კომპლექსების ( $g = 2.14$ ) პარ-სიგნალის ინტენსივობის შემცირება ადრენორეცეპტორების ინაქტივირებული მდგომარეობისათვის დამახასიათებელი პარ-სიგნალის ( $g = 2.01$ ) ინტენსივობის შემცირების პარალელურად (ცხრილი 1).  $Mn^{2+}$ -შემცველი კომპლექსების შემცირება ორქექტომირებული პაციენტების სისხლში უნდა მიუთითებდეს ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის შესუსტებაზე და SOD-ის აქტივაციაზე, რაც ჩვენი მონაცემებითაც დასტურდება (ცხრილი 2). შესაძლებელია, რომ ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვისა და თავისუფალრადიკალური პროცესების შესუსტების, SOD-ის აქტივაციისა და მემბრანული სტრუქტურების რღვევის შეფერხების პირობებში [3], ადგილი აქვს ადრენორეცეპტორების ინაქტივირებული მდგომარეობის შემცირებას ( $g = 2.01$ ).

аамгва́ріад, Шеіодлє́ба да́ва́ськвна́т, ро́м ма́ма́я а́уе́дшіо პро́сб́а́тио а́дже́бон-ка́рцино́міоіс га́нви́тоа́рё́ба, і́шв́е́зіе си́хе́лшіо ліо́піодлє́баіс ზე́жава́нгуро юа́нгви́оіс მа́ві́тір а́хтіо́зіа́са, ро́меже́лоіц, са́га́рда́ндо́д, ვლіо́нде́ба си́хе́ліоіс а́нгі-ო́жіо́дада́нгі́шіо тво́и́е́дебіоіс да́жвіо́твіоіт (Fe<sup>3+</sup>-ტრа́нсфу́ріоіс ვა́р-სи́гна́ліоіс შე́мци́рё́ба), а́дже́бон-რе́зе́пტоре́баіс іна́хтіо́зіа́си, MetHb-іоі (g = 6,0) წа́р-моѓжно́т, რа́ц о́рго́на́ніо́мшіо შე́шქ́е́зіа́діо პро́зб́а́е́зіоіс га́нви́тоа́рё́баіс შე-са́млє́блон́о́да́шіе мі́уто́твіоіт [3], ხе́лоп პла́са́тио́кү́ріо თрі́ккі́тіо́міоа პро-სტа́тиоіс а́дже́бон-კарцино́міоіт да́а́за́дле́бшіо ма́ма́я а́уе́дшіо си́хе́лшіо і́шв́е́зіе ліо-піодлє́баіс ზე́жава́нгуро юа́нгви́оіс інгі́беніо́зіоіс მნіо́шві́нгуро შე́мци́рё́ба́с თрі́ккі́тіо́міоа́мдзе́д მა́хві́нгуро შე́დа́рё́баіт, რа́ц та́зиоіс მხ́ріо́з, ვლіо́нде́ба си́хе́лшіо Fe<sup>3+</sup>-ტრа́нсфу́ріоіс კო́мплен́е́зіоіс შე́мци́рё́ба́с მа́тіе́боіт, а́дже́бон-რе́зе́пტоре́баіс іна́хтіо́зіа́си, MetHb-іоі, а́шв́е Mn<sup>2+</sup>-შე-ცе́хе́ліо კო́мплен́е́зіоіс შე́мци́рё́баіт. სа́га́рда́ндо́д, ро́м ліо́піодлє́баіс ზე́жава́нгуро юа́нгви́оіс შე́мци́рё́ба́м და си́хе́ліоіс а́нгі-ო́жіо́дада́нгі́шіо тво́и́е́дебіоіс გа́шмі́жон́о́да́шіо შеіодлє́ба გа́нви́тоа́рё́баіс კო́мплен́е́зіоіс ა́დდგე́ნიо́тი რე́з-ციо́біоіс გа́нви́тоа́рё́ба ა́ღно́шн́у́л პа́цие́нტთა თрі́ккі́тіо́міоа რა́саса́ц ა́დа-ტі́шіоіс კლі́ніко́зіо მო́на́ცე́მბіо ა́ღно́шн́у́л პа́цие́нტე́біоіс სი́ცო́ცხе́ліоіс ხа́нგрі́ліо́зіоіс გа́ნви́тоа́рё́баіс შე́სა́ხე́ბ.

## ლიტერატურა

- ა́ლიо́дგვა́ში́ლი გ. სа́га́нди́да́ტო დი́кე́რტა́ცია, 2003, თბილისი.
- ხა́ნიо́ძე თ. სა́ღოქტო́რო დი́кე́რტა́ცია, 1997, თბილისი.
- გე́ლიо́ძე გ. სа́га́нди́да́ტო დი́кე́რტა́ცია, 1999, თბილისი.
- Ванин А.Ф. Биохимия, 1998, 63, 924-938.
- Владимиров Ю.А., Арчаков А.И. Москва, Наука, 1972.
- Зезеров Е.Г. Вопросы онкологии, 2001, 47, 174-181.
- Маеда Х., Акаике Т. Биохимия, 1998, 63, 1007-1019.
- Петренко Ю.М., Матюшин А.И., Титов В.Ю. Биофизика, 1999, 44, 236-243.
- Реутов В.П. Успехи биол. химии, 1995, 35, 189-228.
- Реутов В.П., Сорокина Е.Г. Биохимия, 1998, 63, 1029-1040.
- Реутов В.П., Сорокина Е.Г., Охотин В.Е., Косицын И.С. Москва, Наука, 1997.
- Розен В.Б., Смирнова О.В., Волчек А.Г. Пробл. эндокринологии, 1971, 17, 109-120.
- Саенко Е.Л., Скоробогатько О.В., Ярополов А.И. Биохимия, 1990, 55, 1563-1569.
- Сидорик Е.П., Бурлака А.П. Экспериментальная онкология, 2000, 22, 179-185.
- Эмануэль Н.М., Кавецкий П.Е., Тарусов Б.Н., Сидорик Е.П. Биофизика рака, Киев, Наукова думка, 1976, с. 295.
- Frieden E. Adv. Chem. Ser., 1971, 100, 292-331.
- Gatter K.S., Brown G., Trowbridge I.S. et al. J. Clin. Path., 1983, 36, 539-545.
- Gitlin Y.D. J. Biol. Chem., 1988, 263, 6281-6287.
- Gutteridge J. M. C., Richmond R., Halliwell B. FEBC Lett., 1980, 112, 269-272.
- Ignarro L., Murad F. Adv. Pharmacol., 1995, p. 516.
- Inoue S., Kawanish S. FEBS Lett., 1995, 311, 86-88.
- Kong S.K., Yim M.B., Stadtman E.R., Chock P.B. Proc. Natl. Acad. Sci. USA, 1996, 93, 3377-3382.

23. Lancaster I.R. Proc. Natl. Acad. Sci. USA, 1994, 91, 8137-8141.
24. Lovstad R.A. Int. J. Biochem., 1983, 15, 1067-1071.
25. Riba L.W. J. Urol., 1942, 48, 384-387.
26. Schmidt, H.H.H.W., Hofmann H., Ogilvie P. Berlin, Springer Verlag, 1995, p. 75-86.
27. Sichak S., Dounce A. Arch. Biochem. Biophys., 1986, 249, 286-295.
28. Vanin A.F., Stucan R.A., Manukhina E.B. Biochim. Biophys. Acta, 1996, 1295, 5-12.

## ИССЛЕДОВАНИЕ МЕТАБОЛИЧЕСКИХ ПАРАМАГНИТНЫХ ЦЕНТРОВ В КРОВИ МУЖЧИН, БОЛЬНЫХ АДЕНОКАРЦИНОМОЙ ПРОСТАТЫ, ПОСЛЕ ПЛАСТИЧЕСКОЙ ОРХЭКТОМИИ

*E. Хуцишвили, М. Челидзе, Н. Вешапидзе, Т. Саникидзе, Л. Манагадзе,  
Т. Чигогидзе, Н. Котригадзе*

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили

### РЕЗЮМЕ

В крови мужчин, больных аденокарциномой простаты, методом электронно-парамагнитного резонанса (ЭПР) изучены метаболитные парамагнитные центры, после пластической орхэктомии. Исследованиями показано, что операция вызывает существенные изменения по сравнению с дооперационным положением, что у мужчин выражается в улучшении общих антиоксидантных свойств крови. В частности, наблюдается увеличение количества комплекса  $\text{Fe}^{3+}$ -трансферина, инактивация адренорецепторов, уменьшение количества MetHb и  $\text{Mn}^{2+}$ -содержащих комплексов. Наряду с улучшением антиоксидантных свойств крови, в крови пациентов отмечено значительное уменьшение перекисного окисления липидов.

## THE BLOOD METABOLIC PARAMAGNETIC CENTERS IN THE MEN WITH PROSTATE ADENOCARCINOMA, FOLLOWING PLASTIC ORCHECTOMY

*E. Khutishvili, M. Chelidze, N. Veshapidze, T. Sanikidze, L. Managadze,  
T. Chigogidze, N. Kotrikadze*

I. Javakhishvili Tbilisi State University

### SUMMARY

The blood metabolic paramagnetic centers were investigated with an aid of electron-paramagnetic resonance (EPR) method, in the men with prostate adenocarcinoma, following the plastic orchectomy. It was shown that following the surgery in these patients, significant changes of the paramagnetic centers' state did occur as compared to the pre-surgery condition. These changes point at improved antioxidative properties of the blood. Specifically, increased volume of the blood  $\text{Fe}^{3+}$ -transferrin complex content, inactivation of andrenoreceptors, decreased volume of MetHb and  $\text{Mn}^{2+}$ -containing complex, are characteristic of the post-surgery condition. Along with improved antioxidative properties, significant decrease of the lipids peroxide oxidation was noted in the blood of the men following the plastic orchectomy.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, გ. 30, № 4.

Известия АН Грузии, сер. биол. А, 2004, т. 30, № 4.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 4.

ISSN-0321-1665

## ეპოლეატოგენერი ზღურბლის ცვლილებები ძილ-დაზიდილის ციკლში და ლურჯი ლაქას ზონას შარი გააქტივების ფონზე

**ლ. ხუჭუა, ე. სარალიძე, თ. მოსელიანი**

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 15.06.2004

შრომის მიზანი იყო ეპოლეატოგენური ზღურბლის ცვლილებების შესწავლა ცხოველთა ძილ-დაზიდილის ციკლის სხვადასხვა სტადიაზე და თავის ტგინის ლურჯი ლაქას (ლლ) წინასწარი გადიზიანების ფონზე.

ეპტალარით დანარქოზებულ ცხოველებში, კონსტანტანის ელექტროდებს ენერგიაზით ვირთავებების პიპოკამპში, ხოლო ბოცვრებში – პიპოკამპსა და ლლ-ში. ეპილეპტოგენურ განმუხტვებს (ვბ) აღვრიცხავდით ელექტროენცეფალოგრაფით. ცდების ყოველი სერიის დასასრულს, ცხოველთა ჟმბანაზის შემდგრ, თავის ტგინს გაფაქსირებდით ფორმალინის 10% სხნარში და მის ანათლებზე ვამოწმებდით ელექტროდების არაიზოლირებული ბოლოების მდებარეობას. მიღებულ შედეგებს სტატიის ტიკურად ვამუშავებდით სტიურენტის t-ეროტერიტომის მიხედვით.

ცდების პირველი სერიის შედეგებით, ნეოკორტიკალური წარმოშობის ეპილეპტიფორმული განმუხტვები უფრო ხანგრძლივია ცხოველის დვიძილის დროს, ვიდრე ნერი ძილის ფაზაში. ცდების მომდევნო სერიებში ბოცვრებზე დადგენილი იქნა, რომ ლლ-ის წინასწარი გააქტივების შედეგად, ეპილეპტოგენური ზღურბლი მცირდება ნეოკორტექსში და იზრდება პიპოკამპში.

ცხოველის დვიძილის დროს, აგრეთვე პიპოკამპის გააქტივების შემდეგ, ახალი ქერქის ნერონების ეპილეპტოგენური ზღურბლის დაკვეთოთხბა განპირობებული უნდა იყოს ქერქში არსებული ა-ადრენოცეპტორების გამააღვიდებელი ზემოქმედებით ახალი ქერქის ნეირონებზე. ლლ-ის წინასწარი გააქტივებით, პიპოკამპის ეპილეპტოგენური ზღურბლის გაზრდა პიპოკამპის ნეირონებზე შემაკავებელი β-ადრენოცეპტორების უშუალო მოქმედებით დასან ნეოკორტექსში ა-ადრენოცეპტორების გააქტივების შედეგად უნდა ხდებოდეს, ნეოკორტიკალური ნეირონების შემაკავებელი ტონუსის გაძლიერებით პიპოკამპში.

**საკვანძო სიტყვები:** ეპილეპტოგენური ზღურბლი, ძილ-დაზიდილი ციკლი, ნეოკორტექსი, ეპილეპტიფორმული განმუხტვები, ლურჯი ლაქა, დორსალური პიპოკამპი

უმველესი დროიდან ცნობილმა ფაქტმა, რომ ეპილეპსიით დაავადებულ ადამიანებში გულფრა შეიძლება განვითრდეს არა მარტო დეიმილის დროს, არამედ ძილშიც, თავისთავად გააღვიყა ინტერესი კრუნჩხვითი განმუხტებების აღმოცენების აღბათობისადმი ძილ-დეიმილის ციკლის სხვადასხვა ფაზაში. კლინიკურ მასალაზე დაყრდნობით, ეპილეპსიით დაავადებულები დაუყეს 3 ჯგუფად: პაციენტთა I ჯგუფში კრუნჩხვები ვლინდებოდა ძილის დროს, პაციენტთა II ჯგუფში - დეიმილის ფაზაში, ხოლო პაციენტთა III ჯგუფში - როგორც ძილის, ისე დეიმილის დროს [4, 5, 6, 8]. მომდევნო კლინიკური დაკვირვებებით დადასტურდა, რომ საფუთქლის წილის ეპილეპსიის შემთხვევებში, კრუნჩხვითი განმუხტებები უფრო ხშირად და უფრო ძლიერად აღმოცენდება ნელი ძილის ფაზაში, ხოლო დეიმილსა და ძილის პარადოქსულ ფაზებში კრუნჩხვების უპირატესი გამოვლენა პაციენტთა მხოლოდ მცირე რიცხვში დადგინდა [9-13]. დაახლოებით იგივე შედეგი იქნა მიღებული ჩვენს ლაპორატორიაში, ეპილეპსიის ცხოველურ მოდელებზე, სადაც ეპილეპტიფორმული განმუხტებები (მბ) გამოიწვეოდა ვირთაგვებში დორსალური პიპოკამპის (დჰ) ელექტრული გაღიზიანებით. კერძოდ, პიპოკამპიდან ინიცირებული მბ, როგორც წესი, უფრო ძლიერი და ხანგრძლივი იყო ნელი ძილის ფაზაში, ვიდრე დეიმილის დროს [16]. ამრიგად, ეს ფაქტები ძირითადად ეთანხმება ლიტერატურის იმ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც თავის ტვინის მზაობა კრუნჩხვითი განმუხტებებისადმი ყველაზე მაღალია ნელი ძილის ფაზაში. ერთგვარი განხვევება ის არის, რომ ნელი ძილის ფაზაში ცხოველთა თავის ტვინის მაღალი მზაობის ფაქტი დადგენილია მხოლოდ დპ-ში ინიცირებული მბ-ს მიმართ. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხედია იმის გარკვევა, თუ როგორ იცვლება ძილისა და დეიმილის ფაზებში თავის ტვინის მზაობა ნეოკორტექსში ინიცირებული მბ მიმართ. საინტერესოა, აგრეთვე, იმის გარკვევა, რა გავლენას ახდენს თავის ტვინის ეპილეპტოგენურ ზღურბლზე ისეთი ნერვული სტრუქტურის (მაგალითად, ლურჯი ლაქას) წინასწარი გაღიზიანება, რომელიც ზრდის ქრეჭული უჯრედების აგზნებადობას და მონაწილეობს ცხოველის გამოღვიძებაში. წინამდებარე ნაშრომში მოტანილია აღნიშნული საკითხების კალევის შედეგები.

## მასალა და მათოდება


კერალარით დანარკოზებულ ცხოველებში კონსტანტანის ელექტროდებს ვნერგავდით: ვისტარის ჯიშის ვირთაგვების პიპოკამპში, პაკსინოსისა და ვატსონის სტერეოტაქსური ატლასის მიხედვით [14], ხოლო ბოცერების პიპოკამპსა და ლურჯ ლაქაში (ლლ) - ბლინკოვისა და სხვ. ატლასის მიხედვით [1]. ნეოკორტექსის, პიპოკამპისა და ლლ-ის მაღალსიხშიროვანი ელექტრული გაღიზიანებით გამოწვეულ ეფექტებს ვიწერდით 8-არხიან ელექტროენცეფალოგრაფზე (Medicor, უნგრეთი). ცდების ყოველი სერიის დასასრულს, ცხოველთა ევტანაზიის შემდეგ, ვიღებდით თავის ტვინის, ვაფიქსირებდით ფორმალინის 10% ხსნაში და ელექტროდების არაიზოლირებული ბოლოების ლოკალიზაციას გამოწმებდით თავის ტვინის განივ

ანათლებზე. მიღებულ შედეგებს სტატისტიკურად ვამჟავებდით სტიუდენტის t-კრიტერიუმის მიხედვით.

## შედეგები და მათი განხილვა

ცდების პირველ სერიაში, ქრონიკულ ბოცვრებსა და ვირთაგვებზე ვიკალებდით ნეოკორტექსის ეპილეპტოგენური ზღურბლის ცელილებებს ცხოველთა დვიძილისა და ძილის სტადიებზე. ყოველი ექსპერიმენტის დასაწყისში (ძილის 12 საათიანი დეპრივაციის შემდეგ) ნეოკორტექსს ვაღიზიანებდით მაღალი სიხშირის (30 ჰც, 0,2 მს) ელექტრული სტიმულების მოკლე სერიებით (5-7 ს) და ვაღიერდით ეპილეპტოგენურ ზღურბლს. ზღურბლის სტაბილურობის შესამოწმებლად ნეოკორტექსს ვაღიზიანებდით მინიმალური ზესდურბლოვანი ინტენსივობით 3-ჯერ (ინტერვალი სერიებს შორის არანაკლებ 20 წუთისა). თუ ფრეკუნცია ეპილეპტიფორმული განმუხტვები სამივე შემთხვევაში აღმოცენდებოდა მეტნაკლებად ტოლი ხანგრძლივობით, ვთვლიდით, რომ ნეოკორტექსის ეპილეპტოგენური ზღურბლი სტაბილური იყო. ამის შემდეგ ნეოკორტექსს ვაღიზიანებდით ცხოველის დვიძილის და ძილის მდგომარეობაში და ეპილეპტიფორმული განმუხტვების ხანგრძლივობას ვაღარებდით ერთმანეთს.

სურ. 1-ზე მოცემულია ერთ-ერთი ასეთი ცდის ტიპური შემთხვევა. ელექტროენცეფალოგრამები (ებბ) ჩაწერილია ცხოველის ძილის (A) და დვიძილის (B) დროს. ორივე შემთხვევაში, პირველ არხზე ჩაწერილია ნეოკორტიკოგრამა, ხოლო მეორე არხზე – პიპოკამპიკოგრამა. სურათიდან ჩანს, რომ ნეოკორტექსის მაღალისიხშიროვანი ელექტრული გაღიზიანება შბ-ს აღმოცენებას იწვევს როგორც ნეოკორტექსში, ისე პიპოკამპში. ხათლად ჩანს ისიც, რომ ცხოველის დვიძილის დროს ნეოკორტიკალური წარმოშობის შბ უფრო ადრე აღმოცენდება (ჯერ კიდევ გაღიზიანების ფონზე) და უფრო ხანგრძლივია ცხოველის დვიძილის ფაზაში (შეადარე B და A).




სურ. 1. ნეოკორტიკალური წარმოშობის ეპილეპტიფორმული განმუხტვები ძილის (A) და დვიძილის (B) ფაზაში (ვირთაგვა). რეგისტრირდება:  
 1. მარჯვენა ქერქი. 2. მარჯვენა პიპოკამპი. დაზიანდება: მარჯვენა ნეოკორტექსი (30 ჰც, 20 ვ, აღნიშნულია უწყვეტი ხაზით).

ნეოკორტექსის გაღიზიანებით გამოწვეული შბ-ს გაძლიერების ფაქტი აღნიშნულ იქნა სხვა ვირთაგვებშიც. უფრო მეტიც, ორ შემთხვევაში ცხოველის დვიძილის პირობებში გამოწვეული ფრეკუნცია განმუხტვები იმდენად ძლიერი იყო, რომ გენერალიზებულ კრუნჩევებშიც კი გადაიზარდა. ამრიგად, დვიძილის ფაზაში კრუნჩევითი რეაქციებისადმი ნეოკორტექსის მზაობის გაძლიერება სტატისტიკურად სარწმუნოა ( $p = 6$ ,  $p < 0,001$ )

და არავითარ ეჭვს არ იწვევს იმ ზოგადი ჰეშმარიტებიდან გამომდინარე, რომ რაც უფრო მაღალია ნერვული სტრუქტურის აგზნებადობა, მით უფრო დაბალია მისი ეპილეპტოგენური ზღურბლი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოდ მიიჩნიეთ შეგვესწავლა ლურჯი ლაქას (ლლ) გაქტივების ეფექტები თავის ტვინის მბ-ზე-თავის ტვინში ლლ ყველაზე დიდი ნორადრენერგული ბირთვია. იგი, ლიტერატურის მონაცემებით, აქტიურად არის ჩართული ცხოველის გამოღვიძების პროცესში. აქედან გამომდინარე, ცდების მომდევნო სერიაში ვიკელევდით ლლ-ის წინასწარი გაღიზიანების ეფექტებს ნეოკორტექსისა და ჰიპოკამპის ელექტრული გაღიზიანებით გამოწვეულ შბ-ზე.

ცდებს ვატარებდით ბოცერებზე მწვავე ექსპერიმენტის პირობებში. ერთ-ერთი ცდის შედეგი წარმოდგენილია სურ. 2-ზე.




სურ. 2. ჰიპოკამპური წარმოშობის ეპილეპტოგენური განმუხტვების ზღურბლის ცვლილება ლურჯი ლაქას წინასწარი გაღიზიანების ფონზე (ბოცერი). რეგისტრირდება: 1. მარჯვენა ქერქი. 2. მარჯვენა ჰიპოკამპი. 3. მარცხენა ქერქი. ლიზიანდება: მარჯვენა დორსალური ჰიპოკამპი (სწორი ხაზი) და ლურჯი ლაქა (B - წარმოდგენილი ხაზი).

ზედა სამი ელექტროგრამა (A) რეგისტრირებულია მარჯვენა (1) და მარცხენა (2) ნეოკორტექსიდან და დჟ-დან (3). A ცდაში დჟ-ს მაღალისიხმიროვანი ელექტრული გაღიზიანება (სწორი ხაზი) ხანმოკლე შბ-ს იწვევს სამივე სტრუქტურაში. B ცდაში თავდაპირველად ლიზიანდება ლლ (წყვეტილი ხაზი), რასაც თან სდევს ქერქული მებ-ს დესინქრონიზაცია. ამ ფონზე ნეოკორტექსის ელექტრული გაღიზიანება იგივე პარამეტრებით (სწორი ხაზი) გაცილებით ძლიერ შბ-ს იწვევს, რომელიც გენერალიზებულ კრიზეს გადადის.

ამრიგად, ლლ-ის გაღიზიანება, ააქტივებს რა ნეოკორტექსს (B), აქვეითებს მის ეპილეპტოგენურ ზღურბლს და ზრდის თავის ტვინის მზაობას კრუნქსითი რეაქციებისადმი.

დიამეტრულად საპირისპირო გავლენა მოახდინა ლლ-ის წინასწარმა გაღიზიანებამ ჰიპოკამპური წარმოშობის კრუნქსით რეაქციებზე. სურ. 2-ზე,

A ცდაში პიპკამპის მაღალსიხშიროვანი გაღიზიანების (სწორი ხაზი) საპასუხოდ აღირიცხა საკმარი ძლიერი და ხანგრძლივი ებ, როგორც პიპკამპში, ისე ნეოკორტექსში. B ცდაში პიპკამპის გაღიზიანებას (სწორი ხაზი) წინ უსწრებს ლლ-ის ელექტრული გაღიზიანება (წყვეტილი ხაზი). ნათლად ჩანს, რომ ლლ-ის გააქტივებამ დამთრგუნველი გავლენა მოახდინა პიპკამპური წარმოშობის ეპილეპტიფორმულ რეაქციებზე.



სურ. 3. ნეოკორტიკალური წარმოშობის ეპილეპტიფორმული განმუხტვების ზღურბლის ცვლილება ლურჯი ლაქას წინასწარი გაღიზიანების ფონზე (ბოცვერი). რეგისტრირდება: 1. მარჯვენა ქერქი. 2. მარჯვენა პიპკამპი. 3. მარცხენა პიპკამპი. დიზიანდება: მარჯვენა ქერქი (სწორი ხაზი) და ლურჯი ლაქა (B – წყვეტილი ხაზი).

ზემოთ მოტანილი ექსპერიმენტული მასალა შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას. ლლ-ის გააქტივება, იწვევს რა ცხოველის გამოღვიძებას, ზრდის ნეოკორტექსის აგზნებადობას, რასაც თან სდევს ნეოკორტექსის ეპილეპტოგენური ზღურბლის დაქვეითება. აღნიშნული ვარაუდის სისწორეს ადასტურებს სურ. I-ზე მოტანილი ცდის შედეგები, რომელთა მიხედვით ნეოკორტიკალური წარმოშობის კრუნჩევები უფრო ძლიერ გამოიწვევა ცხოველის ღვიძილის მდგომარეობაში.

ლლ-ის წინასწარი გაღიზიანების დამთრგუნველი მოქმედება პიპკამპური წარმოშობის ებ-ზე შეიძლება ხორციელდებოდეს ორი გზით: а) ლლ-ის აგზნება ააქტივებს პიპკამპში არსებულ β-ადრენოცეპტორებს, რაც შე-

მაკავებლად მოქმედებს ჰიპოკამპის ძირითად ნეირონებზე და ზრდის მათ ეპილეპტოგენურ ზღურბლს, ბ) ლლ-ის გაღიზიანება, ნეოკორტექსში არსებულ ა-დორენოცეპტორების გზით, ააქტივებს ნეოკორტიკალურ ნეირონებს და აძლიერებს მათ შემაკავებელ ტონუსს ჰიპოკამპის ძირითად ნეირონებზე. ამას თან სდევს ჰიპოკამპის ეპილეპტოგენური ზღურბლის გაზრდა.

ამგარად, ფოკალური მბ, რომელთა პირველადი კერა ლოკალიზებულია ქერქში, უფრო ძლიერ ვლინდება ცხოველის დვიძილის მდგომარეობაში, ვიდრე ნელტალდოვანი ძილის ფაზაში. ნეოკორტიკალური წარმოშობის მბ-ს უფრო ძლიერი გამოვლენა დვიძილის ფაზაში განპირობებულია ქერქული უჯრედების აქტივობის მომატებით, რის გამოც ქვეთდება მათი ეპილეპტოგენური ზღურბლი და ისზრდება მზაობა ქრუნჩხვითი რეაქციებისადმი.

თავის ტვინის ნორადრენერგული ბირთვის – ლურჯი ლაქას წინასწარი გააქტივება აადვილებს ნეოკორტიკალური წარმოშობის მბ-ს, რაც განპირობებული უნდა იყოს ქერქში არსებული ა-დორენოცეპტორების გააქტივებით. ლურჯი ლაქას წინასწარი გაღიზიანების დამთრგუნველი გავლენა ჰიპოკამპური წარმოშობის ქრუნჩხვით რეაქციებზე შეიძლება ხორციელდებოდეს ორი გზით: ა) ჰიპოკამპში არსებული β-ადრენოცეპტორების გააქტივებით და მათი შემაკავებელი მოქმედებით უშეალოდ ჰიპოკამპის ძირითად ნეირონებზე და ბ) ქერქის ა-დორენოცეპტორების გამაადვილებელი მოქმედებით ნეოკორტიკალურ ნეირონებზე, რის გამოც ძლიერდება მათი შემაკავებელი ტონუსი ჰიპოკამპზე.

## ლიტერატურა

1. Блинков С.М., Бразовская Ф.А., Путило М.В. Атлас мозга кролика Москва, Наука, 1973.
2. Мгалоблишвили Н.Р., Инциквели Р.Г., Чхартишвили Б.В., Иоселиани Т.К. Сообщ. АН Грузии. 1991, 14, 169-172.
3. Cadilhac J. In: Sleep and Epilepsy. New York, Academic Press, 1982, 315-324.
4. Fere C. In. Passouant P, ed. EEG and Sleep. Handbook of Electroencephalography and Clinical Neurophysiology. Amsterdam, Elsevier, 1975, 66-73.
5. Gowers W.R. Epilepsy and Other Chronic Convulsive Diseases, their Causes, Symptoms and Treatment. London, Churhill, 1885.
6. Gaspel A., Baldy-Moulinie M., Coubes P. Epilepsia, 1962, 3, 111-123.
7. Ioseliani T.K., Mgaloblishvili N.R., Intskirveli R.G. In: Third IBRO World Congress of Neurosci., Montreal, Canada, 1991, p. 220.
8. Janz D. Epilepsia, 1962, 3, 69-109.
9. Klein K.M., Knake S., Hamer H.M., Ziegler A., Wolfgang H.H., Rosenow O.F. Epilepsy Res., 2003, 56, 43-49.
10. Mendez M., Radtke R.A. J.Neurophysiology, 2001, 18, 106-127.
11. Montplaisir J., Laverdiere M., Saint-Hilare J.M. Sleep and epilepsy. Gottman J.R., Ives J.R., Gloor P. (Eds.). Amsterdam, Elsevier, 1985, 215-239.
12. Montplaisir J., Laverdiere M., Saint-Hilare J.M., Rouleau I. J. Clin. Neurophysiol., 1987, 4, 383-388.
13. Montplaisir J., Laverdiere M., Saint-Hilare J.M., Rouleau I. In: Advances in Epileptology. vol. 16, New York, Raven Press, 1987, 705-707.
14. Paxinos G., Watson Ch. The Rat Brain in Stereotaxic Coordinates. 1997, San Diego, California.
15. Sammaritano M., Gighi G.I., Gotman J. Neurology, 1991, 41, 290-297.
16. Saralidze E., Khuchua L., Ioseliani T. Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser.-A, 2004, 30, 397-401.

## ИЗМЕНЕНИЕ ЭПИЛЕПТОГЕННОГО ПОРОГА В ЦИКЛЕ СНА И БОДРСТВОВАНИЯ И ПОСЛЕ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ АКТИВАЦИИ СИНЕГО МЕСТА

*Л. Хучуа, Э. Саралидзе, Т. Иоселиани*

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили

### РЕЗЮМЕ

Целью исследования было изучение эпилептогенных порогов (ЭП) головного мозга на разных стадиях цикла сна-бодрствования и после предварительного активирования адренергического ядра – синего места (СМ).

В глубинные структуры головного мозга животных, наркотизированных кеталаром, константанные электроды стереотаксически вживлялись у крыс в гиппокамп, а у кроликов – в гиппокамп и СМ. Вызванные эпилептиформные разряды (ЭР) регистрировались электроэнцефалографически. После завершения опытов, головной мозг фиксировался в 10% формалине и на его фронтальных срезах проверялось местонахождение неизолированных кончиков электродов. Результаты опытов статистически обрабатывались по t-критерию Стьюдента.

По данным опытов первой серии, ЭР неокортикального происхождения более продолжительны в стадии бодрствования, чем в стадии медленного сна. В последующих сериях опытов, проведенных на кроликах, было найдено, что после предварительного активирования СМ, эпилептогенный порог снижается в неокортике и повышается в гиппокампе.

Понижение ЭП в неокортике при бодрствовании, а также после активации СМ, по всей вероятности, обусловлено облегчающим влиянием  $\alpha$ -адrenoцепторов на неокортикальные нейроны. Повышение же ЭП в гиппокампе, очевидно, происходит благодаря непосредственному действию тормозящих  $\beta$ -адrenoцепторов на нейроны гиппокампа и/или в результате повышения активности корковых нейронов через  $\alpha$ -адrenoцепторы, что приводит к усилению их тонического тормозящего влияния на гиппокамп.

## CHANGES IN EPILEPTOGENIC THRESHOLDS OF BRAIN IN SLEEP-WAKING CYCLE AND AFTER ACTIVATION OF LOCUS COERULEUS

*L. Khuchua, E. Saralidze, T. Ioseliani*

I. Javakhishvili Tbilisi State University

### SUMMARY

The epileptogenic thresholds of brain at different stages of sleep-waking cycle and after preliminary activation of the adrenergic *locus coeruleus* (LC) have been investigated.

Under Ketalar anaesthesia, the constantan electrodes were stereotactically implanted into the rats' and rabbits' cortices and hippocampus. Epileptiform discharges, evoked by electrical stimulation of the brain structures, were recorded electroencephalographically. After termination of the experiments, the brains of animals were removed and fixed in 10 % formalin and on frontal

sections localization of uninsulated tips of electrodes was verified. The experimental data were treated according to the Student's *t*-test.

In the first series of experiments epileptogenic threshold in the neocortex was found to be lower during wakefulness than in slow sleep. In the following experiments in the rabbits, it was found that preliminary activation of LC decreased the epileptogenic threshold in the neocortex, while in the hippocampus – increased.

Decrease of neocortical epileptogenic thresholds in wakefulness, as well as after preliminary activation of LC, should be due to facilitatory influence of neocortical  $\alpha$ -adrenoceptors upon the principal neurons in neocortex, while increase of hippocampal epileptogenic threshold may be conditioned either by direct action of inhibitory  $\beta$ -adrenoceptors on principal hippocampal neurons and/or by facilitation of neocortical neurons via  $\alpha$ -adrenoceptors, leading to enhancement of their tonic inhibitory influence on the hippocampus.

## 01სტრუქცია ავტორთათვის

უკურნაღი “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცნე, ბიოლოგიის სერია – A” ბეჭდავს ბიომედიცინის სხვადასხეა დარგის სამეცნიერო წერილებს, რომლებიც მანამდე არსად არ იყო დაბეჭდილი და ორმელთა პუბლიკაცია სხვა გამოცემებში დაგეგმილი არაა. წერილი უნდა შეიცავდეს ახალ, აქტუალურ მასალას, რომლის თემატიკა, მეთოდოლოგია და განსჯე შეესაბამება მეცნიერების თანამედროვე დონეს. წერილი არ უნდა შეიცავდეს მოძველებულ მონაცემებს და დაუსაბუთებულ დასკვნებს. წერილი შეიძლება წარმოდგენილ იქნას ქართულ, ინგლისურ, ან რუსულ ენაზე ნებისმიერ ენაზე წარმოდგენილ წერილს თან უნდა დაერთოს რეზიუმე სამივე აღნიშვნულ ენაზე რეზიუმეს მოცულობა არ უნდა აღმოჩებოდეს 250 სიტყვას, მაგრამ არ უნდა იყოს 1000 ნაბეჭდ ნიშანზე ნაკლები. რეზიუმე უნდა შეიცავდეს წერილი ტექსტის ამსახურ მოკლე, მაგრამ აღეცვატურ ინფორმაციას – კვლევის მიზანს, მეთოდებს, მიღებულ შედეგებს და გამომდინარე დასკვნებს.

საკუთრივ სამეცნიერო წერილის მოცულობა (რეზიუმეების ჩათვლით) არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და 12 გვერდზე მეტი. მიმოხილვით ხასიათის ან უფრო დიდი მოცულობის წერილები უკურნალში იბეჭდება მხოლოდ რედაქციის დაკვათით ან სარედაქციო კოლეგიის თანხმობით.

ორიგინალური ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები უნდა გაფორმდეს მეცნიერად სტანდარტული რებრიკაციით – შესავალი და მიზნები, მასალა და მეთოდები, შედეგები და მათი განხილვა, (დამოწმებული) ლიტერატურა. უკანასკნელი მეცნიერად ანბანით უნდა იყოს დალაგებული და დანომრილი (ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და, ბოლოს, ლათინურანბანოვანი). ტექსტში დამოწმებული ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს სათანადო ნომრებით, კვადრატულ ფრჩხილებში. თითოეულ წერილს უნდა დაერთოს საკურნადო სიტყვების (key words) სია – არა ნაკლებ ოთხისა და არა უმეტეს ათისა. ლიტერატურის სიაში საკიროა მოგრანილ იყოს ყველა აეტორის გვარი, ინიციალებით, გამოცემის (უკურნალის) სახელწოდება, წელი, ტომი, გვერდები. წიგნის ციტირების შემთხვევაში, აუცილებელია სათაურიც და გამოცემის ქალაქი და გამომცემლობა, კრებულის რედაქტორის (რედაქტორების) გვარი და ინიციალები.

წარმოდგენილი წერილი რედაქტიაში უნდა შემოვიდეს 2 ცალად ამობეჭდილი ქადალდის სტანდარტულ ფურცლებზე (A4), რომელსაც უნდა დაერთოს ზუსტად იგივე ტექსტის ელექტრონული ვერსია კომპიუტერულ დისკებზე (3,5“). ტექსტი უნდა აიკრიფთოს კომპიუტერზე, 12 ფონტით, 1,5 ინტერვალით. გვერდებზე, ოთხივე მხრიდან დაცული უნდა იყოს ველები არა ნაკლებ 2 სანტიმეტრისა. ქართული ტექსტი უნდა აიკრიფთოს AcadNusx და AcadMtavr ფონტებით, ხოლო რუსული და ინგლისური – Times New Roman-ით. ცხრილებში დაიშვება უფრო მცირე ზომის ფონტები. წერილის ტექსტი უნდა მომზადდეს Microsoft Word-ში (ნებისმიერი ვერსია), ხოლო გრაფიკები და სურათები – Excel-ში. თუ სურათები Excel-ში არაა დაშებული, მკაფიო გრაფიკები და ფოტოსურათები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის სახით. სურათების სკანირება და მათი წარმოდგენა გრაფიკული ფაილების სახით (.jpg, .bmp და .svg) დაუშვებელია. ფერადი სურათები უკურნალში არ იბეჭდება. დისკებზე ჩაწერილი ფაილის სახელწოდება წერილის პირველი ავტორის სახელით უნდა იყოს აღნიშვნული. კომპიუტერული დისკები უნდა იყოს მანამდე უბმარი, ვირუსებისგან თავისუფალი და არ უნდა შეიცავდეს სხვა, ჟურნალისთვის უსარგებლო მასალას. დისკებზე აეტორს არ უბრუნდება.

სურათების დაწერილებითი წარწერები უნდა დაიბეჭდოს წერილის ტექსტის ბოლოს, იმავა დაიღვები.

კურნალში წერილის ბეჭდვა ავტორის (ავტორების) ხარჯებით ხორციელდება. ბეჭდვის დასაფარავი თანხა რედაქციაში უნდა შემოვიდეს რეცენზენტის დადუბით დასკრინის მიღებისთვალისავე. წერილის დაწერების შემთხვევაში ავტორს (ავტორებს) უნდორუნდება წერილის ერთი პირი და წერილობითი რეცენზია. დისკენტი ავტორებს არ უძრუნდება და ონახება რედაქციაში 1 წლის განმავლობაში.

წერილების რეცენზიონება ანონიმურია და ავტორს აქვთ უფლება მიიღოს ან არ მიიღოს რეცენზენტის კრიტიკა უკანასკნელ შემთხვევაში წერილი განმეორებით გადაეცემა სარეცენზიონ სარედაქციო კოლეგიის (საბჭოს) რომელიმე წევრს. მეორე უარყოფითი დასკვნა საბოლოოა და გასასჩივრებას არ ექვემდებარება. წერილს ხელს უნდა აწერდეს კველა თანაავტორი. მითოთებული უნდა იყოს იმ ავტორთა ტალავონის ნომრები, რომლებიც აწარმოებენ ურთიერთობას რედაქციასთან.

წერილს უნდა დაერთოს იმ დაწესებულების წერილობითი შეამდგომლობა (ნებართვა), რომელშიც შესრულებულია შრომა.

კულტურული გამოქვეყნებული წერილის რუსული რეზიუმე იძებლება რუსეთის რეპ-რატული ჟურნალის სათანადო სერიაში.

წერილების ჩაბარება შეიძლება ყოველდღიურად, შაბათისა და კვირის გარდა, 12-დან 16 საათამდე, მისამართზე: თბილისი, ლატოუას ქ., № 14, ი.ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, III სართული, ოთახი 312, რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი - ალექსანდრე ქორელი.

ტელეფონი: 37-04-79, ელექტრონული ფოსტა: akoreli@hotmail.com

60195/30 2-

